პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—89.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 4 ივლისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 153 (2196)

დღიური

- ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის აღმასკომი მხარს უჭერს კუკისა და მექსტონის მოწოდებას.
- საბერძნეთში მოელიან საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას.
- ელზასელი ავტონომისტების მოთხოვნილებები.
- მექსიკის პრეზიდენტათ არჩეულია გენერალი ობრეგონი.
- ხმები ამუნდსენის დაღუპვის შესახებ.
- ხოლერის ეპიდემია ინდოეთში.—მოკვდა 847 კაცი.
- ინგლისის საჰაერო ძალების მანევრები.

კომუნისტი
გრძელდება ხელისმოწერა ივლისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

„მემარცხენე“ ბელადების ფანდები

ინგლისელი რეფორმისტები სულ უფრო მოურიდებლად ააშკარავებენ თავის გამცემლურ ბუნებას. საყოველთაო და მემაღაროეთა გაფიცვის ჩაფუშვა, მეცადინეობა „სამრეწველო მშვიდობიანობის“ ჩამოსაგდებად, კომპარტიის და უმცირესობის მოძრაობის დევნა, ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის დაშლა, კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და საერთოდ მხარის დაჭერა ჩემბერლენის იმპერიალისტურ პოლიტიკისათვის.—ასეთია მაკდონალდების „მოღვაწეობის“ მთავარი მომენტები უკანასკნელ წლებში. მემარჯვენე ბელადებს განზრახული აქვთ თეორიულადაც დაასაბუთონ და გაამართლონ თავისი ასეთი პრაქტიკული მუშაობა: უკვე შედგენილია მუშათა პარტიის ახალი პროგრამის პროექტი, რომელსაც საფუძვლად უდევს კლასთა თანამშრომლობის და ინგლისის ბურჟუაზიის იმპერიალიზმის ცნობა.

გასაგებია, რომ ყველაფერი ეს მუშათა კლასში აძლიერებს უკმაყოფილებას გამცემელ ბელადებისადმი, ძალზე არყევს თვით მუშათა პარტიის გავლენას და ავტორიტეტს მის მიმდევარ მასებ შორის და ხელს უწყობს კომპარტიის ზრდას. და აქ მუშათა პარტიის მხსნელების როლში გამოდიან ე. წ. „მემარცხენე“ ბელადები. ამ მხრივ საყურადღებოა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის თავმჯდომარის მექსტონის და სამთა-მადნო მუშების ფედერაციის მდივნის კუკის ცნობილი დეკლარაცია.

მათ დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ორგანო „ნიუ ლიდერ“-ში გამოაქვეყნეს წერილი—მოწოდება ინგლისის მუშებისადმი, სადაც აკრიტიკებენ მუშათა პარტიას, რომელიც, მათი სიტყვითაც, კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად მასთან თანამშრომლობის გზას ადგას. ისინი წინადადებას იძლევიან მოწყობილ იქნეს კონფერენციები, რომ მუშათა პარტიის უბრალო წევრებს შესაძლებლობა მიეცეთ გამოთქვან თავისი აზრი—თანახმა არიან მუშათა პარტიის ეხლანდელი პოლიტიკის თუ „მუშათა მოძრაობის პიონერთა იდეალების ერთგული რჩებიან“.

საგულისხმოა დღევანდელ დეპეშის ცნობა: დამოუკიდებელ მუშათა პარტიის აღმასკომს მექსტონის და კუკის აღნიშნულ მოწოდების გამო გამოუტანია შემდეგი დადგენილება: „აღმასკომი სავსებით ეთანხმება მოწოდების ხასიათს და მიზნებს. გამოსთქვამს რა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ მოწოდება არ ისახავს მიზნად მუშათა მოძრაობის გათიშვას, აღმასკომი მოუწოდებს მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს და პარტიის ყველა წევრს მონაწილეობა მიიღონ ძლიერი სოციალისტური პროგრამის უზრუნველყოფის ამ ცდაში“.

როგორ უნდა გავიგოთ დამოუკიდებელ მუშათა პარტიის აღმასკომის ეს გამოსვლა? მასში ხომ სოციალ-შემთანხმებლები სხედან? ესაა ჩვეულებრივი მანევრი დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ხელმძღვანელთა მხრით. ისინი სინამდვილეში გამცემლურ პოლიტიკას ატარებენ, მაგრამ უფრო მოხერხებულად, ვიდრე ჯიშიანი მემარჯვენე ლიდერები. მათ „მემარცხენეებათ“ მოაქვთ თავი და ხანდახან რადიკალურ სიტყვიერებას არ იშურებენ მასებისათვის თვალის ასახვევად. ასეა ამ შემთხვევაშიც. ამ „მემარცხენეთა“ ზოგად განცხადებას „ძლიერი სოციალისტური პროგრამის უზრუნველყოფის“ საჭიროების შესახებ, რა თქმა უნდა, არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. სამაგიეროდ მათი მიზანია ხელთ იგდონ იმ მოძრაობის ხელმძღვანელობა, რომელიც მუშათა მასებში შეიძლება მექსტონ-კუკის გამოსვლამ გამოიწვიოს, რათა ამ მოძრაობას მისცენ უწყინარი ხასიათი.

თავის თავად მექსტონის და კუკის მოწოდება ისეა შედგენილი, რომ ის რაიმე საფრთხეს არ წარმოადგენს რეფორმიზმისათვის. არავითარ კონკრეტიულ წინადადებებს ისინი არ აყენებენ. რომ მათ მართლა სურდეთ კაპიტალიზმთან ბრძოლის წარმოება, პირდაპირ დასვამდენ საკითხს მემარჯვენე ბელადების გაძევების, მუშათა მთლიანი რევოლიუციონურ ფრონტის შექმნის და კომპარტიასა და უმცირესობის მოძრაობასთან თანამშრომლობის შესახებ. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი. მათი მიზანია მხოლოდ მუშათა პარტიის გამცემლური სახის რამოდენიმედ შელამაზება, ბურჟუაზიასთან უფრო მოხერხებულ და ფარულ თანამშრომლობის გატარება, რომ ამ გზით მუშათა მასებში შექმნან ილიუზიები, რომ მუშათა პარტია თითქო იცავს მათ ინტერესებს. მექსტონის და დამოუკიდებელ მუშათა პარტიის სხვა მეთაურების ამოცანაა რეფორმის გადარჩენა და მის მიმართ პროლეტარიატის შერყეულ ნდობის აღდგენა.

ეს მანევრი მაჩვენებელია ინგლისის მუშათა კლასის რევოლიუციონური შეგნების ზრდის, რაც ნიადაგს აცლის სოციალ-გამცემელთა ბატონობას. მექსტონები ცდილობენ ამ პროცესის შეჩერებას. ისინი თავისი მოჩვენებითი მემარცხენეობით გაცილებით უფრო საშიში არიან რევოლიუციის საქმისათვის, ვინემ მემარჯვენე წრეები. რომელთა ვინაობაში მუშები ადვილად ერკვევიან. კომპარტია შესძლებს მათი ფანდების გამომჟღავნებას. და ეჭვი არ არის, რომ პროლეტარიატის კლასობრივი გათვითცნობიერება, რომლის ზეგავლენის შედეგია დამოუკიდებელ მუშათა პარტიის მესვეურთა ამოძრავება, თავის ლოღიკურ დასკვნამდე მივა.

„პილსუდსკის სიურპრიზები“

გარეგნულად ეფექტიური თეატრალური ჟესტი საკმაოდ ცნობილ მუსოლინისებურ სტილით: მომზადებული გადაჯგუფება მთავრობის შემადგენლობაში და „თვით“ პილსუდსკის ინტერვიუ მორიგი გალანძღვებით ეგრედ წოდებულ „სახალხო წარმომადგენლობის“ წინააღმდეგ. მაგრამ პილსუდსკის ინტერვიუში, რომელიც მან თავის ოფიციოზს მისცა, არის ისეთი რამ, რაზედაც ღირს შეჩერება. აღნიშნა, თუ რატომ ჩასთვალა მან ამჟამად უფრო პრაქტიკულად პრემიერის სავარძლის სხვისთვის დათმობა. „მარშალმა დასძინა, რომ ის მზად იქნება კრიტიკულ მომენტში კვლავ იკისროს პასუხისმგებლობა და დაიკავოს პრემიერის პოსტი“. „კრიტიკულ მომენტზე“ ჩვეულებრივად ტყუილა არ ლაპარაკობენ, კრიტიკულ მომენტზე ცოტად თუ ბევრად შორეულ მომავალში, მარშალის ასაკში და ჯანმრთელობის მდგომარეობაში სრულიად არ ლაპარაკობენ, მაშასადამე კრიტიკული მომენტი მოსალოდნელია არც იმდენად შორეულ მომავალში. მაშასადამე მზადდება სიურპრიზები და მათ მოსამზადებლად უმჯობესია პრემიერის პოსტის თავის დროზე დატოვება. სიურპრიზები რა დარგიდან? საგარეო პოლიტიკის დარგიდან?

ამ მოსაზრების სასარგებლოდ მოიპოვება ზოგიერთი საბუთი. პოლონეთის შინაური მდგომარეობა ვერაა დამაკმაყოფილებელი. მოელიან მეტად ცუდ მოსავალს და ამასთან დაკავშირებით სამრეწველო წარმოების სერიოზულ შემცირებას. სავაჭრო ბალანსი, რომელიც ძლიერ პასიურია, კიდევ უფრო უარესდება. დაპირებული ამერიკული სესხის მიღება მთელ რიგ ქალაქებისათვის არ მოხერხდა, რამაც გავლენა მოახდინა მეურნეობაზე და უსათუოდ გავლენას მოახდენს ლითონის მრეწველობაზედაც. ყოველივე ამის გამო პოლონეთის ფინანსიური მდგომარეობა ეხლაც არაა ბრწყინვალე, რაც უკანასკნელ საბიუჯეტო კამათის დროს გამოირკვა, ხოლო მომავალში შეიძლება კიდევ უფრო სერიოზულად გაუარესდეს. გარდა ამისა პოლონეთში ადგილი აქვს მასიურ გაფიცვებს.

ამავე დროს სეიმი, რომელსაც პილსუდსკი „პროსტიტუტკების კავშირს“ უწოდებს, გართულია „უნაყოფო სიტყვების რახა-რუხით“ და ძვირფას დროს ართმევს „მუშაობით დატვირთულ“ მინისტრებს. ყოველივე ამის მოთმენა შეიძლება, მაგრამ პირადათ პილსუდსკის ამის მოთმენა მეტი აღარ შეუძლია და არც სურს თავის დრომდე. მაგრამ თუ „კრიტიკული მომენტი“ დადგა, მაშინ ის „იკისრებს მთელ პასუხისმგებლობას“ და ასე თუ ისე ბოლოს მოუღებს ამ სეიმს. როგორ?—ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა. ამისათვის ამ ზომების მიღებაც კი არ იქნება საჭირო, რომლებიც აუცილებელი გახდა 1926 წ. მაისში მთავრობისა და პრეზიდენტის გასარეკად და ხელისუფლების დასაპყრობათ.

მაგრამ ჩვენ არ ვართ დარწმუნებული, რომ მხოლოდ ეს ჰქონდა მხედველობაში პილსუდსკის, როცა ის „გლოს პრავდი“-ს ინტერვიუერს ელაპარაკებოდა „კრიტიკულ მომენტზე“. ამ ორგანოს 28 ივნისის მოწინავე წერილში, რომელიც ეხება „კაბინეტის რეკონსტრუქციას“, ნათქვამია: „ცხადია, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს პოლიტიკურ აქტთან, რომლის მიზეზებიც აგრეთვე პოლიტიკური ხასიათისაა. თვით მარშალი მათ ზედმიწევნით გააშუქებს და ავტორიტეტულად განმარტავს. მაგრამ შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ისინი ჩამარხულია აგრეთვე სეიმის მუშაობაშიაც..“ და შემდეგ „თვითონ მარშალი გარდა სამხედრო საქმეებისა იტოვებს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობას და უზრუნველჰყოფს მასთან მინისტრ ზალესკის ლოიალურ თანამშრომლობას“.

ამრიგად, სიურპრიზებს შეიძლება ადგილი ჰქონდეთ საგარეო პოლიტიკის დარგში.

უკანასკნელი დროის მრავალი ფაქტი ადასტურებს ამ მოსაზრებას. დავასახელოთ ზოგიერთი ამ ფაქტთაგანი. ინგლისის ელჩმა ბერლინში ლინდსეიმ, რომელიც დიდი ბრიტანეთის გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილეთ დაინიშნა, ლონდონში გამგზავრების წინ ინახულა ვარშავაში მარშალი პილსუდსკი, რაც არაჩვეულებრივი ფაქტია დიპლომატიურ წრეში. რუმინიის სამხედრო მისია ბუქარესტსა და ვარშავაში იყო პოლონეთ-რუმინიის სამხედრო შეთანხმებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ მოსალაპარაკებლად. გარეშე საქმეთა მინისტრი, „ლოიალური“ თანამშრომელი თავისი კოლეგის სამხედრო მინისტრისა, „რომელმაც თვითონ დაიტოვა საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობა“,—პარიზში იყო. მის შემდეგ იქვე გაემგზავრა პოლონეთის გენერალური შტაბის სამი გენერალისაგან შემდგარი სამხედრო მისია. ეს გენერლები მარშალის მახლობელი რწმუნებულნი არიან. მეორე „სამეული“, რომელშიაც შედიოდენ გენერალი როსტოვსკი. შინაგან საქმეთა მინისტრი და პრეზიდენტი მოსციცკი რესპუბლიკის აღმოსავლეთით მდებარე განაპირა ადგილებში გაემგზავრა ამ ადგილის „მოსავლელად“. თვით მარშალი შეჰპირდა პირად მონაწილეობას ლეგიონერთა ზეიმში, რომელიც წელს ვილნოში იმართება. მანვე კეთილი ინება და იკისრა ეგ. წ.„ციმბირელებისა“ „პროტექტორატობა“, ე. ი. იმ თეთრი რაზმების მონაწილეთა პროტექტორატობა, რომელნიც 1918 წელს ციმბირში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდენ. დანციგის ნავთსადგურში მივიდნენ (მხოლოდ და მხოლოდ „სასპორტო“ მიზნით, როგორც პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყებოდა) ინგლისის კრეისერები „კემბრიჯი“ და „კენტერბერი“. სეიმში მიღებულ ისედაც ძირ-გავარდნილ სახელმწიფო ბიუჯეტში, წინა წელთან შედარებით, მეტად გადიდებულ იქნა ხარჯი არმიაზე და სამხედრო ხარჯები (ეს ხარჯები თვალის ასახვევად სხვა უწყებათა ბიუჯეტში იქნა შეტანილი), აგრეთვე ათას გვარი საიდუმლო ფონდი. შარშანდელი ბიუჯეტის ნარჩენი 400 მილიონი, რომლითაც მთავრობამ საარჩევნო კამპანიის დროს ყველას ყურები გამოუჭედა, როგორც სეიმის კომისიაში კამათის დროს გამოირკვა, დახარჯული აღმოჩნდა ისეთ მიზნებზე, რომელთა დასახელება არ შეიძლება.

რა გამომდინარეობს ყველა აქედან? ნუ თუ ის „კრიტიკული მომენტი“, რომელსაც პილსუდსკი იხსენიებდა და თან აცხადებდა—თუ ეს მომენტი დადგა, „კვლავ ვიკისრებ პასუხისმგებლობას“—ნუ თუ ეს „კრიტიკული მომენტი“ ნიშნავს ომს პოლონეთის ერთ-ერთ მეზობელთან?

შეიძლება.

შეიძლება აგრეთვე ისიც, რომ პილსუდსკიმ, რომელიც, როგორც ყველა სხვა ფაშისტურ დიქტატორი, დიდი მოყვარულია მახვილი სიტყვების, „კრიტიკული მომენტი“ მოიხსენია ისე, უბრალოთ. არ შეიძლება ყოველ ასეთ ინტერვიუს სერიოზულად შევხედოთ. მოხდება ხოლმე შინაურ და გარეულ მდგომარეობათა ისეთი გადახლართვა, როგორიც ხელს არ უწყობს სამხედრო ავანტიურების წარმატებას.

„პრავდა“, 8 ივლისი.

გერმანიის ახალი მთავრობის დეკლარაცია

დეკლარაცია მოითხოვს დაპყრობილ ოლქების დაუყოვნებლივ დაცლას

პოლონელ მენშევიკების სეიმის ფრაქცია პილსუდსკის განცხადების შესახებ

20 ივლისისათვის პეკინში მოწვეულია კონფერენცია უთანასწორო ხელშეკრულებების გადასასინჯავად

გერმანიის მთავრობის დეკლარაცია

ბერლინი, 3 ივლისი. კანცლერი მიულერი დღეს რეიხსტაგში გამოვიდა მთავრობის დეკლარაციით. დეკლარაციის მთავარი მომენტები საგარეო პოლიტიკის დარგში ასეთია: დაპყრობილ ოლქების —რეინისა და საარის ოლქების დაუყოვნებლივ განთავისუფლებისა და საყოველთაო განიარაღების მოთხოვნილება, ვინაიდან „დაუშვებელია ისეთი მდგომარეობა, როცა განიარაღებული გერმანია გარშემორტყმულია თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ სახელმწიფოებით“, დაუესის გეგმის სასწრაფოდ შეცვლა სარეპარაციო საკითხის საბოლოო მოწესრიგებით. შეეხო რა შინაური პოლიტიკის საკითხს და პირველ ყოვლისა ტრესტებისა და კარტელების საკითხს, მიულერი მოითხოვს, რომ მთავრობას უფლება ექნეს თვალყური ადევნოს მათ მოღვაწეობას, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ეკონომიური სიძლიერის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მიმართულ საკანონმდებლო ღონისძიებების შეზღუდვა. შემდეგ მიულერმა ილაპარაკა გერმანიის კონსტიტუციის განვითარების აუცილებლობაზე „დემოკრატიული მიმართულებით“ და სხ.

პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ მიულერი დაკმაყოფილდა ზოგადი ფრაზებით, განსაკუთრებით ფრთხილად შეეხო იმ საკითხებს, რომლებიც იწვევენ უთანხმოებას სოციალ-დემოკრატებსა და ბურჟუაზიულ პარტიებს შორის. კომუნისტების სკამებზე ასეთი სიფრთხილე რეპლიკებსა და სიცილს იწვევდა. ბურჟუაზიულმა პარტიებმა, რომელთა წარმომადგენლებიც „პერსონალურად“ შედიან მთავრობაში, მთავრობის დეკლარაციისადმი დიდი თავდაჭერა გამოიჩინეს.

კომუნისტები —რეიხსტაგის კომისიების თავმჯდომარეებად

ბერლინი, 3 ივლისი. კომუნისტური ფრაქცია, რომელსაც დეპუტატების რაოდენობის მიხედვით მეოთხე ადგილი უჭირავს რეიხსტაგში, ღებულობს თავმჯდომარის ორ პოსტს რეიხსტაგის კომისიებში. საბინაო კომისიის თავმჯდომარედ კომფრაქც. ასახელებს გელლეინს, სახელმწიფო მოსამსახურეების საკითხების განმხილველ კომისიის თავმჯდომარედ— **ტორგლერს**.

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება

შეთანხმება შეუძლებელია

კოვნო, 2 ივლისი. გაზეთი „იდიშე შტიმე“ იუწყება, რომ პოლონეთთან შეთანხმების პროექტი, რომელიც შეიმუშავა ლიტვამ **სადაოთ სთვლის ტერიტორიას ეხლანდელ სადემარკაციო ხაზსა და იმ საზღვრებს შორის, რომლებიც დაწესდა საზავო ხელშეკრულებით.** პროექტის თანახმად, მოლაპარაკება საგარანტიო პაქტის შესახებ შეიძლება დაწყებულ იქნეს მხოლოდ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. ლიტვის პროექტი პოლონელებისაგან მოითხოვს სხვადასხვა კომპრომისს ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე. ამიტომ პროექტი მიუღებელია. (ადს)

პოლონეთ- ლიტვის მოლაპარაკება

კოვნო, 2 ივლისი ლიტვის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, უშიშროების საკითხების და ზარალის ანაზღაურების საურთიერთო პრეტენზიების განმხილველი პოლონეთ- ლიტვის კომისიის მეორე სხდომაზე პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პირველ საკითხზე დელეგაციას ჯერ კიდევ არა აქვს მიღებული ინსტრუქციები პოლონეთის ახალი კაბინეტისაგან და რომ ინსტრუქციების მიღების დასაჩქარებლად ვარშავაში გაემგზავრა დელეგაციის წევრი პროფ. ამკოვსკი. ლიტვის დელეგაციამ განაცხადა, რომ ის მზად არის განიხილოს ზარალის ყველა საკითხი მას შემდეგ, როცა მიღწეული იქნება შეთანხმება უშიშროების საკითხზე. (ადს)

მდგომარეობა ჩინეთში

იაპონელები ჩინეთში

შანხაი, 2 ივლისი. იაპონიის სააგენტოს ტოკიოს ცნობით, ტიანძინში მცხოვრებმა იაპონელებმა პრემიერ ტანაკას მიმართეს თხოვნით—„გადასდოს იაპონიის ჯარების გაყვანა ჩრდილოეთ ჩინეთიდან“. (ადს).

„უთანასწორო ხელშეკრულებანი“,

შანხაი, 2 ივლისი, საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა მოიწვიოს 20 ივლისს ნანკინში უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები უთანასწორო ხელშეკრულებათა გადასინჯვის საკითხის განსახილველად.

„კომუნიზმის აღმოსაფხვრელად“

შანხაი, 2 ივლისი. ნანკინის მთავრობის სააგენტოს გომინის ცნობით. ცზიანსის პროვინციალურმა მთავრობამ გამოსცა ბრძანება გლეხთა ყველა კავშირის დაუყოვნებლივ დაშლის შესახებ. ეს ბრძანება წარმოადგენს ერთერთ ზომას „კომუნისტური მოძრაობის აღმოსაფხვრელად“, რადგან უკანასკნელი თვეების განმავლობაში კომუნისტებმა არეულობა გამოიწვიეს ცზინანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში“. (ადს).

პილსუდსკის გადადგომის გარშემო

ბერლინი, 2 ივლისი. ოფიციოზური „დიპლომატიშე—პოლიტიშე — კორესპონდენც“-ი ეხება პოლონეთის კაბინეტის რეკონსტრუქციას და სწერს:

„პილსუდსკი, რომელმაც უარი სთქვა პრემიერის თანამდებობაზე, მაგრამ მინისტრის პორტფელი კი შეინარჩუნა, პოლონეთის კაბინეტში წინანდებურად რჩება უძლიერეს ფიგურად და პოლიტიკურ მოღვაწედ, რომელსაც პოლონეთში ვერავინ ვერ შესცვლის. ყველა დანარჩენი მინისტრები პილსუდსკის მომხრეები არიან. ამიტომ მოსალოდნელი არ არის, რომ ბარტელის მთავრობამ გადაუხვიოს წინანდელი კაბინეტის კურსს“. (ადს).

„პეპესოველები“ პილსუდსკის წინააღმდეგ

ვარშავა, 3 ივლისი. პილსუდსკის განცხადებამ პრემიერის მოვალეობაზე უარის თქმის მიზეზების შესახებ საერთოდ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. პრესა, მთავრობასთან ახლო მდგომი გაზეთებიც კი, მცირე გამონაკლისის გარდა, არ უკეთებს კომენტარიებს განცხადებას. ეს, პირველ ყოვლისა, აიხსნება სურვილით თავიდან აიცილონ ცენზურის რეპრესიები. გუშინ გაიმართა პოლონეთის სოციალისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხდომა, რომელზედაც მიღებული იქნა რეზოლიუცია: „პოლონეთის სოციალისტური პარტიის კლუბი (ფრაქცია) აღნიშნავს, რომ პილსუდსკის ინტერვიუს ის ნაწილი, რომელშიაც ლაპარაკია „პოლონეთისათვის ახალი კანონების თავზე მოხვევის“ შესაძლებლობის შესახებ, შეიცავს სახელმწიფო გადატრიალების მუქარას და მიმართულია იმ კონსტიტუციის წინააღმდეგ, რომლის ერთგულებაზეც მარშალმა პილსუდსკიმ სხვა მინისტრებთან ერთად ფიცი დასდო რამდენიმე დღის წინად.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის კლუბს თავის მოვალეობად მიაჩნია აღნიშნოს, რომ მარშალ პილსუდსკის ინტერვიუ პოლონეთის სახელმწიფოს აყენებს დიდ შეურაცყოფასა და ზიანს. პოლ. სოციალისტური პარტიის კლუბი აცხადებს, რომ მას დამცირებად მიაჩნია კამათი და პასუხის გაცემა იმ შეურაცმყოფელ სიტყვებზე, რომლებიც პილსუდსკიმ გადმოისროლა თავის ინტერვიუში“.

„რაბოტანიკა“-ს (პოლ. სოც. პარტ. ორგანო) დღევანდელი ნომერის, რომელშიაც მოთავსებული იყო ეს რეზოლიუცია და მოწინავე წერილი ამ თემაზე, კონფისკაცია უყვეს. გაზეთი გამოვიდა ხელმეორედ გამოტოვებული ადგილებით. სხვა გაზეთების რედაქციებს პოლიციამ აცნობა, რომ მოახდენენ იმ გაზეთის კონფისკაციას, რომელიც ამ რეზოლუციას დაბეჭდავს.

ზოგიერთმა საპარლამენტო ფრაქციებმა მოიწვიეს სასწრაფო სხდომა პილსუდსკის განცხადების განსახილველად.

საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ ელზასში

პარიზი, 2 ივლისი. სტრასბურგში მოხდა ავტონომისტების „სახალხო-რესპუბლიკანური კავშირის“ აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სხდომა. კომიტეტის მიერ მიღებული რეზოლიუცია მოითხოვს ფართო ადმინისტრატიული რეფორმების გატარებას ელზასში და ბრალს სდებს მთავრობას იმაში, რომ მან რეპრესიებისა და ძალადობის პოლიტიკით ელზასში აუტანელი მდგომარეობა შექმნა. (ადს)

პარტიის საკანდიდატო შემადგენლობის შემოწმება

ა-კავკასიის რესპუბლიკათა კომპარტიების, ს.კ.პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის ინსტრუქციის თანახმად ,შეუდგენ თავიანთი რიგების საკანდიდატო შემადგენლობის გადათვალიერებას საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედებში (როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ორგანიზაციაში), ამ გადათვალიერების მიზანს შეადგენს კანდიდატთა შემადგენლობის გაუმჯობესება, გამოაშკარავება და თავიდან აცილება დეფექტებისა უჯრედების მუშაობაში და პარტიის გაწმენდა უცხო და პასიურ ელემენტისაგან.

აღზრდა ფოლადისებური და მტკიცე კომუნისტური კადრებისა, რომლებიც შესძლებენ დაეხმარონ სოციალისტური სახელმწიფოს აგებას ,აღზრდა ასეთი კომუნისტებისა განსაკუთრებით არაპროლეტარული ელემენტებიდან არის ამოცანა, რომელიც მოითხოვს პარტორგანიზაციებისაგან უდიდეს მეცადინეობას და განსაკუთრებულ ყურადღებას.

ჩვენი ორგანიზაციის ეს ფენა, რომელსაც ხშირი ურთიერთობა და ნათესაური კავშირი აქვს წვრილბურჟუაზიულ წრესთან, ყველაზე უფრო ადვილად ემორჩილება პროლეტარიატისთვის უცხო იდეოლოგიას. ბიუროკრატიზმი, კომკავშირული ყოყოჩობა, პროტექციონიზმი, საკუთარი თავისთვის და ჯიბისთვის ზრუნვა და სხ., რომელნიც ხრწნიან ჩვენს სახელმწიფოებრივ ორგანიზმს, აფერხებენ სვლას სოციალიზმისკენ, — ნაყოფიერ ნიადაგს პოვებენ ჩვენი პარტიის სწორეთ ამ, ყველაზე უფრო მერყევ, ნაწილში.

პარტია, გამომდინარეობს რა აქედან, დრო და დრო ამოწმებს ორგანიზაციის არაპროლეტარული შემადგენლობის რიგებს.

ეხლანდელი შემოწმება, წინანდელის მსგავსად, უნდა შეეხოს მხოლოდ არა საწარმოო და უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედების პარტიის კანდიდატებს. იგი შეეცდება გამოამჟღავნოს ის უცხო ელემენტები, რომელნიც პარტიას მიეტმასნენ და მასში შეიჭრენ კერძო ინტერესებისათვის და კარიერასტული მოსაზრებებით. შემოწმება პარტიის რიგებს გარეშე დასტოვებს იმათ, ვინც კანდიდატობის ,ე. ი. პარტიულ გამოცდაზე ყოფნის განმავლობაში არ გაამართლა პარტიის ნდობა და თავისი ყოფა-ქცევით სახელი გაუტეხა მას. შემოწმების ამოცანას შეადგენს აგრეთვე იმ მიზეზების გამორკვევა, რომლებმაც შეაფერხეს კანდიდატების თავის დროზე გადაყვანა პარტიის წევრებად.

შემოწმება, უეჭველია ,დადებით შედეგებს მოგვცემს. ის თვითეულ კანდიდატს წაუყენებს საკითხს პასუხისმგებლობის შესახებ პარტიის წინაშე თავისი საქციელისთვის, იმის შესახებ, თუ პოლიტიკური განვითარების რა დონეზე სდგას იგი. შემოწმება გააჯანსაღებს ახალგაზრდას, ხელს შეუწყობს თვითკრიტიკას და ახალი ცოდნის შეძენას.

შემოწმების წარმატებით ჩატარებისთვის შემმოწმებელმა კომისიებმა ანგარიში უნდა გაუწიონ მათზე დაკისრებული მუშაობის მნიშვნელობას და სირთულეს, ცხადად უნდა შეიგნონ შემოწმების ამოცანები. უპირველეს ყოვლისა ,უნდა შეიქნას ისეთი ატმოსფერა, რომ ყველა ნდობით განიმსჭვალოს შემმოწმებელი კომისიების მიმართ. ამისთვის ეს უკანასკნელები მეგობრულათ და ამხანაგურათ უნდა მოეპყრან ყველა შესამოწმებელ ამხანაგს, განსაკუთრებით მუშებსა და გლეხების წრიდან გამოსულებს და ქალებს.

შემდეგ, შემმოწმებელმა კომისიებმა ყურადღება უნდა მიაქციონ თვითეული შესამოწმებელის პიროვნების ყოველმხრივ გამორკვევას — აქვს თუ არა მას ნათესაური ან არასაქმიანი კავშირი ანტისაბჭოთა, ბურჟუაზიულ-ნეპმანურ ელემენტებთან, ხომ არ იმყოფება იგი გამხრწნელი გავლენის ქვეშ, ხომ არა აქვს მას მიდრეკილება კარიერიზმისაკენ და სხვ.

ამავე დროს შემმოწმებელმა კომისიებმა უნდა გამოარკვიონ ყოველი შესამოწმებელის პარტიული სიმტკიცე და მისი ერთგულება კომპარტიისადმი, მისი აქტივობა პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში, მისი კავშირი უპარტიო მუშურ- გლეხურ მასებთან. განსაკუთრებული გულისყური და დაკვირვება საჭირო სხვა პარტიებიდან გამოსულების შემოწმების დროს. ასეთების რიცხვი კი საკმაოთ საგრძნობია ა-კავკასიის ორგანიზაციებში .შემმოწმებელმა კომისიებმა ყურადღებით უნდა შეისწავლონ საკანდიდატო შემადგენლობის უჯრედების მუშაობა, აგრეთვე ის, თუ რამდენად არიან კანდიდატები ჩაბმული პარტიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

კომისიებს დიდი დაფიქრება მართებთ აგრეთვე შესამოწმებელთა შესახებ ამა თუ იმ გადაწყვეტილების გამოტანის დროს. შეიძლება უფრო მიზანშეწონილი იყოს, რომ ერთნი, რომელნიც იქნებ მცირედ დაშორდენ პარტიას, მაგრამ რომელთაც ჯერ კიდევ შერჩენიათ კომუნისტური სახე, გადაყვანილ იქნენ მუშაობისთვის უფრო სად პროლეტარულ პირობებში, ხოლო მეორეებს, რომელნიც პასიურათ ეკიდებიან პარტ მოვალეობებს ან რომელთაც საკმაო პოლიტიკური ცოდნა არ მოეპოვებათ, დაევალოთ მიიღონ აქტიური მონაწილეობა პარტმუშაობაში და განსაზღვრულ ვადაში შეივსონ პოლიტცოდნა. ამასთან მოსამსახურეებს, რომლებიც განათლებით არიან აღჭურვილნი, უნდა წარედგინოთ უფრო მეტი მოთხოვნილებანი, ვიდრე ყოფილ მუშებს და გლეხებს. სხვადასხვა უმნიშვნელო საქციელისთვის ამხანაგს უნდა გამოეცხადოს საყვედური, მიეცეს შენიშვნა და სხვ. და მხოლოდ იმათ მიმართ, რომელნიც გარკვევით ეკუთვნიან უცხო (მიტმასნებულ), გახრწნილ ელემენტებს, ან წარმოადგენენ აშკარა ბალასტს. მიღებულ უნდა იქნას ისეთი ზომა, როგორიც არის „საკონტროლო ცოცხი“ —უყოყმანოთ გაძევება პარტიის რიგებიდან. იმ ამხანაგის მიმართ კი, რომელთაც საკანდიდატო სტაჟი გაასცდინეს პარტსახელი უნდა დაუკავშირდეს ამ გაცდენის მიზეზს, რომლების გამოც კანდიდატი არ იქნა თავის დროზე გადაყვანილი პარტიის ნამდვილ წევრად. თავიანთი პასიურობის მიზეზით კანდიდატებათ ჩარჩენილებს კომისია უფრო სასტიკად უნდა მოეპყრას, ვიდრე იმათ, რომელთა არ გადაყვანაც პარტიაში სხვა მიზეზით მოხდა.

თავიანთი გადაწყვეტილებების გამოტანის დროს შემმოწმებელმა კომისიებმა ანგარიში უნდა გაუწიონ შემოწმებულის არა მარტო უარყოფით მხარეებს, არამედ მის დადებით მხარეებსაც. თუ დადებითი მხარეები დასძლევენ უარყოფითს. მაშინ მიღებულ უნდა იქნას გამამხნევებელი ან გამასწორებელი ხასიათის ზომები.

ფართო პარტიულ-საზოგადოებრივი აზრის შექმნა შემოწმების ირგვლივ აუცილებელი პირობაა შემოწმების წარმატებით ჩატარებისთვის ამავე დროს შემმოწმებელი კომისიები გადაჭრით უნდა შეებრძოლონ შესამოწმებელის წინააღმდეგ წარდგენილ დაუსაბუთებელ ცნობებს. ის, ვინც ბრალდებისათვის შეუმოწმებელი ხმებით სარგებლობს, პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული.

მთელი პარტიული მასების აქტიური მონაწილეობა შემოწმების საქმეში. მათ მხრივ შემოწმებული კომისიების ყოველმხრივი დახმარება საკანდიდატო შემადგენლობის შესწავლის და ყოველი შესამოწმებელის პარტიული სახის გამორკვევის დროს, აგრეთვე საკანდიდატო უჯრედების აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლთა გამორკვევის დროს—ხელს შეუწყობს პარტიის მიერ წამოყენებული მორიგი ამოცანის ნაყოფიერათ გადაჭრას.

ვანო სტურუა.

საქართველოს ცაკის მეოთხე სესია

სესიის გახსნა

გუშინ საღამოს სასახლის წითელ დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეოთხე სესია.

სესია გახსნა საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

სესიის გახსნისას ამხ. ფილიპე მახარაძემ სთქვა:

— საბჭოთა ხელისუფლებას როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საქართველოს მასშტაბით გამოაკლდა რამოდენიმე პოლიტიკური მოღვაწე. ჩვენ დავკარგეთ საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ციურუპა**, ამ უკანასკნელ დროს კი დავკარგეთ საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის და მისი პრეზიდიუმის წევრი და იმავე დროს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარი ამხ. **გეგეჭკორი**. ვთხოვ სესიას ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებულთა ხსოვნას. (ყველანი ფეხზე დგებიან).

ამხანაგებო, უკანასკნელი დროის განმავლობაში ჩვენს მუშაობაში ადგილი აქვს მეტად მნიშვნელოვან მიღწევებს. მე, რა თქმა უნდა, არ გამოვუდგები ამის დაწვრილებით აღნუსხვას; მივაქცევ თქვენს ყურადღებას მხოლოდ ზოგიერთ დამაბრკოლებელ გარემოებებზე.

შარშანდელი წელიწადი მოუსავლიანი წელიწადი იყო. თუ ავიღებთ დასავლეთ საქართველოს, იქ რამოდენიმე მაზრა, რომელიც წინად ასაზრდოებდა მთელს რაიონს; სრულიად დაიშმა. უკანასკნელ დროს, როცა უკრაინაში და რუსეთში გართულდა პურის დამზადების საქმე, ჩვენშიაც საგრძნობი შეიქნა პურის ნაკლებობა. ადგილი ჰქონდა კიდევ სხვა საქონლის ნაკლებობასაც. მაგრამ მიუხედავათ ამისა სიმშილობას ადგილი არ ჰქონია. საბჭოთა ქვეყანაში სიმშილობას არც შეიძლება ჰქონდეს ადგილი, რადგანაც გაჭირვებულ რაიონებს ჩვენ სწრაფად მივაწოდებთ ხოლმე საჭირო პროდუქტებს ისეთ რაიონებიდან, სადაც ასეთები უხვად მოიპოვება.

თუ ავიღებთ თესვის კამპანიას, უნდა ვსთქვათ, რომ იგი ვერ იქნა ჩატარებული სავსებით დამაკმაყოფილებლად, თუმცა დაუთესავი ძალიან ცოტა დარჩა. ჩვენ სავსებით უნდა გამოვიყენოთ ეს გამოცდილება და ეხლავე შევუდგეთ შემოდგომის თესვის კამპანიას. ჩვენ მტკიცეთ უნდა შევიგნოთ ის აზრი, რომ ჩვენს პირობებში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პურეულის მოსავალს. ჩვენ [illegible] 21 მილიონ ფუთზე მეტი საკვები პროდუქტები შემოვიტანეთ საქართველოში. უნდა მივიღოთ ზომები, რომ ხორბლეულის დამზადებას საფუძველი ჩაეყაროს საქართველოშიაც. უნდა შეიცვალოს ის შეხედულება, თითქოს ჩვენ არ გვეხება ხორბლეულის დამზადება.

შემდეგ, ამხანაგებო, უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად როგორც პარტიის, ისე საბჭოთა ხელისუფლების ხაზით ჩვენ ვატარებთ თვითკრიტიკის კამპანიას. თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც ეს კამპანია დაიწყო, მაგრამ ჩვენ უკვე გვაქვს დიდი მიღწევები. მიუხედავათ ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ თვითკრიტიკამ ჩვენში ფართოდ გაშალა ფრთები. თვითკრიტიკა უნდა მოდიოდეს ქვევიდან. საქმე იმაშია, რომ თვითკრიტიკა უნდა ეხებოდეს მთელს ჩვენს მუშაობას და არა ცალკე ნაკლს. თვითკრიტიკის საშუალებით ჩვენ თავიდან უნდა ავიცილოთ შეცდომები და დეფექტები, რომლებიც აქამდე ახასიათებდა ჩვენი მუშაობის ზოგიერთ დარგებს. მაგრამ შეიძლება თვითკრიტიკა ისეთ რამეზე იქნეს გადატანილი, რაც არ იქნება ჩვენთვის სასარგებლო, ე. ი. შეიძლება მოხდეს მისი გადამახინჯება. სწორედ ეს აღნიშნა თავის წერილში ამხ. **სტალინმა**. ამხ. სტალინი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევებში თვითკრიტიკა გამოიყენებს პირადი ანგარიშების გასასწორებლად. ასეთი თვითკრიტიკა, რასაკვირველია, არავითარ სარგებლობას არ მოგვიტანს. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ თვითკრიტიკის გადამახინჯების წინააღმდეგ და თვითკრიტიკა უნდა გადავაქციოთ სოციალისტური აღმშენებლობის მძლავრ იარაღად. (ტაში).

სესიის დღის წესრიგი

შემდეგ სესიამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1) ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა უფლებების და მოვალეობების გაფართოების შესახებ.
2) განხილვა და დამტკიცება საკანონმდებლო აქტებისა, რომლებიც პრეზიდიუმის მიერ მიღებული იყო სესიიდან სესიამდე.
3) ორგანიზაციული საკითხები.
4) მიმდინარე საკითხები.

ამხ. ი. ვარძიელის მოხსენება

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. **ი. ვარძიელი**.

ამხანაგებო, იმ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც ამჟამად დასმული აქვს საბჭოთა ხელისუფლებას დღის წესრიგში (ადგილობრივ ორგანოების მუშაობის გაძლიერება, მათ საქმიანობაში მასების აქტიური მონაწილეობის გაფართოება, საბჭოთა აპარატის კიდევ უფრო დაახლოება მასებთან), მოკავშირე რესპუბლიკებში და კერძოდ საქართველოში დაისვა საკითხი ადგილობრივი ორგანოების უფლება-მოვალეობათა გაფართოების შესახებ. ეს საკითხი, როგორც უკვე აღვნიშნე, დაისვა ყველა მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც იგი უკვე განხორციელებულია.

ამ საკითხის დამუშავება მინდობილი ჰქონდა მუშათა და გლეხთა ინსპექციას, რომელმაც შეიმუშავა სათანადო პროექტი; შემდეგ გამოყოფილი იქნა კომისია, რომელსაც დაევალა საბოლოო პროექტის შედგენა. კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი დამტკიცებული იქნა ცაკის პრეზიდიუმის მიერ.

ახალი პროექტი ითვალისწინებს მთელ რიგ ცვლილებების შეტანას არსებულ დებულებაში. უპირველეს ყოვლისა ცვლილებები შეეხო ადმინისტრატიულ და საერთოდ მმართველობის დარგს. ამ პროექტის მიხედვით თემსაბჭოებს უფლება უნდა მიეცეთ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებები სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ქონების დაცვის, ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის და კეთილმოწყობის საკითხების შესახებ; სამაზრო აღმასკომებს უფლება უნდა მიეცეთ წარადგინონ ადგილობრივ სახალხო სასამართლოებში სარჩელი კაბალურ ხელშეკრულებათა გაბათილების შესახებ; უნდა დაევალოს სათემო საბჭოებს მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კოდექსის თანახმად; თემაღმასკომებს უფლება უნდა მიეცეთ აღრიცხონ გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებანი და მოხალისე სახანძრო საზოგადოებანი იმ შემთხვევაში, როდესაც ხსენებულ საზოგადოებათა სამოქმედო რაიონი განისაზღვრება თემის ტერიტორიით, და სხვა.

შრომის დარგში პროექტით გათვალისწინებულია: თემის ფარგლებიდან სამუშაოზე წასულ მოქალაქეთა აღრიცხვა; ზედამხედველობა და კონტროლი სოფლად მუშა ძალის შეკრებაზე, დაქირავებული მუშების აღრიცხვა და მათი რაოდენობის შესახებ ცნობების წარდგენა სახელმწიფოს სტატისტიკის ორგანოებში და ცნობების მიწოდება მოსახლეობისათვის იმის შესახებ, თუ რომელ ადგილებშია მუშა-ძალის მოთხოვნილება.

სახალხო ჯანმრთელობის დარგში პროექტით გათვალისწინებულია: წინადადება მიეცეს საქართველოს, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის ჯანსახკომებს 1928—29 საბიუჯეტო წლიდან ის სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებანი, რომელთაც არსებული წესით არა აქვთ მიკუთვნებული საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, გადასცენ იმ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ აღმასკომების გამგებლობაში, რომელთა ბიუჯეტზედაც იმყოფებიან ხსენებული დაწესებულებანი. გამონაკლისი დაშვებული იქნება იმ სამკურნალო სასანიტარო დაწესებულებათათვის, რომელთაც აქვს მნიშვნელობა რამოდენიმე მაზრისათვის და რომელთათვისაც ძალაში დარჩება დაქვემდებარების არსებული წესი, რაც შეეხება სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა ხელმძღვანელ პერსონალს, პროექტის მიხედვით თემის ბიუჯეტზე მყოფ სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებათა ხელმძღვანელი პერსონალი დანიშნულ, დათხოვნილ და გადაყვანილ უნდა იქნეს მაზრის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ თემაღმასკომებთან შეთანხმებით.

სასოფლო მეურნეობის დარგში: მომავალი საბიუჯეტო წლიდან მაზრის საადგილ-მამულო ორგანოების უშუალო გამგებლობაში გადაცემული უნდა იქნეს (შესაბამისი თანხის ადგილობრივ ბიუჯეტზე გადატანით) ამჟამად მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მყოფი: ა) უდეფიციტო ამერიკული ვაზის სანერგეები და ხეხილი, რომელიც სახკომსაბჭოს ცალკე დადგენილებით ცნობილია ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე სანერგეთა და ხეხილად; ბ) სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების საწყობი, გარდა ცენტრალურისა.

სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილებებს უფლება უნდა მიეცეთ გადასწყვიტონ ის საქმეები, რაც შეეხება იმ ადგილობრივ მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო მიწების შრომითი იჯარით გაცემას, რომელნიც შეტანილია მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ სიებში, გარდა საბჭოთა მეურნეობების და საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე სპეციალური ფონდის მიწებისა, რომელთა სიებს სახალხო კომისართა საბჭო ამტკიცებს; თევზის საჭერი ყველა ადგილები უნდა გადაეცეს სათანადო სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს და უნდა მიეცეთ მათ უფლება ხსენებულ ადგილების ექსპლოატაციისა არსებულ წესების მიხედვით.

ადგილობრივ მეურნეობის დარგში პროექტი თემსაბჭოს ფუნქციებს აკუთვნებს: სათემო მნიშვნელობის ქონებათა და საწარმოთა გამგებლობას, მათ ექსპლოატაციას უშუალოდ ან მოქმედი კანონმდებლობის თანახმად იჯარით გაცემის საშუალებით, ახალ როგორც წარმოებითი, ისე სავაჭრო ხასიათის საწარმოთა მოწყობას, თემსაბჭოს გამგებლობაში არსებულ ქონების საინვენტარო აღწერის შედგენას და სხვა.

ადგილობრივი ბიუჯეტის დარგში: იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივ ბიუჯეტის სათანადო საბჭოთა ყრილობის ან საბჭოების მიერ დამტკიცება ახალ საბიუჯეტო წლის დაწყებამდე შეუძლებელია,—უდეფიციტოდ შედგენილი ადგილობრივი ბიუჯეტები შეიძლება უშუალოდ შესრულებული იქნეს მაზრაღმასკომების პლენუმების, ხოლო ავტონომიურ ერთეულებში—სათანადო ცაკების მიერ მიღების შემდეგ. სათანადო მაზრ-აღმასკომების პლენუმების, ხოლო ავტონომიურ ერთეულებში—სათანადო ცაკის მიერ მიღებული დეფიციტიანი ბიუჯეტით, ვიდრე ის საბოლოოდ დამტკიცდებოდეს, კრედიტი გაიხსნება არა უმეტეს წინა წლის ბიუჯეტის ერთ მეთორმეტედი რაოდენობისა იმ ხარჯების გამოკლებით, რაც უკვე გაწეულია წინა წლის ბიუჯეტით; ამჟამად ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისა, გატარებისა, დამტკიცებისა და შესრულებისათვის სათანადო დამტკიცებული წესების უქონლობის გამო, დაევალოს ფინსახკომს შეიმუშაოს სათანადო საკანონმდებლო აქტი, რომელიც გამოასწორებს აღნიშნულ ნაკლს და გაითვალისწინებს ამ დარგში ადგილობრივი ორგანოების უფლებების გაფართოებას. იმ შემთხვევაში უკეთუ მაზრის და მისი ქვემდებარე ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულის ბიუჯეტით აღმოჩნდება ახალი შემოსავალი ან გამოუყენებელი შემოსავალი,—მაზრაღმასკომებს მიეცეს უფლება დამატებითი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებისა საქართველოს ფინსახკომისათვის შემდეგში სათანადო ცნობის წარდგენით.

სახალხო განათლების დარგში პროექტით გათვალისწინებულია: არა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე სახალხო განათლების დაწესებულებანი უნდა გადაეცეს იმ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულის აღმასკომს, რომლის ბიუჯეტზედაც ხსენებული დაწესებულებანი იმყოფებიან. ამ შემთხვევაში განათლების სახალხო კომისარიატის ხელში დარჩება იმ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა უშუალო ხელმძღვანელობა, რაც მის გამგებლობაში იმყოფება და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობაში მყოფ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა საერთო ხელმძღვანელობა, როგორც საორგანიზაციო და ადმინისტრატიულ, ისე სამოსწავლო და მეთოდიურ სფეროებში; მაზრის აღმასკომების და საქალაქო საბჭოების სახალხო განათლებას ორგანოების მიერ დანიშნულ კულტგანმანათლებელ დაწესებულებათა გამგეების უკან გაწვევის უფლება რჩება განათლების სახალხო კომისარიატს; მაზრაღმასკომებს უფლება ეძლევათ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულ სკოლის ტიპიურ გეგმის საფუძველზე დაამტკიცონ ხოლმე სკოლის ასაგები შენობის გეგმა. მიუხედავათ იმისა სკოლა შენდება ადგილობრივი ბიუჯეტის თუ მოსახლეობის ხარჯზე.

ამუნდსენი დაიღუპა?

ლონდონი, 2 ივლისი. პარიზიდან იუწყებიან, რომ ოსლოდან მიღებული ცნობის თანახმად, ამუნდსენის გვამი იპოვეს ზღვაში ნორვეგიის ნაპირებთან.

ცნობაში არაფერია ნათქვამი საფრანგეთის მფრინავ გილბოს შესახებ, რომელიც ამუნდსენს ახლდა.

ოსლოდან ლონდონში მიღებული ცნობების მიხედვით, ნორვეგიის საზღვაო სამინისტროს არ მიუღია ამუნდსენის გვამის პოვნის შესახებ გავრცელებულ ხმების დამამტკიცებელი ცნობები (ადს).

რადიო „მალიგინიდან“

ყინულის მჭრელი „მალიგინი“. 3 ივლისი. 2 ივლისს დილიდან ქარი მეტად გაძლიერდა. ყინული ძალიან მოძრაობს, იმტვრევა და ჯგუფდება. „მალიგინი“ სწრაფად მისცურავს ყინულიანი მთების მახლობლად „იმედი“-ს კუნძულისაკენ. ბაბუშკინისაგან მესამე დღეა ცნობები არ არის. ხშირი ნისლის გამო ყინულის ზედაპირი თოვლის ქაობად გადაიქცა რაც აძნელებს თვითმფრინავის აფრენას. ვიზე ფიქრობს, რომ ჯერ ჯერობით თვითმფრინავს საშიში არაფერი მოელის. სურსათი აპარატზე 6 ივლისამდე სამყოფია. „მალიგინი“ დარჩება კუნძულთან, სადაც პირობისამებრ ბაბუშკინმა უნდა ეძებოს იგი.

დეტერდინგის მანევრები

ბერლინი, 2 ივლისი. „ბერლინერ ტაგებლატი“ იუწყება: ინგლისისა და ჰოლანდიის წყაროებიდან გავრცელებული ცნობების თანახმად, სინამდვილეს არ შეეფერება ხმები იმის შესახებ, ვითომც შერიგება და შეთანხმება მომხდარიყოს ამერიკის ნავთის ტრესტს „სტანდარტ-ოილისა“ და ინგლის-ჰოლანდიის ტრესტს „როიალ დეჩ შელს“ შორის.

ნიუ-იორკში აცხადებენ, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო მოხსნილია საკითხი იმის შესახებ, რომ შეიქმნას „ნავთის ყოფილი მრეწველობის ამანაზღაურებელი ფონდები საბჭოთა ნავთის გაყიდვით მიღებული შემოსავლისაგან“. საკითხის ასეთი გადაწყვეტა დეტერდინგმა თვითონ გახადა შეუძლებელი თავისი განცხადებით, ვითომც საბჭოთა ნავთი „ნაქურდალს“ წარმოადგენდეს.

გაზეთი ფიქრობს, რომ ლონდონისა და ამსტერდამის ცნობები ორი ტრესტის კონფლიქტის მოსპობის შესახებ „შეიძლება უკანდასახევი მანევრი იყოს ბრძოლის ამტეხისა, რომელსაც აღარა სურს ბრძოლა ან არ სურს განაგრძოს იგი პირვანდელი სახით“ (ადს).

სასიკვდილო განაჩენი

ვენა, 2 ივლისი. ალბანეთიდან იტყობინებიან, რომ ტირანაში 30 ივნ. გამოტანილ იქნა განაჩენი იმ პირთა საქმეზე, რომლებსაც ბრალდებოდათ შეთქმულების მოწყობა ალბანეთის დიქტატორის ახმედ-ზოგუს მოსაკლავად.

ხუთი ბრალდებულიდან ოთხს, მათ შორის ალბანეთის ყოფილ პრემიერს ჰასან პრიშტინას, რომელიც ვენაში სცხოვრობს, მიესაჯა სიკვდილით დასჯა ამ უკანასკნელის დაუსწრებლად. მეხუთე ბრალდებული გაამართლეს.

1 ივლისს განაჩენი სამის მიმართ სისრულეში მოიყვანეს (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გაფიცვების ტალღა საფრანგეთში

მოსკოვი, 3 ივლისი. „პრავდა“-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია საკუთარ კორესპონდენტის **გაბრიელ პერის** დეპეშა პარიზიდან გაფიცვების ტალღის ზრდის შესახებ საფრანგეთში.

კორესპონდენტის ცნობით, ამ დღეებში პარიზის ოპერის მოედანზე გაიმართა უმუშევართა მასიური დემონსტრაცია. პოლიციამ ალყა შემოარტყა დემონსტრანტებს და მათ შორის დააპატიმრა 237 კაცი.

მხოლოდ წარსული ერთი თვის, ივნისის განმავლობაში საფრანგეთის სხვადასხვა სამრეწველო ცენტრებში მოეწყო 80 გაფიცვა. უმრავლესობა ამ გაფიცვებიდან მუშათა სასარგებლოდ დამთავრდა.

მომხდარ ამბების შესახებ პარლამენტში მთავრობის პოლიტიკის ვრცელი მამხილებელი სიტყვით გამოვიდა კომუნისტი პიკმალი. შეეხო რა უკანასკნელად მომხდარ გაფიცვებს, ორატორმა გამოააშკარავა ბურჟუაზიულ სტაბილიზაციის უბადრუკობა.

მთავრობის ვექილის როლი იკისრა სოციალისტ გრუმბახმა, რომელმაც სხვათა შორის განაცხადა, რომ არასოდეს არ დაეთანხმები კომუნისტების მიერ პუანკარეს მიმართ წამოსროლილ ფორმულას— „პუანკარე ომი“-ო.

კამათის დასასრულ კომუნისტური ფრაქციის სახელით დეპუტატ გურემ გამოაქვეყნა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია: ლოზუნგი ნაციონალური გაერთიანების შესახებ მიზნად ისახავს მხოლოდ ერთს: წარმოების რაციონალიზაციის სიმძიმის მთლიანად მშრომელებზე გადატანას, რასაც შედეგად მოსდევს დაუზოგავი ექსპლოატაცია, უმუშევრობა და ომი.

სპეციალისტების კადრები მუშებისაგან

მოსკოვი, 3 ივლისი. სპეციალისტთა ახალი კადრების მომზადებას უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არა მარტო პრესაში, არამედ განათლების სათანადო ორგანოებში. საკითხი კარგა ხანია პრაქტიკულად სდგას. აღებულია მტკიცე კურსი იმისაკენ, რომ ახალი წითელი სპეციალისტების კადრები შედგენილ იქნეს უმთავრესად მუშებისაგან.

ამ მიზნით მომავალ სამოსწავლო წლიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში მისაღებ პირთა შერჩევის საკითხს. პროფესიონალურ განათლების მთავარ სამმართველომ გამოიტანა დადგენილება იმის შესახებ, რომ ინდუსტრიალურ- ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში მომავალ სამოსწავლო წლიდან მიღებული იქნას არა ნაკლებ 65 პროცენტ მუშებისა.

ამასთან ერთად იმავე პროფესიონალურ განათლების მთავარ სამმართველოს დადგენილების თანახმად, მუშათა ფაკულტეტებში კურსდამთავრებულთათვის სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელში უნდა გადიდებულ იქნას ნორმა 75 პროცენტამდე.

ხელოვნების მუშაკები მიემგზავრებიან კოლმეურნეობებში

მოსკოვი, 3 ივლისი. კოლექტიურ მეურნეობათა საკავშირო გაერთიანებამ აცნობა მთელ რიგ ხელოვნების მუშაკებს, რომ ისინი მიწვეულნი არიან კოლექტიურ მეურნეობების მიერ. ამ დღეებში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონების კოლექტიურ მეურნეობებში მიემგზავრებიან შემდეგი პირები: ბორის პილნიაკი, ტრეტიაკოვი, გრაბარი და სხვანი.

დახმარება უმუშევრებს

მოსკოვი, 3 ივლისი. პროფკავშირების საკავშირო საბჭო ამუშავებს პროექტს უმუშევართათვის დახმარების გადიდების შესახებ. დახმარების გადიდება განსაკუთრებით შეეხება უმუშევართა პირველ კატეგორიას. ახალი პროექტის თანახმად უნდა გადიდებულ იქნას აგრეთვე ინვალიდების პენსიის რაოდენობაც.

დამოუკიდებელი მუშათა პარტიის აღმასკომი

კუკის და მექსტონის მოწოდების შესახებ

ლონდონი, 2 ივლისი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის აღმასკომის სხდომაზე განხილულ იქნა მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის თავმჯდომარის მექსტონის და სამთო-მადნო მუშათა ფედერაციის მდივნის კუკის მიერ მოწოდების გამოქვეყნების შემდეგ როგორც ვიცით, მოწოდება მიმართულია მუშათა პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და პროტესტს აცხადებს „მუშათა პარტიის მებრძოლი სულის მოდუნების“, და იმის წინააღმდეგ, რომ „მუშათა პარტიაში სდევნიან და ავიწროებენ ყველას, ვისაც არ ულალატნია მუშათა მოძრაობის იდეალებისათვის“. მოწოდება საჭიროდ სთვლის ჩატარებულ იქნეს მთელს სახელმწიფოში კონფერენციები და მიტინგები მუშათა პარტიის ბელადების ახალ ტაქტიკის განხილვის მიზნით.

სხდომის შემდეგ გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ნათქვამია:

„აღმასკომი სავსებით ეთანხმება მოწოდების მიზნებსა და ხასიათს. გამოსთქვამს რა კმაყოფილებას იმის გამო, რომ მოწოდება არ ისახავს მიზნად მუშათა მოძრაობაში განხეთქილების შეტანას, აღმასკომი მოუწოდებს მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს და პარტიის ყველა წევრებს მონაწილეობა მიიღონ ცდაში რომლის მიზანია ძლიერი სოციალისტური პროგრამის უზრუნველყოფა“.

პოლიტიკურ წრეებში მიაჩნიათ, რომ აღმასკომის გადაწყვეტილება დამახასიათებელია დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ბელადების ტაქტიკისათვის. გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ კუკისა და მექსტონის მიერ დაწყებული კამპანია ვერავითარ შედეგს ვერ მოიტანს. როგორც სჩანს, დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ბელადებმა გადასწყვიტეს ჩააყენონ ეს კამპანია „უშიშარ კალაპოტში“. (ადს).

გემო-კვების მუშაკთა საერთაშორისო კონგრესი

ვენა, 2 ივლისი. 2 ივლისს ვენაში გაიხსნა გემოკვების მუშაკთა მეოთხე საერთაშორისო კონგრესი. დღის წესრიგის უმნიშვნელოვანესი საკითხებია: გემოკვების მუშაკთა ინტერნაციონალში ამ ცალკე ნაციონალური კავშირების მიღების დამტკიცება, რომლებიც შევიდნენ ინტერნაციონალში მესამე კონგრესის შემდეგ; 8 საათის სამუშაო დღე, მცხობელთა ღამით მუშაობა, საკვები მრეწველობის საერთაშორისო კულტურა და გემო-კვების მუშაკთა მდგომარეობა.

კონგრესს საბჭოთა კავშირიდან ესწრება სამი დელეგატი.

მისასალმებელი სიტყვებით კონგრესს მიმართეს: ოტო ბაუერმა—ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით, ტოვალოვიც მა—ერთა ლიგასთან არსებულ შრომის საერთაშორისო ბიუროს სახელით და სხვ.

მისალმებათა შემდეგ საბჭოთა დელეგატმა ვეინბერგმა შეიტანა წინადადება, რომ დღის წესრიგში შეტანილი ყოფილიყო ომის საფრთხის საკითხი. ვეინბერგმა აღნიშნა, რომ ყველა იმპერიალისტური სახელმწიფო გაფაციცებით აწარმოებს სამხედრო მზადებას, რომელიც უმთავრესად მიმართულია საბჭ. კავშირის წინააღმდეგ.

გემოკვების მუშაკებიდან შიფერშტეინმა მოითხოვა საბჭოთა დელეგაციის წინადადების უარყოფა. მან განაცხადა, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი მოკლე დროში განიხილავს ომის საფრთხის საკითხს მეორე ინტერნაციონალთან ერთად. შიფერშტეინის აზრით. ეს საკითხი არ შედის კონგრესის კომპეტენციაში.

საბჭოთა დელეგაციის წინადადება უარყოფილ იქნა ყველა ხმის უმრავლესობით 16 ხმის წინააღმდეგ. ყველა ხმის უმრავლესობით 16-ის წინააღმდეგ კონგრესმა აგრეთვე უარყო საბჭოთა დელეგაციის წინადადება, რომ დღის წესრიგში შეტანილი ყოფილიყო ამსტერდამის ინტერნაციონალის პოლიტიკის შესახებ. თავის წინადადების დასასაბუთებლად საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი აფერხებს კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავებას და საერთაშორისო ბურჟუაზიის სამხედრო მზადების და მუშათა მასების მობილიზაციის მაგიერ ცდილობს მოახდინოს მათი დემობილიზაცია.

უარყოფილ იქნა აგრეთვე საბჭოთა დელეგაციის მოთხოვნილება მისი წარმომადგენლისათვის პრეზიდიუმში ადგილის დათმობის შესახებ.

ამ წინადადების დასასაბუთებლად საბჭოთა დელეგაციამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დელეგაცია წარმოადგენს 460.000 მუშას, ანუ ინტერნაციონალში შემავალი ყველა წევრის 70 პროცენტს, ხოლო კონგრესზე სარგებლობს 15 ხმით.

ყველა ხმის უმრავლესობით 15-ის წინააღმდეგ უარყოფილ იქნა აგრეთვე საბჭოთა დელეგაციის წინადადება იმის შესახებ. რომ ინტერნაციონალში მიეღოთ საფრანგეთის და ბალკანეთის ქვეყნების გემო-კვების მუშაკთა პროფკავშირები, რომლებიც დგანან კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე და არ შედიან ამსტერდამის ინტერნაციონალში.

კენჭის ყრის შემდეგ საბჭოთა დელეგაციამ თავის განცხადებაში ხაზი გაუსვა იმას, რომ ასეთი გადაწყვეტილება უფრო აღრმავებს გათიშვას და მიმართულია პროფმოძრაობის მთლიანობის წინააღმდეგ. თავის განცხადებაში საბჭ. დელეგაციამ სამარცხვინოდ ჩასთვალა აგრეთვე გადაწყვეტილება ინტერნაციონალში საბერძნეთის გემო-კვების მუშათა კავშირის მიუღებლობის შესახებ, მაშინ როდესაც ეს კავშირი ამჟამად გმირულ ბრძოლას აწარმოებს კაპიტალთან.

2 ივლისს საღამოს საბჭოთა დელეგატები ვეინბერგი და ტრიანი გამოვიდნენ მასიურ მიტინგზე, რომელიც გამართა კონგრესის პატივსაცემად.

საბჭოთა დელეგატებმა მოუთხრეს მუშებს იმ სოციალისტური აღმშენებლობის შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირში აწარმოებენ, და შეეხნენ ომის საფრთხის საკითხს. საბჭოთა დელეგატებმა ხაზი გაუსვეს მთლიანობის საჭიროებას საბჭოთა კავშირის დაცვის მიზნით.

საბჭოთა დელეგატების გამოსვლას მიტინგის მონაწილეები მხურვალე ოვაციით შეხვდნენ (ადს).

კატასტროფა რუშ ლია-მოლიერის მაღაროში

მოითხოვენ გამოძიებას

პარიზი, 2 ივლისი. რუშ ლია მოლიერის მაღაროში მომხდარ კატასტროფასთან დაკავშირებით, სამთო-მადნო მუშათა პროფკავშირების უნიტარული ფედერაციის აღმასკომმა თავისი დელეგატები გაგზავნა კატასტროფის მიზეზების გამოსაკვლევად. ამავე დროს აღმასკომმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ სამთო-მადნო მრეწველობის წარმოებებში შრომის დაცვის საკითხს არ ექცევა სათანადო ყურადღება. იგი მოითხოვს კატასტროფის მიზეზების გამორკვევას და დამნაშავეთა გამოაშკარავებას. კატასტროფის მსხვერპლთა სასარგებლოდ აღმასკომმა 2.000 ფრანკი გადასდო. კომპარტიის ცკამ 8.000 ფრანკი შეიტანა. ლუარის რაიონის მემაღაროებმა გამოაცხადეს ოთხი საათის საპროტესტო გაფიცვა შრომის დაცვისათვის საკმაო ზომების მიუღებლობის წინააღმდეგ.

კატასტროფის მსხვერპლთა რიცხვი ჯერ-ჯერობით კიდევ არ არის სავსებით გამორკვეული. მიღებული ცნობების მიხედვით, დაიღუპა 50 კაცი. გარდა ამისა, ჩამონგრეულ მიწის ქვეშ მოქცეულია 20-მდე კაცი, რომელთა გადარჩენაც საეჭვოა.

დეპუტატთა პალატის კომფრაქციამ გადასწყვიტა, შეიტანოს პალატაში შეკითხვა კატასტროფის მიზეზთა და პასუხისმგებლობის შესახებ. კომპარტიის ორგანო „ჰუმანიტე“ და სოციალისტური პარტიის ორგანო „პოპიულერი“ აღნიშნავენ, რომ მაღარო, რომელშიაც კატასტროფა მოხდა, დიდი ხანია „სახიფათო მაღაროდ“ ითვლებოდა. (ადს).

კატასტროფის მსხვერპლთა დაკრძალვა

პარიზი, 3 ივლისი. რუშ-ლია-მოლიერის მაღაროებში (სენტ-ეტიენში) მომხდარ კატასტროფის მსხვერპლთა დაკრძალვა კლასობრივი სოლიდარობის ძლიერ დემონსტრაციად გადაიქცა. დაკრძალვას 40.000 მემაღარო დაესწრო. ქვანახშირის მრეწველობის კომპანიის წარმომადგენლებმა წარმოსთქვეს ოფიციალური სიტყვები და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ კატასტროფა „შემთხვევით“ მოხდა. შემდეგ ბესსე გამოვიდა საბრალმდებლო სიტყვით კომპანიის წინააღმდეგ. „ჩვენი ამხანაგები,—განაცხადა მან,—მწარმოებელთა დაუდევრობის მსხვერპლი გახდენ“.

რაიონის დელეგატებმა არნუმ განაცხადა: „ეს კატასტროფა კაპიტალისტური რაციონალიზაციის შედეგია“-ო.

მონიე-ფიურსიმ მაღაროების მეპატრონეებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „თქვენთვის მხოლოდ ქვანახშირის ტონებს აქვს მნიშვნელობა. ჩვენი ამხანაგების სიცოცხლეს თქვენ არაფრად აგდებთ“.

მეზობელ კომუნის მერმა, კომუნისტმა პეტრიუ-ფორმა განაცხადა: „კაპიტალიზმის მსხვერპლნი თავისი სიკვდილით ამტკიცებენ მთლიან ფრონტს“.

მექსიკის პრეზიდენტად არჩეულია გენ. ობრეგონი

მექსიკო, 2 ივლისი. 1 ივლისს მექსიკაში მომხდარ საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულ იქნა გენერალი ობრეგონი. მისი არჩევა თავიდანვე უზრუნველყოფილი იყო: იგი ერთად ერთი კანდიდატი იყო.

გენერალი ობრეგონი შთამომავლობით ფერმერი მესაქონლეა.

1914 და 1915 წლებში ობრეგონი რეაქციონური პრეზიდენტის დე-ლა-ხუერტას მსხვილ მემამულეთა კანდიდატის მთავრობის წინააღმდეგ მომხდარი აჯანყების ერთ-ერთი ბელადი იყო. აჯანყების გამარჯვების შემდეგ კონსტიტუციამ 1917 წელს გლეხებს მიწების მიცემა აღუთქვა, მაგრამ დაპირება არ შესრულებიათ, რამაც ახალი აჯანყება გამოიწვია. აჯანყებულთა გამარჯვების შემდეგ, 1920 წელს პრეზიდენტად არჩეულ იქნა ობრეგონი, რომელიც ამ თანამდებობაზე დარჩა 1924 წლამდე.

პრეზიდენტად ყოფნის დროს ობრეგონი შეუდგა აგრარული რეფორმის გატარებას, მაგრამ გაუბედავად და ყოყმანით მოქმედებდა.

ობრეგონის კანდიდატურას ეხლანდელ არჩევნებში მხარს უჭერდა მექსიკის რეფორმისტული შრომის ფედერაცია.

მთავრობის კრიზისი საბერძნეთში

საყოველთაო გაფიცვის მოლოდინში

ათინა, 2 ივლისი. თამბაქოს მრეწველობის მუშებისა და მწარმოებლების მოლაპარაკების შეწყვეტამ გამოიწვია საგაფიცვო მოძრაობის გამწვავება. მოსალოდნელია საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება, მაგრამ სანამ საყოველთაო გაფიცვას გამოაცხადებდეს, საბერძნეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციას, როგორც სჩანს; სურს დაუცადოს მთავრობის კრიზისის გადაწყვეტას. (ადს).

ვენიზელოსის კაბინეტი

ათინა, 2 ივლისი. პოლიტიკურ წრეებში იუწყებიან, რომ ოთხშაბათისათვის უკვე შედგენილი იქნება ვენიზელოსის კაბინეტი.

ახალი კაბინეტის შედგენის შემდეგ დეპუტატთა პალატა დათხოვნილ იქნება და ახალი არჩევნები დაინიშნება აგვისტოსათვის. (ადს).

საპირველმაისო ნიშნების დამზადებისათვის

ვენა, 2 ივლისი. სოფიის ცენტრალურ საპყრობილეს შვიდი პოლიტიკური პატიმარი პროკურორის განკარგულებით 10 დღით კარცერში ჩასვეს იმის გამო, რომ მათ პურიდან დაამზადეს საპირველმაისო ნიშნები და წინააღმდეგობა გაუწიეს საპყრობილეს ძცველებს, როდესაც ამ უკანასკნელებმა მოისურვეს მათთვის ამ ნიშნების ჩამორთმევა.

პროტესტის ნიშნად შვიდივე პატიმარმა შიმშილობა გამოაცხადა. (ადს)

უოლის „მუქარა“

ვაშინგტონი, 3 ივლისი. ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე უოლმა სასტიკად გაილაშქრა პრესაში იმ ამერიკელ მეცნიერების წინააღმდეგ, რომლებიც საბჭოთა კავშირში გაემგზავრენ (დელეგაციის თავმჯდომარე არის ფილოსოფიის პროფესორი დიუი). უოლლი აცხადებს, რომ დელეგაციის გამგზავრება „საგანმანათლებლო მიზნებს კი არ ისახავს, არამედ პროპაგანდას“. შემდეგ უოლლი ილაშქრებს საბჭოთა მთავრობის., კომინტერნისა და კომპარტიის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ „ამერიკის შრომის ფედერაცია, პრესა არ გამოაქვეყნებს დელეგაციის ანგარიშს“ (ადს).

პოლიციის თავდასხმა

ნიუ-იორკი, 2 ივლისი. ნიუ-ბედფორდში პოლიცია თავს დაესხა გაფიცულ ფეიქართა დემონსტრაციას, რომელშიაც 6000 კაცი ღებულობდა მონაწილეობას. დააპატიმრეს დემონსტრაციის ბევრი მონაწილე (ადს).

ხოლერა ინდოეთში

ლონდონი, 2 ივლისი. როგორც გაზეთები იუწყებიან, სიმლის (ინდოეთი) მიდამოებში ხოლერა მძვინვარებს. დღემდე აღრიცხულია დაავადების 1.860 შემთხვევა. სიკვდილის შემთხვევათა რაოდენობა 847 აღწევს (ადს).

მემაღაროეთა კავშირის ცეკას წერილი

შვეციის მემაღაროეთა კავშირს

მოსკოვი, 3 ივლისი. მემაღაროეთა კავშირის ც. კ.-მა შვეციის გაფიცულ მემაღაროეებს დასახმარებლად გაუგზავნა მორიგი 16.000 მანეთი. სულ გაფიცვის დროს შვეციაში გადაგზავნა 393.000 მანეთი.

ამავე დროს მემაღაროეთა კავშირის ც. კ.-მა შვეციის მემაღაროეთა კავშირს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭირო იყო ხმის ამოღება მემაღაროეთა ფედერაციის უკანასკნელი კონგრესის დადგენილების გამო. კონგრესმა დაადგინა, რომ მხოლოდ იმ ორგანიზაციებს შეუძლიათ ხსენებულ ფედერაციაში შესვლა, რომლებიც აღიარებენ ამსტერდამის ინტერნაციონალის მიზნებს—და ამით ფაქტიურად საბოლოოთ ჩაუკეტა კარი ჩვენს კავშირს. რაც შეეხება დახმარებას, ჩვენი კავშირი კვლავაც რეგულიარულად და სისწორით შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. იმედი გვაქვს, რომ შვეციისა და საბჭოთა მემაღაროების ერთობა გამარჯვებას მოუპოვებს შვეციის მედგარ მემაღაროებს“ (ადს).

წითელი დროშა კრეისერ „ავრორა“-ს

ლენინგრადი, 3 ივლისი. კრონშტადტის მთავარ რეიდზე საკავშირო ცაკმა კრეისერ „ავრორა“-ს დიდის ზეიმით გადასცა ბაირაღი, რომელზედაც გამოსახულია წითელი დროშის ორდენი. ბალტიის საზღვაო ძალთა უფროსმა ამხ. ვიქტოროვმა აღნიშნა ისტორიული როლი კრეისერ „ავრორა“-სი ოქტომბრის დღეებში. პროფინტერნის წარმომადგენელმა დლოუბელმა იმედი გამოსთქვა, რომ „ავრორა“ ამგვარსავე როლს ითამაშებს მსოფლიო ოქტომბრის მომავალ ბრძოლებში.

სპეციალისტების მივლინება საზღვარგარეთ

მოსკოვი, 3 ივლისი. საკავშირო პროფსაბჭომ შრომისა და თავდაცვის საბჭოს წარუდგინა მოხსენება საზღვარგარეთ სპეციალისტების მივლინებისა და ექსკურსიების ორგანიზაციის შესახებ.

„საბჭოთა მრეწველობის განვითარება და ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქცია,—ამბობს საკავშირო პროფსაბჭო,—საბჭოთა კავშირის ინჟინრებსა და ტეხნიკოსებს უსახავს უმნიშვნელოვანეს პრობლემებსა და კონკრეტულ საკითხს, რომლების წარმატებით გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მაშინ. თუ ჩვენი ინჟინრები და ტეხნიკოსები გაეცნობიან დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევებს. პროფსაბჭოს აზრით, საჭიროა საზღვარგარეთ სპეციალისტები მივლინების და ექსკურსიების ფართო ორგანიზაცია სამეცნიერო მიზნებით. ასეთი მივლინებები უნდა მოეწყოს გეგმის თანახმად განსაზღვრულის, წინასწარ დამუშავებულის პროგრამით. საკავშირო პროფსაბჭო წინადადებას იძლევა, რომ სახელდობ 1928 წლის განმავლობაში მოეწყოს 500 სპეციალისტის მივლინება და ექსკურსია საზღვარგარეთ. საჭირო სახსარს გაიღებენ როგორც სამეურნეო ორგანოები კოლექტიურ ხელშეკრულებათა ძალით და ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციების ფონდები, ისე მივლინებით მონაწილენი (ადს).

პროცესი „დონუგოლი“-ს სამშენებლო ბიუროში მომხდარ ბოროტმოქმედებათა შესახებ

ხარკოვი, 3 ივლისი. უკრაინის უზენაესი სასამართლო შეუდგა დონუგოლის სამშენებლო ბიუროში მომხდარ ბოროტმოქმედებათა საქმის მოსმენას. ბრალდებულთა სკამზე ზის 56 კაცი. მთავარი ინჟინრის და სამშენებლო ბიუროს უფროსის მოადგილის ქეთხუდოვის და მისი მოადგილის ხტეკლერის მეთაურობით ბრალდებულებს ჰბრალდებათ გაფლანგვა, ქრთამეობა, სიყალბე და უვაიროთობა სამეურნეო საქმეში.

შახტის პროცესი

2 ივლისის დილის სხდომა

სახელმწიფო ბრალმდებლის ამხ. როგინსკის სიტყვა

მოსკოვი, 3 ივლისი. შახტის პროცესის 2 ივლისის დილის სხდომაზე პირველი სიტყვა ეძლევა სახელმწიფო ბრალმდებელს ამხ. როგინსკის.

დამცველთა არგუმენტაცია ამ ცალკე ფაქტების ანალიზის დროს, — ამბობს ამხ. როგინსკი, — სრულიად მიჩქმალა როგორც პროცესის საერთო მნიშვნელობა, ისე ბრალდების ძირითადი თეზისი, რომელიც თავდაპირველად დამცველებმაც მიიღეს. ეს ძირითადი თეზისია — კონტრრევოლიუციონური ორგანიზაციის არსებობა. რამდენადაც დამცველებმა მიჩქმალეს ბრალდების ეს ძირითადი თეზისი, იმდენად პროკურატურა საჭიროდ სთვლის გასცეს მასზე პასუხი.

დამცველთა არგუმენტების ანალიზს ამხ. როგინსკი იწყებს შჩერბინოვკის მაღაროს სამმართველოდან. ის უპასუხებს ორგანიზაციის შჩერბინოვკის ჯგუფის ბრალდებულთა დამცველებს.

შჩერბინოვკაში, — აღნიშნავს ამხ. როგინსკი,—ნათლად სჩანს ორგანიზაციის საზიანო მუშაობის ყველა ეტაპი: მადნის ფენების გადამალვა, მაღაროს წვრილი მშენებლობების მავნე მეთოდები, გამოუსადეგი და შეუფერებელი მოწყობილობის შეძენა და მავნებლობა მაღაროს ახალ მშენებლობის დარგში. ერთის სიტყვით, შჩერბინოვკის მაღაროთა სამმართველო წარმოადგენს ორგანიზაციის საზიანო მუშაობის სადემონსტრაციო-საჩვენებელ რაიონს.

შემდეგ ამხ. როგინსკი გადადის მეშკოვის დამცველთა არგუმენტების გარჩევაზე. დამცველი კომოდოვი ამტკიცებდა მეშკოვის სრულ უდანაშაულობას. იგი ამბობდა, რომ მეშკოვის შესახებ მიცემული ჩვენებები სიმართლეს არ შეიცავენო. მაგრამ მეშკოვის წინააღმდეგ ფაქტები ლაპარაკობს: კავშირი მაღაროების ძველ მეპატრონეებთან, ცნობების შეკრება კონცესიონერებისათვის და შეგნებული მავნებლობა წვრილი მშენებლობისა, რაც დამტკიცებულია და რაშიაც მეშკოვიც იღებდა მონაწილეობას.

შემდეგ ამხ. როგინსკი, გადადის რა ბრალდებულ ბოიარშინოვზე, ამბობს რომ ბოიარშინოვის უდანაშაულობას დამცველი ამტკიცებდა იმით, რომ ბოიარშინოვის წინააღმდეგ მიცემული ჩვენებები სწორი არ არისო. ბოიარშინოვის ბრალდება-კი სრულებითაც არ არის ჩვენებებზე დამყარებული. თვით ბოიარშინოვის ჩვენება ააშკარავებს, რომ იგი ორგანიზაციაში მუშაობდა.

მოკლედ ეხება ამხ. როგინსკი ბრალდებულ კრჟიჟანოვსკის და ვლადიმირსკის და შემდეგ გადადის იუსევიჩის, გორლეცკის, ჩინოკელის და ანტონოვის დამცველ მალიანტოვიჩის არგუმენტების გარჩევაზე. დამცველის აზრით ისინი დანაშაულნი არიანო, — სთქვა ამხ. როგინსკიმ. იუსევიჩის შესახებ დამცველი შეეცადა სხვა ბრალდებულთა ჩვენების გაქარწყლებას ,ბრალდებულნი სტყუიანო, მაგრამ მან ვერ დაამტკიცა ეს. ასეთ ხერხს დამამტკიცებელ საბუთად ვერ მივიღებთ. პირადათ მატოვისა და ბრატანოვსკისათვის საშიშიც იყო ჩვენების მიცემა იუსევიჩის შესახებ: ამ ჩვენებით მათ ორგანიზაცია გადააქციეს სერიოზულ პოლიტიკურ ორგანიზაციად, რომელსაც უნდოდა საზღვარგარეთთან ცოცხალი კავშირი გაება. ამ კავშირს ნამდვილად ანხორციელებდა იუსევიჩი. იუსევიჩის შესახებ მიცემული ჩვენება სრულიადაც არ ამცირებს მატოვისა და ბრატანოვსკის დანაშაულს, პირიქით, აღრმავებს კიდეც მას. ამიტომ არა გვაქვს არავითარი საფუძველი არ დაუჯეროთ ამ ჩვენებას.

გორლეცკისა და ჩინოკელის შესახებ დამცველმა ისეთსავე ხერხს მიმართა, როგორც იუსევიჩის შესახებ. დასასრულ, ანტონოვის დასაცავად დამცველმა მიმართა არა სწორ ცნობებს და ფაქტების დამახინჯებას.

ამხ. კრილენკოს სიტყვა

ამხ. როგინსკის სიტყვის შემდეგ გამოვიდა ამხ. კრილენკო, რომელმაც აღნიშნა, რომ დამცველებს, რამდენადაც ისინი სცნობენ კონტრრევოლიუციონური ორგანიზაციის არსებობის ფაქტს, არ უნდა მიეჩქმალათ ამ ორგანიზაციის მნიშვნელობა.

შემდეგ ამხ. კრილენკო არჩევს არგუმენტებს ორი ბრალდებულის — კუზმასა და რაბინოვიჩის მიმართ.

არჩევს რა იმ დოკუმენტებს, რომლებიც დაკავშირებულია პასტუხოვკის და ბერესტოვკის ისტორიასთან, ამხ. კრილენკო ამტკიცებს, რომ ბერესტოვკის წყლით ამოვსებაში კუზმა აუცილებლად იღებდა მონაწილეობას. ფაქტები მაღაროს წყლით ამოვსებისა, ბერესტოვკის მოწყობილობის დატაცებისა და სხვ. უკვე დამტკიცებულია და დამცველი ვერავის დაარწმუნებს, რომ კუზმას ამაში მონაწილეობა არ მიუღია. დამცველი ცდილობდა გაებათილებინა 15 კაცის ჩვენება კუზმას მონაწილეობის შესახებ სხვადასხვა ორგანიზაციაში. ამხ. კრილენკოს სიტყვით, დამცველმა ეს ვერ შესძლო. ამხ. კრილენკო დამტკიცებულად სთვლის მთელ იმ მასალას, რაც კუზმას როლს აშუქებს ორგანიზაციაში. დამტკიცებულად ფაქტია კუზმას მუშაობა პასტუხოვკაში, რასაც თან მოჰყვა მაღაროს წყლით ამოვსება, მუშაობა ვლასოვკაში და ნახშირის ხარისხის გაუარესება, მავნებლობის მიზნით პროექტის შედგენა და სხვ.

ამხ. კრილენკო ეხება ბრალდებულ რაბინოვიჩის დამცველის ოცების სიტყვას და აღნიშნავს, რომ დამზიანებლებს მხარს ვერ უჭერდნენ რაბინოვიჩს. „ორგანიზაციას არ შეეძლო, — ამბობს ამხ. კრილენკო, — წასულიყო რისკზე იმ იმედით, რომ რაბინოვიჩი, რომელიც ტეხნიკურ საბჭოს სათავეში იდგა, ვერ მიხვდებოდა, რომ ორგანიზაცია აწარმოებს თავის საზიანო პროექტებს. ერთის ვნახოთ, ეს რაბინოვიჩი, რომელსაც ყველა უჯერებდა და, რომელსაც უღრესად პატიოსან ადამიანად და სამთომადნო საქმის მცოდნედ სთვლიდა, მიმხვდარიყო, რომ საბჭოში წარდგენილია საზიანო პროექტები ‚წასულიყო და განეცხადებინა, სადაც ჯერ არს“. ამხ. კრილენკოს არაფრად მიაჩნია ის, ანალიზი, რომელიც დამცველმა ოცებმა მოწმე გავრიუშენკოს ,მუხინის და სხვების ფსიხოლოგიას გაუკეთა .გავრიუშენკოს ჩვენებებში ეჭვის შეტანა მხოლოდ იმიტომ, რომ მან თავი მოიკლა, უსაფუძვლოა. გავრიუშენკოს ჩვენებები სრულიად არ ეწინააღმდეგება ერთიმეორეს.

რაბინოვიჩის მიმართ — ამბობს ამხ. კრილენკო, — საკითხი უნდა დაისვას შემდეგნაირად: დამზიანებლების წინააღმდეგ ის არასოდეს არ წავიდოდა. მას დახმარება უნდა გაეწია მათთვის. ესეც რომ არ ყოფილიყო, მაინც აშკარაა, რომ მან ყველაფერი იცოდა და არავითარი ზომები კი არ მიუღია. სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლის თვალსაზრისით ეს სავსებით საკმარისია. აი რატომ იცავს ბრალდება კვლავ თავის თეზისს რაბინოვიჩის მიმართ.

პროცესი, — ამბობს შემდეგ ამხ. კრილენკო, — ყურადღების ცენტრად გადაიქცა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მშრომელთათვისაც. აქ საკითხი ეხება იმას, თუ როგორ მოვეპყრათ იმ ხალხს, რომელმაც გაგვყიდა, მოგვატყუა, გვღალატა. ჩვენ კიდევ დიდ ხანს გვექნება საქმე უცხო კლასებიდან და უცხო წრეებიდან გამოსულ ხალხთან. მათ შორის ყველაზე უფრო პატიოსნებს ჩვენ ჩავაბამთ მშენებლობის საქმეში, ხოლო იმათ, ვინც გვღალატობს და გვატყუებს, მკაცრად და სასტიკად გავუსწორდებით. სასამართლომ ეხლა უნდა გააკეთოს თავისი საქმე. ბრალდებამ თავისი მოვალეობა შეასრულა, ეხლა თქვენი რიგია, ამხანაგო მოსამართლენო.

სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენლებს უპასუხეს დამცველებმა.

2 ივლისის საღამოს სხდომა

ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვა

2 ივლისს საღამოს სხდომაზე სასამართლომ მოისმინა ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები. სულ საღამოს 11 საათამდე სასამართლომ მოისმინა 23 ბრალდებულის უკანასკნელი სიტყვა. ამ 23 კაციდან რვის მიმართ ბრალდება მოითხოვდა სასჯელის უმაღლეს ზომას. გრძელი სიტყვა წარმოსთქვა ბერეზოვსკიმ ,ბრატანოვსკიმ, კაზარინოვმა და კრჟიჟანოვსკიმ. ყველა მათ, გარდა კაზარინოვისა ,სცნეს რა თავიანთი დანაშაული, სთხოვეს სასამართლოს შეღავათი. კაზარინოვს შეღავათი არ მოუთხოვნია, აღიარა რა, რომ დაიმსახურა სასჯელი. ამავე დროს, მას ეჭვი არ ეპარება სასამართლოს მიუდგომლობაში და მოთმინებით მოელის განაჩენს. დანარჩენი ბრალდებულნი ითხოვენ სასჯელის შემსუბუქებას, ზოგიერთები — სრულ გამართლებას.

მავნებლები სასტიკად უნდა დაისაჯონ

მოსკოვი, 3 ივლისი. კომუნალურ მუშაკთა კავშირის ც. კ.-მა პარიზიდან კომუნალურ მუშაკთა ფედერაციის აღმასკომისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„აღმასკომი გამოსთქვამს შემდეგ სურვილს: „სასამართლო, რომელიც ასამართლებს საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციის მიერ მოსყიდულ დონელ საბოტაჟნიკებს, შეუბრალებლათ უნდა მოექცეს მათ. დაე ისინი, ვინც მხოლოდ ერთი რგოლია იმ ჯაჭვისა, რომლითაც სცდილობენ რუსეთი ხელახლა შებან კაპიტალისტების ეტლში, დაისაჯონ უდიდესი სასტიკით, არასოდეს მსოფლიო ბურჟუაზიას ასეთი სიმკაცრე არ გამოუჩენია რევოლიუციის იმ პასუხისმგებელ მომუშავეთა მიმართ, რომლებიც მუშაობენ იმისთვის, რომ პროლეტარული გამარჯვება მთელ დედამიწაზე გაავრცელონ. კაპიტალისტური რეპრესიების შენელების იმედით სისუსტის გამოჩენა ამ მომენტში ნიშნავს ტკბილი ილიუზიებით თავის მოტყუებას. ამხანაგმა მოსამართლეებმა არ უნდა გამოიჩინონ შებრალება მსოფლიო რევოლიუციის საბოტაჟნიკების მიმართ“.

თბ. სახ. უნივერსიტეტის ყოფ. ახ. ლგ. მარქსისტ სტუდენტთა დეკლარაცია

ოქტომბრის რევოლიუცია ბევრ რამეში სრულიად თავისებურიაო—ამბობდა ერთ დროს კარლ კაუცკი. ამ შენიშვნაში იგი სრულიად მართალია. ოქტომბერი პირველია მუშათა მოძრაობის ისტორიაში არა მარტო თავისი სიდიდით და ძლიერებით, არამედ თავისი ხასიათით და შინაარსით, და ისტორიაში მხოლოდ ცოტათ თუ ბევრად დახლოვებული ანალოგია თუ არსებობს (პარიზის კომუნა).

კერძოდ საქართველოს საკითხიც ოქტომბრის რევოლიუციამ თავისებურად გადასჭრა.

ლენინიზმმა აღიარა ერთა თვითგამორკვევა და იგი სოციალისტურად დაიცვა.

სოციალ-დემოკრატიამ აღიარა ერთა თვითგამორკვევა, მაგრამ ეროვნება კაპიტალის ბატონობას დაუმორჩილა, ერთა თვითგამორკვევა კაპიტალის თვითგამორკვევად გადააქცია. ამით ისევ არა სოციალისტურ პოზიციაზე დადგა. ბურჟუაზიას შეუთანხმდა, ყველა ქვეყანაში სოციალ-დემოკრატებმა ნაციონალიზმი მიიღეს და შეითვისეს. ამიტომ მოისპო ის ბრძოლა, რომელიც თავის დროზე სოც.-დემოკრატებსა და ბურჟუაზიას შორის არსებობდა ნაციონალურ საკითხში. ყველგან ყოველდღიურ საქმიანობაში სოც.-ტები ამოუდგენ გვერდში ბურჟუაზიას და მხარი გაუმაგრეს. მაშინ რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა ბოლშევიკების სახით მკაცრი ომი გამოუცხადა მენშევიზმს, როგორც გარკვეულ მოწინააღმდეგეს და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შემფერხებელ მიმდინარეობას.

ყოველივე ეს ფაქტია და ამას თავისებური სოციალ-ეკონომიური სარჩული აქვს. ასე მოხდა საქართველოშიც. ქართველი ახალგაზრდობა აჰყვა „საოპერო“ სოციალისტებს, რომლებიც „სოციალისტობას“ თამაშობენ ბურჟუაზიულ ქვეყნის სცენაზე და სრულებით არ ფიქრობენ სცენის დანგრევაზე. ჩვენში გაძლიერდა ნაციონალიზმი, მეზობელ ერების ფიზიოლოგიური სიძულვილი და ბურჟუაზიულ ქვეყნების ყურმოჭრილი ტრფიალება. სოციალისტებმა ლოცვა დაიწყეს კაპიტალზე.

მაგრამ ერთ დღეს საქართველოში დაინგრა ბურჟუაზიული სცენა. დაიწყო ახალი ქვეყნის აშენება და ამ დღიდან იწყო რღვევა ნაციონალისტურ მენშევიკებში და სხვ. პარტიებში. დღეს ამ კომმარიდან, სხვადასხვა არალეგალურ პარტიების გავლენისაგან განთავისუფლებული ახალგაზრდობა ხმა მაღლა, მთელი ქვეყნის გასაგონათ ვამბობთ ჩვენ აზრსა და ვეკითხებით ყოფილ სოც.-დემ. პარტიის ბელადებს.

საიდ. მიგყავდათ ხალხი, საით მიგყავდათ ახალგაზრდობა? ნუ თუ ჩვენ ის ვართ, რომელზედაც პატარაობიდან გვესმოდა ცნობილი სიტყვები:

„მას ჯარი ნებავს სისხლის საღვრელათ, მიართვი მტარვალს შენი ვაჟები“, ნუ თუ ჩვენ აჯანყების მასალა ვართ და ავანტიურისათვის გამოსაყენებელი იარაღი? განა ისე უსაბუთოდ უნდა ლაპარაკობდეს სოციალისტი და მით უფრო მარქსისტი, როგორც ეს თქვენ გემართებათ, იმ მოვლენაზე, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა და რომელსაც ოქტომბერი ეწოდება? განა მოვლენის მარქსისტული გაგება ყველაზე უწინ ამ მოვლენის იმ ეპოქასთან კონკრეტიულ კავშირის ახსნა არარის, რომელშიაც თვითონ ეს მოვლენა ხდება? და მერე ამ ეპოქას ხომ თავისი კანონები აქვს. სად არის თქვენს 7 წლის არალეგალურ ლიტერატურაში საკითხის ამნაირი დასმა. ნუთუ შპენგლერისებურ ანალოგიებს აქვს ღირებულება მარქსისტისათვის დებულების დამამტკიცებლად. სწორედ ამან დაბნია თქვენი მიმდევარი ჯგუფები.

მრავალ ამგვარ მიზეზების გამო,—რაც თქვენ მიერ რევოლიუციონური მარქსიზმის მიტოვებაში გამოიხატა—გვაიძულა ჩვენ ჩამოვშორებოდით თქვენ პარტიას და გვერდში ამოვდგომოდით ბოლშევიზმს, რომელიც ისტორიულადაც გამართლებულია. არავითარი ეჭვი ჩვენ არ გვაქვს, არავითარი ორჭოფობა ჩვენ არ ვიცით, „ჩვენ ვსწავლობთ ისტორიისაგან“, ბაუერის ერთხელ ჭკვიანურად ნათქვამ სიტყვის არ იყოს. ჩვენ ვამბობთ, რომ მენშევიზმი საუკეთესო შემთხვევაში წარმოადგენს რეფორმებით გატაცებას, მარქსიზმი კი წარმოუდგენელია თუ მას გამოვაცალეთ რევოლიუციონური ნერვი.

მენშევიზმი ბურჟუაზიის მიმყოლი, კაპიტალის ამოცანების მიმდევარი მოძღვრება—ხოლო მენშევიკური პარტია ბურჟუაზიულია.

ლენინიზმი—პროლეტარიატის ბრძოლის რევოლიუციონური იარაღი, იმპერიალისტურ ეპოქის რევოლიუციონური მარქსიზმია.

საბჭოთა ხელისუფლება—პროლეტარიატის დიქტატურის ფორმაა, საბჭოთა კავშირი კი თავისუფალ სოციალისტურ რესპუბლიკათა თავისუფალი კავშირია.

ბარიკადა არსებობს. მენშევიკები იქეთა მხარეს არიან, ჩვენ მათთან ყოფნა არ შეგვიძლია. ჩვენ თავისუფალი ვართ, რადგან მოვიშორეთ არალეგალობის გავლენა და ჩვენი თავისუფალი არჩევანის შედეგი არის: საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან ერთად საბოლოო გამარჯვებამდე. გაუმარჯოს კომუნიზმს და მე-3 ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს კომპარტიის და მის ახალგაზრდა თანამებრძოლ კომკავშირს.

დეკლარაციას ხელს აწერენ

სიმონ ნოშრევანის ძე ჯიქურაძე; ინწკირველი დომნა; ჯაბა ჩაჩავა; ანტონინა ნიკოლაიშვილი, დვინიაშვილი მარიამი; მეტრეველი ბაბილინა; ალექსანდრე ვეფხვაძე; ჯიქია ითსელ; ბ. ს. გრიგოლია; ი. კეკელია; კ. კახიანი; კ. მენაბდიშვილი; პ. კეკელიძე; მ. ბუაძე; ს. კვირომიძე.

ასეთივე ხასიათის განცხადებები ახალგაზრდათა მარქს. ორგანიზაციიდან გამავლისა და და მათ მიერ ანტისაბჭოთა მუშაობის დატოვების შესახებ შემოიტანეს შემდეგმა ამხანაგებმა:

ქლიბაძე გიორგი; ბერეჟიანი შოთა; ჯიბუტი ნიკოლოზ; ქოიავა ტარასი; ჯუღელი ნიკო; ცხოვრებაძე შალვა; სულაბერიძე თომა; კახაია ვასილ; წერეთელი ლადო; კატარმასოვსკი ბორის; იაშვილი გიორგი; კაშია ილია; კვაშილავა გიორგი; თოფურია მიხეილ; ქოიავა იოსებ; ივანიძე ალექსანდრე; უგულავა შალვა; ყაზბეგელი სიმონ; რობაქიძე შალვა; ლეჟავა გიორგი; კენჭოშვილი აკაკი; ქორიძე ისიდორე; ჭკუასელი ევტიხი; ვეკუა ივანე; კახიანი ალექსანდრე; ნიკოლაიშვილი იაკობ; პატარიძე ალექსი; ტყეშელაშვილი ალექსი; ორჯონიკიძე გიორგი; თურმანიძე ნიკოლოზ; გაჩეჩილაძე იოსებ; დარჯანია დავით; სანაძე ტიტიკო; დევიძე გიორგი; კბილავა ვლადიმერ; ნიკოლაიშვილი სერგო; გოცაძე პეტრე; შენგელია აკაკი; ქაცარავა სიმონ; გაჩეჩილაძე ლევან; სურგულაძე ივანე; ბაბუაძე გიორგი; შონია ალექსანდრე; ქაჯაია შალვა; არონიშიძე ანა; აბაშიძე ალექსი; ჭოჭუა გალაქტიონ; ბოხუა აკაკი; ჯაში იოსებ; მაღლაფერიძე ალექსანდრე; ჯაოშვილი ანდრო; ხვედელიძე ვასილ; ყუფარაძე ვლასი; ქლიბაძე ვარლამ; ჭალანჩავაძე თამარ; გაჩეჩილაძე გიორგი; თოდრია რევაზ; ღვინაძე ნოე; ბუალავა იოსებ; გვარჯალაძე მიხეილ; ბოლქვაძე ნიკოლოზ; ფირალიშვილი ილია; ჯოხაძე კონსტანტინე; მიქელაძე ვლადიმერ; გურგენიძე სულიკო; გძელაია შალვა; ადონია კონდრატე; ჭურდიანი მიხეილ; ჩიმახია ვარლამ; მჭედლიშვილი ვლადიმერ; ფხაკაძე ხანდრო; მერაბიშვილი თედო; შველიძე ნინა; ბარბაქაძე გრიგოლ; ბოჭორიშვილი ალიოშა; ფუჩიანი დანიელ; ყიფიანი ლადიმე; ბახუა აკაკი; ფხაკაძე ვლადიმერ; დოლიძე ვლადიმერ; კეკელიძე აბესალომ; გვარჯალაძე ვარლამ; დინჯაშვილი ერასტი; ჯოარბენაძე პროკოფი; აფხაზავა გრიგოლ; პატარაძე ალექსი; გვასალია ბენედიქტე; ქაჯაია ბაგრატ; ცინცაძე აკაკი; ლეჟავა პარმენ; გოცაძე პეტრე; ლომთათიძე გრიშა; ახმეტელაშვილი კონსტანტინე; ჯღარკავა ანდრო; ზალდასტანიშვილი დიმიტრი; შელიძე რაჟდენ; თევზაძე ნიკოლოზ; თოდრია ლოუბა; ინწკირველი ბენია; ბოკუჩავა დავით; ზალდასტანიშვილი დავით; ქავჟარაძე კირილე; შაგლაყაძე პარმენ; ნახუცრიშვილი გიორგი; ზალდასტანიშვილი სერგო; ხუციაშვილი ზაქარია; აბრამია შალვა; იაშვილი სოლომონ; შელიძე ვლადიმერ.

ახალი ყოფა-ცხოვრების, კულტურის და პროლეტარული იდეოლოგიისათვის

თანამედროვე პერიოდს საბჭოთა კავშირში ახასიათებს კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. ჩვენში აჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნა. ჩვენ ვანხორციელებთ მრეწველობის რაციონალიზაციას, მოსახლეობას კოოპერატიულად ვრაზმავთ და წვრილ მწარმოებლებს და ხელოსნებს სხვადასხვა არტელებში და ამხანაგობებში ვაკავშირებთ. ასეთია ჩვენი საქმიანობა ქალაქად. სოფლად კი—ჩვენი მუშაობის, უმთავრესს შინაარს შეადგენს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. მსხვილი საბჭოთა მეურნეობათა შექმნა-განვითარება და მთელი მშრომელი გლეხობის კოოპერატიულად შეკავშირება, როგორც სამომხმარებლო, ისე გასაღების და წარმოების დარგში.

მთელი ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საფუძველს ქალაქად და სოფლად შეადგენს მაღალი ტეხნიკა, სოციალისტური დამოკიდებულება ადამიანთა შორის და მშრომელთა აქტიური, შეგნებული მონაწილეობა წარმოების ყველა პროცესებში. ასეთი მუშაობა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ნიშნავს ჩვენს მედგარ, აქტიურ შეტევას ქვეყნის ყოველგვარი კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ; ნიშნავს კაპიტალიზმის ნაშთების განდევნას ჩვენი ეკონომიკის ყოველ სფეროდან.

ამას ხელს უწყობს ჩვენი კლასობრივი საგადასახადო პოლიტიკაც, რომლის საფუძველსაც შეადგენს:

ღარიბების სრული განთავისუფლება ყოველგვარი გადასახადებისაგან, საგადასახადო ტვირთვის შემსუბუქება ქვეყნის საშუალო შეძლების მშრომელი ელემენტებისათვის და გადასახადის მთელი სიმძიმის გადატანა „ნეპმან“-ების, სპეკულიანტების, „კულაკ-“ების და ყოველი ჯურის არამშრომელი ელემენტებზე.

თუ ყველაფერ ამას მიუმატებთ ჩვენს პოლიტიკას პურის დამზადების საკითხში (მტკიცე სახელმწიფო ფასები პურზე), ჩვენს საკრედიტო პოლიტიკას (სესხი უნდა მიეცეს მხოლოდ სახელმწიფო სოციალისტურ მრეწველობას, ღარიბებს და საშუალო შეძლების მშრომელ გლეხებს, უპირველეს ყოვლისა, მათ კოლექტივებს და სხვადასხვა სახის კოოპერატიულ გაერთიანებათა და არტელებს) და ჩვენი მრეწველობის დამოკიდებულებას სახელმწიფო ვაჭრობასა, კოოპერაციასა და კერძო ვაჭრობისადმი, ცხადი გახდება ყველასათვის, თუ როგორი სერიოზული ხასიათისაა სოციალისტური შეტევა კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ეს შეტევა იწვევს კაპიტალისტურ კონტრ-შემოტევას. ამის გამომხატველია: საერთაშორისო კაპიტალიზმის უაღრესად მტრული გამოსვლები ჩვენს მიმართ (დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირთან, სესხის მოუცემლობა, საფრანგეთის პრეტენზიები ჩვენს ოქროზე, პოლიტიკურ ინტრიგების დაუსრულებელი ქსელი ჩვენს გარშემო და სხვ.), „კულაკ“-ების წინააღმდეგობა პურის დამზადების საქმეში და მათი ცდება ჩაეფუშათ ჩვენი ფასების პოლიტიკა.

ფარული საბოტაჟი და ღალატი სპეციალისტების ზოგიერთი ფენების მიერ (შახტი) და სხვა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ბრძოლა სოციალისტურ და კაპიტალისტურ ელემენტებს შორის არ შემოიფარგლება ეკონომიკით. ეს ბრძოლა ეკონომიურ სფეროდან გადადის იდეოლოგიის, კულტურის და ყოფა-ცხოვრების სფეროში.

იდეოლოგია, კულტურა და ყოფა-ცხოვრება ზედნაშენია ეკონომიკის, ეკონომიური ურთიერთობის. ცვლილება ეკონომიკაში, ეკონომიურ ურთიერთობაში იწვევს სათანადო ცვლილებას იდეოლოგიაში, კულტურაში და ყოფა-ცხოვრებაში. იმდენად, რამდენადაც ინგრევა ძველი ეკონომიკა, ძველი ეკონომიური ურთიერთობა და შენდება ახალი ეკონომიკა, იქმნება ახალი ეკონომიური ურთიერთობა, ინგრევა ძველი იდეოლოგია, ძველი კულტურაც, ძველი ყოფა-ცხოვრებაც და იქმნება ახალი იდეოლოგია, ახალი კულტურა, ახალი ყოფა-ცხოვრება. ამიტომ ბრძოლა ძველი ეკონომიკის, ძველი ეკონომიური ურთიერთობის დანგრევის და ახალი ეკონომიკის, ახალი ეკონომიური ურთიერთობის შექმნისათვის არის იმავე დროს თავისთავად ბრძოლა ძველი იდეოლოგიის, ძველი კულტურის, ძველი ყოფა-ცხოვრების დანგრევისა და ახალი იდეოლოგიის, ახალი კულტურის, ახალი ყოფა-ცხოვრების შექმნისათვის.

მაგრამ იდეოლოგიას, კულტურას, ყოფა-ცხოვრებას ერთი განსაკუთრებული თვისება აქვს, რომელსაც სერიოზული ანგარიში უნდა გაეწიოს.

მათ შეუძლიათ იარსებონ მას შემდეგაც კი, როცა დაინგრა მათი საფუძველი — ეკონომიკა, განსაზღვრული ეკონომიური ურთიერთობა. ძველი იდეოლოგია, ძველი კულტურა, ძველი ყოფა-ცხოვრება, რომელიც ასეულ და ათასეულ წლებით იქმნებოდა და რომელსაც ღრმად აქვს ფესვები გადგმული ადამიანის ფსიქოლოგიასა და მისი ცხოვრების ყოველ დარგში, ასე ადვილად მოსაშორებელი როდია.

ძველი იდეოლოგიისა, კულტურისა და ყოფა-ცხოვრებისაგან თავის განთავისუფლების და ახალი იდეოლოგიის, კულტურის და ყოფა-ცხოვრების შექმნის პროცესი უფრო ხანგრძლივი იქნება, ვიდრე ძველი ეკონომიკის ეკონომიური ურთიერთობის დანგრევის და ახალი ეკონომიკის, ეკონომიური ურთიერთობის შექმნის პროცესი.

ამიტომ ჩვენს პარტიას და ხელისუფლებას არ შეუძლია ძველი იდეოლოგიის და ყოფა-ცხოვრების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დაკმაყოფილდეს იმ ბრძოლით, რომელსაც ის აწარმოებს ძველი ეკონომიკის და ძველი ეკონომიური ურთიერთობის წინააღმდეგ ახალი სოციალისტური ეკონომიკისა და სოციალისტური ეკონომიური ურთიერთობისათვის. სამეურნეო ფრონტზე ბრძოლასთან პარალელურად მან უნდა აწარმოოს ბრძოლა კულტურის, ყოფა-ცხოვრების და იდეოლოგიურ ფრონტზე.

ამ უკანასკნელ ფრონტზე მისი ბრძოლა არა ნაკლებ მკაცრი, სასტიკი, მედგარი და გადამჭრელი უნდა იყოს, ვინემ ბრძოლა ეკონომიურ ფრონტზე, სოციალისტურ სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე.

ეს ბრძოლა ჩვენს მიერ კარგა ხანია, რაც დაიწყო. ჩვენი პრესა, ლიტერატურული მუშაობა, თეატრი, კლუბი, რადიო, კინო, სკოლა და საერთოდ მთელი ჩვენი კულტურული მუშაობა მიმართულია ძველი ყოფა-ცხოვრების, ძველი იდეოლოგიის დანგრევისა და ახალის შექმნა-განმტკიცებისაკენ.

მაგრამ ის. რაც კეთდებოდა დღემდი, არაა საკმაო. ბრძოლა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს, ეს ბრძოლა აშკარა გამოხატულებას პოულობს იდეოლოგიის, კულტურის და ყოფა-ცხოვრების სფეროში. ეკონომიურ ფრონტზე დამარცხებული მტერი ფარულად თუ აშკარად ცდილობს შეგვიტიოს იდეოლოგიის ფრონტზე. ჩვენს მოვალეობას შეადგენს გავაძლიეროთ ბრძოლა იდეოლოგიის, კულტურის და ყოფა-ცხოვრების ფრონტზე. ბრძოლა ჩვენის მხრივ ამ ფრონტზე მით უფრო უნდა იქნეს გაძლიერებული, რამდენადაც მტერი ძლიერია.

მეცნიერება, ლიტერატურა და მხატვრობა ასეული წლობით ანმტკიცებდა ძველ იდეოლოგიას, ძველ კულტურას, ძველ ყოფა-ცხოვრებას. ბურჟუაზია ძლიერია, მეცნიერული ლიტერატურული და მხატვრული ძალებით. ბურჟუაზიის მიმდევრები და ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის მომხრე ძალების „ნეპმანების, ვაჭრების, სპეკულიანტების, ბურჟუაზიული ინტელიგენტების, სასულიერო წოდების პირთა“, კულაკების და სხვათა მდგომარეობა კულტურის მხრივ უფრო ხელსაყრელია, ვინემ ახალი ცხოვრების ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შემქნელ ძალების—პროლეტარიატისა და გლეხობისა. და ეს იმიტომ. რომ ბურჟუაზია იყო მდიდარი და ქონდა სწავლა-განათლების მიღების საშუალება.

ახალი იდეოლოგიის, ახალი კულტურის და ახალი ყოფა-ცხოვრების განვითარებას მოკლე ისტორია აქვს. ჩვენ ჯერ კიდევ სუსტნი ვართ პროლეტარული მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ძალებით.

ამიტომ ბურჟუაზია ამ ფრონტზე ხშირად მეტ სიცხოველეს და აქტივობას იჩენს, ვინემ ეკონომიურ ფრონტზე. ბურჟუაზიამ კარგათ იცის იდეოლოგიის, კულტურის და ყოფა-ცხოვრების გავლენა ეკონომიკაზე და ეკონომიურ ურთიერთობაზე. ამიტომ ის ამ ფრონტზე გამარჯვებას ანგარიშობს, როგორც გამარჯვებას ეკონომიურ ფრონტზე.

ბურჟუაზიის აქტივობას ამ ფრონტზე აძლიერებს ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ ძველი იდეოლოგიის შეპარება შეუმჩნეველი რჩება მუშებისა და გლეხების გამოუცდელი თვალისათვის.

ბურჟუაზიის და მისი აპოლოგეტების მიერ თავისი იდეოლოგიის ქადაგების გაძლიერების და „გათრევის“ მაგალითები ჩვენ ბევრი ვიცით, როგორც საქართველოს, ისე სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებიდან. მაგ.:

ა) სოფლის მეურნეობის პოლიტიკის დარგში—ჩვენ ვიცით „საწარმოო ძალების თავისუფლად განვითარების“, თეორია: „კულაკების მეურნეობათა შეზღუდვის, ღარიბთათვის („ზარმაცთათვის“) დახმარების, მიწაზე საკუთრების გაუქმების, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წინააღმდეგ ქადაგება და სხვ.

ბ) „კარჩაკეტილი მეურნეობის“ თეორია, გ) „კულტურულ“ დასავლეთზე ორიენტაციის ქადაგება, დ) ნაციონალურ „სიძველეთა“ იდეალიზაცია და ახალ წამოწყებათა—ელექტროფიკაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და სხვ. ან არაფრად ჩაგდება. ანდა სასაცილოდ აღება. (გ. ქიქოძე, ჯავახიშვილი და სხვ. „არიფიონ“-ში).

ე) ქადაგება იმისა, რომ საქართველოში არაა საჭირო ინდუსტრიალიზაცია, არამედ საჭიროა მხოლოდ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია; საქართველოს მრეწველობისათვის მფარველობითი სისტემის შემოღება რუსეთის მრეწველობისაგან და სხვა... („საქ. ეკონომისტი“ № 1, 1928 წ. ს. დევდარიანი, ა. ჰუმბურიძე და სხვ.)

მოყვანილი მაგალითები წვეთია იმ ზღვაში, რომელსაც წარმოადგენს ბურჟუაზიული იდეოლოგიის და კულტურის მრავალი სხვა და სხვა სახის გამოხატულება ლიტერატურაში, მხატვრობაში, მეცნიერებაში, სკოლაში და სხვაგან...

სამწუხარო და სავალალო არის, რომ ჩვენ ყოველთვის, ყოველგან და ყველაფერს, ან სულ ვერ ვამჩნევთ, ანდა ვამჩნევთ ძლიერ დაგვიანებით. იმისათვის კი, რომ ჩვენ წარმატებით ვაწარმოოთ ბრძოლა ბურჟუაზიულ იდეოლოგიის, კულტურის და ძველი ყოფა-ცხოვრების წინააღმდეგ, საჭიროა ვიცოდეთ—სად, როგორ და რაში პოვებს ის თავის გამოხატულებას, რომელ ხვრელიდან ძვრება ის ჩვენს სინამდვილეში.

საჭიროა ვიცოდეთ ყველა ის პროცესები, რომელიც ხდება ჩვენში და ვიცნობდეთ იმ იდეოლოგიას, რომელიც თან სდევს ამ პროცესებს; საჭიროა ვიცოდეთ ძველი ყოფა-ცხოვრების ყველა გამოხატულებანი და მათი ფესვები.

გარეშე ამისა შეუძლებელია წარმატებითი ბრძოლა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, შეუძლებელია ყველა იმ ღონისძიების გამომუშავება, რომელიც საჭიროა ბურჟუაზიულ იდეოლოგიის და ძველი ყოფა-ცხოვრების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ მხრივ ადგილებიდან პირველ მაგალითს იძლევა შორაპნის მაზრა, სადაც ამხ. დავ. კომახიძის წერილში (იხ „კომუნისტი“ № 151, 1928 წ. 1 ივლისი) მოცემულია რამდენიმე საყურადღებო მაგალითი იმისა, თუ როგორ საზრდოობს და ვითარდება ჩვენს სკოლაში ბურჟუაზიული იდეოლოგია და ძველი ყოფა-ცხოვრება.

შორაპნის მაზრის მაგალითს უნდა მიბაძონ ყველა დანარჩენ მაზრებმა. ოლქებმა და ქალაქებმა.

საჭიროა ყველა ჩვენი მუშაკები, განსაკუთრებით სააგიტაციო-საპროპაგანდო და კულტურული ხაზით, შეუდგენ ჩვენი მუშების და გლეხების ყოფა-ცხოვრების შესწავლას და გაშუქებას პრესაში; საჭიროა ჩვენი კულტურული მუშაკები შეუდგენ მოწინააღმდეგე იდეოლოგიის სახეების გამოხატულების შესწავლას მეცნიერებასა, ლიტერატურასა, მხატვრობასა და სკოლაში და მათ გამოაშკარავებას ყველა მუშების და გლეხების გასაგონად და დასანახათ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლას—ცოდნის, მეცნიერების და კულტურის ლაბორატორიას; სკოლას, რომელმაც უნდა მოგვცეს ახალი ადამიანი ახალი იდეოლოგიით, პროლეტარული კულტურით და ყოფა-ცხოვრებით.

კარგათ ცოდნა ძველი ყოფა-ცხოვრების, მისი ფესვების, მოწინააღმდეგე იდეოლოგიის, ყველა იმ ხვრელის, სადაც შეუძლია მას გაძვრეს,—იქნება ის საიმედო პოზიცია, საიდანაც ჩვენ შეგვიძლია მთლიანი პროლეტარული ფრონტით ვაწარმოოთ მედგარი შეტევა ძველი ყოფა-ცხოვრების, ძველი კულტურის და ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

ამის შესწავლისა, გაგებისა, აღმოჩენისა და შემდეგ მის საფუძველზე მედგარ ბრძოლისაკენ ძველი ყოფა-ცხოვრების, ბურჟუაზიული კულტურის და იდეოლოგიის წინააღმდეგ ახალი ყოფა-ცხოვრების, პროლეტარული კულტურის და იდეოლოგიისათვის—მოუწოდებს პარტია და ხელისუფლება ყველა კულტურულ, პროლეტარულ ძალებს, ყველა მუშებს და გლეხებს.

ს. მამულია.

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ამოცანები

ამხ. ლ. ლოლობერიძის მოხსენება საქ. ახალგ. ლენ. კომკავშირის ცეკას პლენუმზე

საბჭოთა კავშირის ეხლანდელი მდგომარეობა და ჩვენი ამოცანები

გარეშე და შინაური მტრების შემოტევა

ამხანაგებო! მე დავალებული მაქვს გავაკეთო მოხსენება საქართველოს კომპარტიის ც. კ. უკანასკნელი პლენუმის შედეგების და იმ კონკრეტული ამოცანების შესახებ, რომლებიც, ჩვენი უმაღლესი პარტიული ინსტანციების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, ისახებიან საქართველოს კომკავშირელთა ორგანიზაციების წინაშე.

საბჭოთა რესპუბლიკის ყოველი შეგნებული მოქალაქისთვის, მით უმეტეს კომუნისტებისა და კომკავშირელებისთვის სავსებით ცხადია, რომ საბჭოთა კავშირმა ფეხი შესდგა თავისი განვითარების ახალ საფეხურზე. სავსებით დადასტურდა საერთაშორისო კლასობრივ ძალთა განწყობილების ის ანალიზი, რომელიც მოგვცა ჩვენმა პარტიამ დაახლოებით ერთი წლის წინეთ.

თუ ერთი წლის წინეთ კიდევ შეიძლებოდა ეჭვის შეტანა, დღეს ყველა მუშისთვის ცხადია, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია მობილიზაციას უკეთებს მთელ თავის ძალებს და ემზადება გადამჭრელ ბრძოლისთვის საბჭოთა ხელისუფლებასთან.

პარალელურად დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული ქვეყნების აქტიური იერიშისა საბჭოთა კავშირზე, ჩვენ მოწმენი ვხდებით ანტისაბჭოთა ძალების ზრდისა თვით ჩვენი ქვეყნის შიგნით. შახტის საქმე, რომელმაც ყველას ყურადღება მიიქცია, მაჩვენებელია იმის, თუ როგორ თავს გაუყვიდათ ევროპიულ ბურჟუაზიის დახმარების იმედით ფრთაშესხმული ანტისაბჭოთა ძალები და დღითი-დღე, სისტემატიურად, ფარულად და აშკარად როგორ ემზადებიან ისინი საბჭოთა ხელისუფლებაზე თავდასასხმელად.

მეორეს მხრით, ბურჟუაზია, რომელსაც მშვენივრად ესმის, რომ დედამიწაზე არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია უპუროთ არსებობა, შეეცადა მახვილი ჩაეცა ჩვენთვის ჩვენი მუშაობის ამ ყველაზე უფრო მტკივნეულ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფრონტზე. პურის დამზადების საქმის კრიზისი, აშკარაა, შედეგია, სხვათა შორის, იმ გადამჭრელ და აქტიურ წინააღმდეგობისა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებას უწევს სოფლის ზურგმომაგრებული ბურჟუაზია.

უარყოფითი მოვლენები პარტორგანიზაციებში

კლასობრივ ინტერესთა გამწვავება, კერძო კაპიტალისტურ ძალთა დარაზმული იერიში საბჭოთა ხელისუფლებაზე რამდენადმე გამოძახილს პოულობს ჩვენი ქვეყნის შიგნითაც. სმოლენსკის საქმე, მაგალითად, ცხადი მაჩვენებელია სმოლენსკის პარტიული ორგანიზაციის ზედა ფენის გახრწნის,—იმ ზედა ფენის, რომელიც სავსებით ანტიკომუნისტური, ანტისაბჭოთა, ანტირევოლუციონური ძალების გავლენის ქვეშ მოექცა და რომელიც ფაქტიურად კონტრ-რევოლიუციის საქმეს აკეთებდა.

აქაც, საქართველოშიაც, ვხვდებით ჩვენ ასეთ მოვლენებს, მხოლოდ უფრო პატარა მასშტაბით. სმოლენსკის, ტყიბულის და ბათომის საბაჟოს საქმეები ერთისა და იმავე ხასიათის მოვლენებია. ტყიბულში საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ამხედრებული რამდენიმე სპეციალისტი, ცნობილი ელიაძის ხელმძღვანელობით, სისტემატიურად აგდებდა მასხარად მუშებს. ათავსებდენ მათ აუტანელ ბინებში, გზავნიდენ ისეთ მაღაროებში, სადაც მუშაობა შეუძლებელი იყო და ამით ნიადაგს უქმნიდენ უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ვიმეორებ, სჩადიოდენ იმას, რასაც შახტაში, მხოლოდ უფრო პატარა მასშტაბით.

ბათომში მოწმენი გავხდით არაჩვეულებრივი მოვლენის. კომუნისტი, პარტიის წევრი 1919 წლიდან, რომელიც სათავეში ედგა დაწესებულებას, უპარტიოებთან და მთელ რიგ კომუნისტებთან ერთად ჩადიოდა სიყალბეს, ქურდობას, მექრთამეობას, აწარმოებდა საქონლის უკანონო დადაღვას.

ამრიგად, პარტიულები, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების სამსახურისთვის, მოექცენ ანტიბურჟუაზიული ელემენტების გამხრწნელი გავლენის ქვეშ და გადაიქცენ ჩვენს უშუალო მტრებად.

მეორეს მხრით—ყოველივე ეს ხდებოდა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების თვალწინ, მთელი ხელისუფლების თვალწინ ბათომში, და კომუნისტებიდან და კომკავშირელებიდან არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც დროზე გამოეაშკარავებია ეს დანაშაული და ეცნობებია პარტიისათვის, რომ დროზე აღმოეფხვრათ აღნიშნული სისაძაგლე. როგორც ეტყობა, ჩვენი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები თვალებდახუჭულნი უცქერიან იმ სისაძაგლეს, რომელიც მათ გარშემო ხდება, და თუ თვალს გაახელენ და დაინახავენ რამეს, არ სთვლიან თავიანთ კომუნისტურ, კომკავშირულ მოვალეობად—აცნობონ ეს დაუყოვნებლივ ხელისუფლებას, პარტიას ან დამსჯელ ორგანოებს რომელთაც შეუძლიათ დროზე გამოაკეთონ საქმე

ამხ. სტალინი მიმდინარე მომენტის შესახებ

ამხ. სტალინი თავის მოხსენებაში აპრილის პლენუმის შედეგების შესახებ ასე ახასიათებს ჩვენი ქვეყნის და ჩვენი პარტიის საერთო მდგომარეობას:

„ჩვენ გვყავან შინაური მტრები. ჩვენ გვყავან გარეშე მტრები. ეს არც ერთ წუთს არ უნდა დავივიწყოთ, ამხანაგებო, ჩვენ განვიცადეთ კრიზისი დამზადების საქმეში, რომელიც უკვე ავიცილეთ თავიდან. კრიზისი დამზადების საქმეში ნიშნავდა სოფლის კაპიტალისტური ელემენტების პირველ სერიოზულ გამოსვლას ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში—საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ ვდგევართ შახტის საქმის წინაშე, რომლის ლიკვიდაციას უკვე შეუდექით და, უეჭველია, ამას ბოლომდეც მივიყვანთ, შახტის საქმე მაჩვენებელია საერთაშორისო კაპიტალის და მისი აგენტების ახალი სერიოზული გამოსვლისა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ეს არის ჩვენი შინაური საქმეების წინააღმდეგ მიმართული ეკონომიური, ინტერვენცია. თქმა არ უნდა, რომ ასეთი და ამგვარი გამოსვლები როგორც საშინაო, ისე საგარეო ხაზით კვლავაც განმეორდებიან. ჩვენი ამოცანაა—ვიქონიოთ მაქსიმალური სიფხიზლე და ვიყოთ მზად. და თუ, ამხანაგებო, ფხიზელნი ვიქნებით, აუცილებლად მომავალშიაც ისევე დავამარცხებთ ჩვენ მტრებს, როგორც ვამარცხებთ დღეს და ვამარცხებდით წარსულში“.

მეურნეობის კაპიტალისტურ სექტორის დასაძლევად

ასეთია საერთო მდგომარეობა მთელ საბჭოთა კავშირში და კერძოთ საქართველოში. აქედან გამომდინარეობენ ის ამოცანები, რომლებზედაც ახლა ვლაპარაკობთ. პარტიის ძირითად ამოცანას, როგორც საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. აპრილის პლენუმმა განსაზღვრა, შეადგენს—გაძლიერებული შეტევა კერძო კაპიტალისტურ სექტორზე, რომელიც იზრდება ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის ზრდასთან ერთად—მის პარალელურად, მართალია, ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სექტორის ზრდის ტემპი უფრო სწრაფია და მძლავრი და ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ შევძლებთ არა თუ გაუსწროთ კერძო—კაპიტალისტურ განვითარებას, არამედ საბოლოოთ მოვსპოთ კიდეც იგი. მაგრამ მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სექტორის გვერდით ჩვენში არსებობს კერძო-კაპიტალისტური სექტორიც. ეს, ამხანაგებო, გვავალებს უფრო დავხვეწოთ ჩვენი კლასობრივი ხაზი როგორც ქალაქში, ისე სოფელში, უფრო გავაძლიეროთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი პარტიის რიგები.

მასების მონაწილეობის და კონტროლის გზით

ც. კ. თავის მიმართვაში პარტიის წევრებისა და ყველა მუშებისადმი აცხადებს: „შეუძლებელია რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანების გადაჭრა, თუ სოციალისტური მშენებლობის საქმეში მასები გაბედულად—და გადაჭრით არ იქნებიან ჩაბმული, თუ არ მოხდება ამ მასების მხრივ მთელი აპარატის შემოწმება და კონტროლი, მისი გაწმენდა უვარგისი ელემენტებისაგან“.

ამრიგად, ძირითადი ამოცანა, რომელიც სდგას პარტიის წინაშე—არის ჩაბმა სოციალისტური მშენებლობის საქმეში მუშებისა და ულარიბესი გლეხების მილიონიანი მასების და ნამდვილი მუშური კონტროლის განხორციელება ჩვენს საბჭოთა აპარატში.

„მხოლოდ მტკიცე გატარება,—ამბობს შემდეგ ც. კ. შინაპარტიული და პროფკავშირული დემოკრატიის—ნამდვილი საარჩევნო წესის განხორციელება პარტიული და პროფკავშირული ორგანოების არჩევის დროს, სრული შესაძლებლობა ამა თუ იმ მდივნის, ამა თუ იმ ბიუროს, კომიტეტის და სხვ. გადაყენებისა—შექმნის მასების მუდმივ კონტროლს, შესძლებს ბიუროკრატიული მეჭეჭების მოშორებას ჩვენი აპარატიდან, შესძლებს ბიუროკრატიული ამხანაგური „ურთიერთი თავდებობის“, ჩინოვნიკური პირმოთნეობის, თავგასულობის, მასების ინტერესთა დავიწყების და მეშჩანური კმაყოფილების მოსპობას, ამის გარეშე არ არის გარანტია, რომ არ განმეორდებიან შახტის საქმის, სმოლენსკის და არტემოვსკის საქმეების მსგავსი შემთხვევები. ამის გარეშე შეუძლებელია პარტიული, საბჭოთა და კოოპერატიული აპარატის გაწმენდა იმ ელემენტებისაგან, რომლებიც შეესისხლხორცენ ჩვენი ქვეყნის კულაკურ-კაპიტალისტურ ელემენტებს“.

ამრიგად, ამხანაგებო, პარტიის ც. კ.-ის აპრილის პლენუმი პირდაპირ გვეუბნება, რომ მუშაობაში ფართო მასების ჩაბმის გარეშე, გარეშე იმისა, თუ არ იქნება ნამდვილი, უალერსად აქტიური კრიტიკა და თვითკრიტიკა, მიმართული ნაკლთა გამომჟღავნებისკენ, გარეშე იმისა, თუ არ იქნება გამოყენებული ძველი ბოლშევიკური იარაღი—ყოველი პარტიული ან არა პარტიული მუშაკის გამოცვლა, გამოცვლა როგორც პარტიის, ისე კომკავშირის ყოველი მდივნის (ეს უნდა ახსოვდეთ თბილისელ ამხანაგებს, რომელნიც ნაწყენი იყვნენ იმით, რომ ისინი გამოცვალეს და სხვები დანიშნეს), გარეშე იმისა, თუ მუშურ, კომკავშირულ და პარტიულ მასებს არ მიეცემათ უფლება ნამდვილი კონტროლისა თავიანთ ხელმძღვანელებზე,—ყველა ამის გარეშე შეუძლებელია დღევანდელი პერიოდის ამოცანების განხორციელება. პარტიის ც. კ. ლოზუნგი თვითკრიტიკის შესახებ, მიმართულია იქითკენ, რომ ავამოძრაოთ მუშებისა და გლეხების მასები, პირველ რიგში კი მილიონიანი პარტია, და ჩავაბათ ისინი აქტიურ მუშაობაში საბჭოთა მშენებლობისთვის.

თვითკრიტიკის პლენუმი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. აპრილის პლენუმის ამავე გადაწყვეტილებებმა განსაზღვრეს საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ. მთელი მიმართულება და მუშაობა.

ჩვენი პლენუმის ძირითად მომენტს, რომლის ირგვლივაც გადაიშალა მთელი კამათი და რომელმაც პლენუმის მთელი ყურადღება მიიპყრო, წარმოადგენდა ც. კ. პრეზიდიუმის მოხსენება თავის მუშაობის შესახებ ექვსი თვის განმავლობაში—ც. კ. უკანასკნელი პლენუმის შემდეგ.

ჩვენი პლენუმი ჩატარდა შინაპარტიული დემოკრატიის და თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. პლენუმის რეზოლიუცია პირდაპირ ამბობს: „აი, ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ აუცილებიათ თავიდან პრაქტიკულ მუშაობაში ჩვენ პარტიულ პროფესიონალურ, სამეურნეო და საბჭოთა ორგანიზაციებს.

1. სუსტი ტემპი სოფლის მეურნეობის ეკონომიკის და სოფლის ფენებად განაწილების საკითხების შესწავლისა;

2. შემცდარი შეხედულება ცალკე პარტორგანიზაციებში კულაკებზე, რაც ჩქმალავს ამ უკანასკნელის როლს, და ამასთან ერთად სუსტი მუშაობა ღარიბთა შორის.

3. არასაკმარისი ბრძოლა უგეგმობასთან ადგილობრივ მშენებლობაში;

4. არასაკმარისი დაკლება პროდუქციის თვითღირებულების და საშენებლო მასალის თვითღირებულებისა და დასასრულ:

5. მასიური მუშაობის სისუსტე ყველა ხაზზე და, კერძოდ, პროფესიონალურ ხაზზე“.

ამრიგად, პლენუმის მთელი მუშაობა მიმართული იყო არა იმდენად ჩვენი მიღწევების გამომჟღავნებისაკენ, (ამაზე ცოტა იყო ნათქვამი), რამდენადაც ჩვენი მუშაობის იმ ავადმყოფური და სუსტი ადგილების გამორკვევისა და გამოაშკარავებისაკენ, რომლებსაც დღეს პარტიამ მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაქციოს.

მე არ ვაპირობ გიამბოთ იმაზე, თუ რა და როგორ ილაპარაკეს ც. კ. პლენუმზე. ვისაც ეინტერესება—ვურჩევ წაიკითხოს ამხ. კახიანის მოხსენება ც. კ. პლენუმზე და გაეცნოს მთელი მუშაობა პლენუმისა. უფრო მიზანშეწონილი იქნება ავღნიშნო მხოლოდ პლენუმის მიერ დასახული მნიშვნელოვანი საკითხები და კონკრეტიულათ დავასახელო ის ამოცანები, რომლებიც საქართველოს პირობებში კომკავშირელთა ორგანიზაციების წინაშე დგანან.

ც. კ. პლენუმი, რასაკვირველია, გვერდს ვერ აუქცევდა სამეურნეო მშენებლობის საკითხებს როგორც ქალაქში, ისე სოფელში, და ამ პლენუმზე ჩვენ იძულებული ვიყავით აღვენიშნა, რომ ამ საკითხებში ყველაფერი რიგზე არ არის.

სამრეწველო მშენებლობის ნაკლოვანებანი

ჩვენი სამრეწველო მშენებლობის დარგში პლენუმმა მრავალი შეცდომა და ნაკლი აღნიშნა. საკმაოა გავიხსენოთ თუნდაც მარელისის გრეხილ-ავეჯეულის ფაბრიკა. თავის დროზე გვარწმუნებდენ, რომ ეს იქნება საუცხოვო ფაბრიკა, რომელიც სკამების მთელ კომპლექტს რაღაც ორ მანეთად გამოუშვებს. ფაბრიკა ააგეს და სკამი, დაპირებული ორი მან. ნაცვლად, ჯდება 8 მანეთად, ამრიგად, საბჭოთა ფაბრიკის მიერ დამზადებული სკამი მიუწვდომელია მუშის ბიუჯეტისათვის. და, უკიდურესი სიძვირის გამო, იძულებულნი ვართ სკამები ზარალით გავყიდოთ.

უმეტესად ეს ხდება მუშაობის სუბიექტიური მიზეზების გამო. არა აქვთ საკმაო კვალიფიკაცია იმ პირებს, რომლებიც ამ საქმეს ხელმძღვანელობენ, და არ არის გეგმიანობა მუშაობაში, რაც დღემდე ვერ ავიცილეთ თავიდან. და ეს მაშინ, როცა ჩვენ რამდენიმე წელიწადია ვიმეორებთ, რომ მტკიცე გეგმიანობის გარეშე შეუძლებელია სოციალისტური მშენებლობა, რომ სოციალიზმი არის უპირველეს ყოვლისა ღრმად მოფიქრებული, მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა.

მე, რასაკვირველია, არ მინდა ვთქვა, რომ ამ დარგში ჩვენ არა გვაქვს არავითარი მიღწევა—ეს სიმართლე არ იქნებოდა. მიღწევები გვაქვს, მაგრამ ისინი იმდენად უმნიშვნელო არიან, რომ იძულებულნი ვართ ავამოძრაოთ პარტიის და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის აზრი ამ საკითხის ირგვლივ, ავამოძრაოთ იმიტომ, რომ საბოლოოდ აღმოვფხვრათ ჩვენი აპარატის ეს უგეგმობა, ეს დაუდევრობა,

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია მეორე მომენტი: სრული უპასუხისმგებლობა ბევრ კომუნისტისა და სპეცის, რომელნიც ამა თუ იმ საქმეს აკეთებენ. ამ სამი დღის წინედ „პრავდაში“ წავიკითხე, რომ კავშირის სახკომსაბჭომ გამოსცა თუ უნდა გამოსცეს კანონი სპეცების პასუხისმგებლობის შესახებ მათ მიერ შედგენილი პროექტების გამო. ეს კანონი მეტად სასარგებლო და საჭიროა. რა იყო აქამდის? რომელიმე ინჟინერი ადგენდა პროექტს ღებულობდა ამაში მნიშვნელოვან თანხას, მაგრამ მუშაობის ავკარგიანობისათვის, მისი ღირსებისათვის პასუხს არავინ აგებდა.

სპეცების ამ უპასუხისმგებლობამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ყოველგვარ ბოროტმოქმედებას და მავნებლობას. აღარას ვამბობ იმაზე, რომ მრავალი სამეურნეო მუშაკი—კომუნისტი (ამაზე ბევრი დაიწერა ჩვენს ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში) ივიწყებს, რომ ისინი არ არიან უბრალო მოწმენი იმ საქმისა, რომელსაც მეთაურობენ, ივიწყებენ რომ ისინი პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე პასუხისმგებელნი არიან არა მარტო თავიანთ მუშაობისთვის, არამედ მთელი საქმისთვისაც.

ამხ. სტალინმა პარტიის ყრილობაზე აღნიშნა, რომ ჩვენ გვყავან კომუნისტების ისეთი ტიპები, რომლებიც ყველაფერს, რასაც სპეცები არჩევენ, ხელს აწერენ, და ხშირად არც კი კითხულობენ თუნდაც სინიდისის დასამშვიდებლად. საქმის შესწავლაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება; მათთვის სულ ერთია რას განაგებენ—დიდ მეტალურგიულ ქარხანას თუ ასანთის ფაბრიკას, სულ ერთია ასეთი კომუნისტისთვის—იქნება ის აგიტპროპის გამგე, ან მმართველი თუ დიდი ტყავის ქარხნის დირექტორი.

გეხსომებათ, რომ ამხ. სტალინმა და მთელმა პარტიამ მოგვცეს დირექტივები—ვებრძოლოთ ასეთ კომუნისტებს, ვაიძულოთ ისინი პასუხი აგონ თავიანთ მუშაობისთვის, ვეცადოთ, რომ ყოველ კომუნისტს თავისი თავი მიაჩნდეს იმ საქმის პასუხისმგებლად, რომელიც მას აქვს ჩაბარებული, რომ იგი ეცადოს გახდეს ამ საქმის უკეთესი სპეციალისტად. მაგრამ გარდა ამ მოვლენებისა, რომლებსაც, ეჭვი არ არის, დღემდე აქვთ ადგილი როგორც მთელ კავშირში, ისე საქართველოში, ჩვენ საქმე გვაქვს ისეთი სპეციალისტების სრულ უპასუხისმგებლობასთანაც—სისხლის და სამოქალაქო სამართლის წინაშე, რომლებიც ამა თუ იმ პროექტებს ადგენენ.

ჩვენ ავაგეთ ბორჯომის საკასრე ქარხანა. ეს ახალი და დიდი საქმეა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ წიფელის უბრალო ტკეჩი, რომელიც საჭიროა ჩვენი ციმბირის ერბოს ექსპორტისათვის, დღემდე დანიიდან შემოგვქონდა და ვიხდით მასში ვალიუტას.

და აი გადავწყვიტეთ ავაგოთ საკასრე ქარხანა ბორჯომში, რომ ამრიგად განვთავისუფლდეთ უცხოეთის ბაზრის დამოკიდებულებისაგან. მე ამ ქარხნის ამგები კომისიის მონაწილე ვიყავი. ერთმა ახალგაზრდა ინჟინერმა განაცხადა, რომ ბორჯომის რაიონის წიფელი არ ეყოფა ქარხანას. მაგრამ უდიდესმა ავტორიტეტებმა, ტყის საქმის მცოდნეებმა და ფრიად ცნობილმა სპეციალისტებმა მასხარად აიგდეს და სამარცხვინო ბოძზე გააკრეს ეს ინჟინერი. ქარხანა ავაგეთ, იგი ასი ათასები დაჯდა, ეხლა კი ირკვევა, რომ წიფელი არ არის და არ ვიცით—ქარხანა იმუშავებს თუ არა. ეხლა ბორჯომში სპეციალური კომისია წავიდა ამ საკითხის გამოსარკვევად. ტყე შეიძლება სადმეც აღმოჩნდეს, მაგრამ განა თვით ამ საკითხის წამოჭრა ამჟამად, როცა ქარხანა უკვე აგებულია, დაუდევრობად და დანაშაულად არ უნდა ჩაეთვალოთ იმ სპეცებს, რომელთაც ტყის რაოდენობა ქარხნის აგებამდე უნდა გამოერკვიათ?

ამხანაგებო! სპეცების ასეთ დაუდევრობასთან, უყურადღებობასთან და საზიანო მოქმედებასთან, ზოგიერთი პასუხისმგებელი და არაპასუხისმგებელი სამეურნეო მუშაკ კომუნისტების ასეთ დაუდევრობასთან ერთად ჩვენ ერთი სხვა მინუსიც მოგვეპოვება.

ეს არის სრული უკონტროლობა ამა თუ იმ წარმოებისა იქ მომუშავე მასების მხრივ—სრულებით არ არის ფართოთ დაყენებული ასეთი კონტროლი. მართალია, არსებობენ საწარმოო თათბირები, მართალია ისიც, რომ ისინი ცოტა რამეს აკეთებენ, მაგრამ მასიური მუშაობა წარმოებებში პროფკავშირებისა, თვით პარტიისა და, სხვათა შორის, კომკავშირისაც, მეტად სუსტად არის დაყენებული.

ყოფილა, ამხანაგებო, ისეთი შემთხვევა, მრავალი შემთხვევაც. როცა უპარტიო მუშები ამჟღავნებენ ათასგვარ სისაძაგლეს, რომლებსაც ადგილი ჰქონია წარმოებაში, კომუნისტები, და კომკავშირელები კი ჩქმალავენ ამ სისაძაგლეებს, რომ არ ეწყინებინათ, ვთქვათ დირექტორის. ან ადგილკომისთვის. ამჟამად ირკვევა, რომ თბილისის საპონ-ზეთის ქარხანაში მის დირექტორს, თუ არ ვცდები, შურაძეს, მრავალი ხულიგნური საქციელი ჩაუდენია. ირკვევა, მაგალითად, რომ ეს დირექტორი ყოვლად საზიზღარი წინადადებით მოსვენებას არ აძლევდა მუშა ქალებს. თურმე უპარტიო მუშა ქალებს და მუშებს არა ერთხელ უცნობებიათ ამის შესახებ ადგილკომისთვისა და პარტიის წევრებისთვისაც, მაგრამ ეს უკანასკნელნი ან არ იჯერებდენ გადაცემულს, ან უყურადღებოდ სტოვებენ მას ამავე დროს ქარხანაში არსებობს კომკავშირელთა უჯრედი, რომელიც ურიგო უჯრედად ვერ ჩაითვლება.

ამრიგად, ამხანაგებო, სამრეწველო მშენებლობის დარგში ჩვენ მრავალი ნაკლი მოგვეპოვება. მთავარი, ძირითადი ნაკლი კი ის არის რომ დღემდე ვერ შევიტანეთ სერიოზული გეგმიანობა ეკონომიურ და პოლიტიკურ ფაქტორთა ნამდვილი აღრიცხვის საქმეში; შემდეგ—დღემდე ვერ ავიცილეთ უპასუხისმგებლობა ზოგიერთი კომუნისტებისა, რომლებიც სათავეში უდგანან ამა თუ იმ სამეურნეო დაწესებულებებს, ვერ მოვიშორეთ უპასუხისმგებლობა სპეციალისტებისა, რომელთაც ჰგონიათ, რომ შეუძლიათ ხელი მოაწერონ უვარგის პროექტებს და პასუხი კი არ აგონ, და დასასრულ, ყველაზე უმთავრესი ის არის რომ დღემდე ცუდად გვაქვს დაყენებული მასიური მუშაობა პარტიის, კომკავშირელთა და, საზოგადოდ, მუშათა შორის. საკმაოდ აქტიურად არა გვყავან ისინი ჩაბმული წარმოებების კონტროლში და ამა თუ იმ სამეურნეო წამოწყების საწარმოო მუშაობაში.

დავაჩქაროთ სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია

შემდეგ — მეორე, არა ნაკლებათ მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენს პირობებში—არის საკითხი სოფლის მეურნეობის შესახებ.

ჩვენი მუშაობის მთავარ ნაკლად სოფელში უნდა ჩაითვალოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განვითარების მეტად სუსტი ტემპი. მცირეა იმ კოლმეურნეობების, კომუნების და არტელების რიცხვი, რომლებიც ჩვენ საქართველოში მოგვეპოვებიან. ამავე დროს ყოველი კომუნისტისთვის, ყოველი კომკავშირელისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ შეუძლებელია საბჭოთა სოფლის ეკონომიური აღორძინება ისეთ დაქუცმაცებული წვრილ-ბურჟუაზიული მეურნეობის დროს, როგორიც ჩვენ მოგვეპოვება.

ამიტომ „ც. კ. პლენუმი სთვლის, რომ სოფლის მეურნეობის დარგში ძირითად ამოცანას მახლობელი პერიოდისთვის უნდა შეადგენდეს სოციალისტური გარდაქმნა სოფლისა კოლექტივიზაციის ნიადაგზე. ამასთან დაკავშირებით საჭიროა:

დაჩქარება მიწათმოწყობის საქმის სამუშაოებისა...

კურსის აღება კოლმეურნეობებზე და საბჭოთა მეურნეობების შემდგომ ზრდაზე, ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს იმ ნაკლულევანებებს, რომელთაც ადგილი აქვთ არსებულ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში“.

ამას გარდა, ამხანაგებო, ჩვენ სუსტად გვაქვს დაყენებული მასიური მუშაობა სოფლად, ვიტყვი—მასიური მუშაობა სოფელში უფრო ცუდად გვაქვს დაყენებული, ვიდრე ქალაქში. ამ დარგში მრავალი ნაკლი მოგვეპოვება, რომელთა გამოსწორებაც შეიძლება როგორც კომკავშირის, ისე პარტიის მთელი ძალღონის დაჭიმვით.

მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა შორის

მესამე საკითხი, რომელიც ც. კ. პლენუმმა აღნიშნა,—არის საკითხი ჩვენი ეროვნული პოლიტიკის შესახებ, ან უფრო სწორად—საკითხი პოლიტიკისა ეროვნულ უმცირესობათა მიმართ თქვენ იცით, რომ საქართველოში სამი რესპუბლიკა გვაქვს: აჭარისტანი, აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი.

ამას გარდა, არიან სხვა ეროვნული უმცირესობანი, რომელნიც არც ერთ ამ რესპუბლიკაში არ შედიან.

ჩვენ მუშაობას ამ ეროვნულ უმცირესობათა შორის მრავალი ნაკლი ახლავს.

ავიღოთ მუშაობა ებრაელთა შორის, ეს მუშაობა საქართველოში ძალიან ცუდათაა დაყენებული მარტო ის ფაქტი, რომ ქუთაისის ებრაელებს შორის მხოლოდ 14 კომკავშირელია,—თავისთავად ბევრს ლაპარაკობს.

კოოპერაციის გაჯანსაღებისათვის

ეხლა შევეხოთ კოოპერაციისა და ვაჭრობის საკითხს. ჩვენ ამხანაგებო, შეგვიძლია აღვნიშნოთ მრავალი მიღწევა გლეხების კოოპერატიულად შეკავშირებისა, სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარებისა, საწევრო გადასახადის აკრეფისა და სოფლის საზოგადოებრივი ძალების კოოპერაციის გარშემო დარაზმვის დარგში. მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლსაც რომელთა აღმოფხვრა აუცილებელია.

ჩვენი კოოპერატიული მუშაობის მთავარ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ დღემდე არ მოგვეპოვება ჩვენი კოოპერაციის შემადგენელ ელემენტების სწორი აღრიცხვა. ჩვენი კოოპერატიული ცენტრები გვაწვდიან ციფრებს კოოპერაციის შემადგენლობის შესახებ, მაგრამ ეს ციფრები ჯერ-ჯერობით არაა შემოწმებული. ამავე დროს, ზოგიერთი კოოპერატიული გაერთიანება, როგორც, მაგალითად, მეცხვარეთა „მწყემსი“ და „ბირლიკი“, უმთავრესად შესდგება კულაკებისაგან. ამიტომ ცეკას პლენუმი განსაკუთრებულ ყურადღებას მაქცევს ჩვენი კოოპერაციის სოციალური შემადგენლობის შესწავლის საკითხს.

შემდეგ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კოოპერატივები სუსტად აკმაყოფილებენ ღარიბ და საშუალო გლეხების მოთხოვნილებებს. მე მოვიყვან ასეთ ფაქტს.

თქვენ იცით, რომ კოოპერაციაში ღარიბ გლეხობის მოსაზიდად ჩვენ ჩავატარეთ ანარიცხების შეგროვების კამპანია და აი მთელ რიგ მაზრებში: გორში, სიღნაღში და ქუთაისში ადგილი აქვს ასეთ მოვლენას — ანარიცხები შეგროვილია, მაგრამ ფული სალაროშია და დღემდე არაა გამოყენებული. თითქოს გაუგებარია — ფული არის, ღარიბი გლეხები ბევრია, მაგრამ არავინ არ ფიქრობს მათ შეკავშირებას, კოოპერატიულად. კიდევ მეტი, ჩვენ რამდენიმე შემთხვევა გვქონდა დავრწმუნებულიყავით, რომ ადგილობრივმა პარტიულმა და კომკავშირის კომიტეტებმა და ადგილობრივმა აღმასკომებმაც ხშირად არ იციდენ, რომ ასეთი ფული არსებობს. ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი პარტიული და კომკავშირის ორგანოები იჩენენ დაუდევრობას და სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ღარიბ გლეხობის საჭიროებას.

ცეკას პლენუმის რეზოლიუციაში განსაკუთრებითაა აღნიშნული, რომ კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ღარიბ და საშუალო გლეხებს საჭიროებებს და რაც შეიძლება მეტი რესურსები გამოყონ გლეხობის ამ კატეგორიის მოთხოვნილებებისათვის.

ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ

ეხლა გადავიდეთ საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხზე. საჭირო არაა იმის მტკიცება, თუ როგორ უკმაყოფილებას იწვევს მუშებში და რამდენად საზარალოა ჩვენი აპარატის ბიუროკრატიული გადამახინჯება. ბიუროკრატიზმის შემდგომ განვითარებას შეუძლია ძირი გამოუთხაროს მუშათა კლასის ნდობას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ვინაიდან წარმოუდგენელია იმაზე უფრო სამარცხვინო მოვლენა, ვიდრე ის გულგრილი დამოკიდებულება მუშათა მოთხოვნილებებისადმი, რომელსაც ადგილი აქვს ზოგიერთ ჩვენს დაწესებულებებში ზოგიერთ მოხელეების მხრით. ბიუროკრატიზმის აღმოფხვრა ერთი ხელის დაკვრით შეუძლებელია, ვინაიდან ბიუროკრატიზმის მთავარი მიზეზი ჩვენი უკულტურობა, მუშაობის არ ცოდნა, შეგნებული ხულიგნობა და ზოგიერთი მოხელეებისა და ზოგიერთი გახრწნილი კომუნისტების საზიანო მუშაობაა.

აქედან წარმოსდგება ის ბიუროკრატიული გადამახინჯება და ის დაუსრულებელი საქმის გაჭიანურება, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს დაწესებულებებში. ამიტომ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ წარმატებით საბრძოლველად უწინარეს ყოვლისა საჭიროა ვიზრუნოთ პირველ რიგში პარტიისა და კომკავშირის, ხოლო შემდეგ მთელი მუშათა კლასის კულტურული აწევაზე. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ეხლა არ უნდა ვებრძოლოთ იმ აღმაშფოთებელ დამახინჯებას, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს დაწესებულებაში, ვებრძოლოთ ყოველნაირად, ყოველ ცალკე კონკრეტიულ შემთხვევაში.

კულტურული მშენებლობა

ჩვენი კომკავშირისა, პარტიისა და უპარტიო მასების კულტურული მშენებლობა და კულტურული დონის აწევა — დიდი საკითხია, რომლის გადაჭრა ხანგრძლივ, ყოველდღიურ მუშაობას მოითხოვს.

ყველა ჩვენი ნაკლი, განსაკუთრებით ბიუროკრატიული გადამახინჯება მჭიდროდაა დაკავშირებული კულტურული რევოლიუციის საკითხთან. ჩვენ გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობას, უნდა გავაფართოოთ კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი და გავამუჯობესოთ მათი მუშაობა მატერიალური რესურსებისა და კულტურის ფრონტზე მომუშავეთა კადრების უზრუნველყოფით.

მატერიალური ბაზისა და კვალიფიციურ კულტმუშაკების კადრის გარეშე არავითარი სკოლისა და არავითარი კულტურის განვითარება არ შეიძლება.

ოზურგეთის მაზრაში მე დავესწარი ერთერთი ახალგაზრდა კომკავშირელის გაკვეთილს, რომელსაც ახალი დამთავრებული ჰქონდა ტეხნიკუმი. ის ხსნიდა, თუ რა არის სოციალიზმი. მის მიერ სოციალიზმის ახსნა მეტად სასაცილო, მაგრამ ამავე დროს მეტად მავნებელიც იყო, მაგალითად ის ამბობდა რომ მენშევიკებს უნდათ, რომ ხალხს ეცვას ფერადი კაბები და ფერადი შარვლები, ხოლო სოციალიზმის დროს ყველას ერთნაირი კაბები და შარვლები უნდა ეცვასო.

შემდეგ ის ამბობდა, რომ სოციალიზმი ალტრუისტული მოვლენაა, ხოლო კითხვაზე რა არის ალტრუიზმი, ის უპასუხებს: — ეს ისაა, რომ მე შენ მიყვარხარ და მე შენ გიყვარვარო, სასაცილოა ეს, ამხანაგებო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასეთი მასწავლებლები ასწავლიან დაწყებით სკოლებში ჩვენს მოზარდ თაობას და თუ ჩვენ ასეთ აბდა-უბდას ვასწავლით მას, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენი კულტურული რევოლიუცია შორს ვერ წავა. ამიტომ ჩვენი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოებასა და მათი მატერიალური ბაზის გაძლიერებასთან ერთად საჭიროა, ამხანაგებო, სერიოზულად ვიფიქროთ იმაზე (პირველ რიგში ეს კომკავშირელებს ეხება), რომ უკეთ მოვემზადოთ მასწავლებლობისათვის, ჩვენი ბავშვების აღმზრდელის როლისათვის. კომკავშირელმა უნდა შეიგნოს, რომ სწავლის თვითგანვითარების გარეშე არავითარი კულტურული წინსვლა არ შეიძლება.

მდგომარეობა კომკავშირში

უკანასკნელი საკითხი, რომელზედაც მე მინდა შევჩერდე ცეკას პლენუმის შედეგებთან დაკავშირებით ეს კომკავშირის საკითხია.

უწინარეს ყოვლისა, ამხანაგებო, პლენუმმა აღნიშნა, რომ პარტიული ორგანოები საკმაო ხელმძღვანელობას არ უწევენ კომკავშირს და პლენუმმა პარტიულ ორგანიზაციებს მისცა დირექტივა — მეტი ყურადღება მიაქციონ კომკავშირს, მისი აღზრდისა და კულტურული წინსვლის საკითხებს.

კომკავშირელებს შეგნებული უნდა ჰქონდეთ, რომ მოკლე ხანში ისინი გადავლენ პარტიაში — სახელმწიფოს მმართველ პარტიაში კომკავშირის მასას ეს შეგნება აკლია, რაც მეტად საშიშ მოვლენას წარმოადგენს, ვინაიდან ის იწვევს უპასუხისმგებლობას, როგორც კომიტეტებისა და ორგანიზაციების პრაქტიკულ მუშაობის დარგში, ისე სწავლისა, კულტურული მშენებლობისა და თვითგანვითარების საქმეშიც.

პლენუმმა აღნიშნა ის ავადმყოფური მოვლენები და სისაძაგლე, რომელთაც ადგილი აქვს თქვენს ორგანიზაციაში — ლოთობა, გაფლანგვა, ქუჩური ლანძღვა - გინება და სხვ. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ყოველმხრივად უნდა დაეხმარონ კომკავშირს ასეთი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამაგიერო პარტიული ორგანიზაციებში ხშირად ერთობ ლმობიერად ეპყრობიან კომკავშირელებს და სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მათ უმსგავსო მოქმედებას.

რა თქმა უნდა, პარტიული კომიტეტი დიდი ყურადღებით, სიფრთხილით და სიყვარულით უნდა ეპყრობოდეს კომკავშირს, მაგრამ ასეთ მეშჩანურ დამოკიდებულებას „ახალგაზრდობის“ მიმართ ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ეს აძლიერებს ავადმყოფურ მოვლენებს და ხელს უწყობს მავნე მისწრაფების განვითარებასა და განმტკიცებას. პარტიული ორგანიზაციები მეტი სიმკაცრით უნდა მოეპყრან კომკავშირელების მოქმედებას და დაეხმარონ კომკავშირს ყველა ნაკლისა და სისაძაგლის ძირ-ფესვიანად აღმოფხვრაში.

აი, ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ცეკას პლენუმზე იყო დასმული.

კომკავშირის მორიგი ამოცანები

კომკავშირის როლი სამრეწველო მშენებლობაში

ეხლა ჩვენ უნდა დავსახოთ ის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ ამ გადაწყვეტილებებიდან კომკავშირის ორგანიზაციისათვის.

როგორია კომკავშირის როლი ჩვენს სამრეწველო მშენებლობაში? ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ კომკავშირის უჯრედების გეგმიანი მონაწილეობა ჩვენს სამრეწველო მშენებლობაში მეტად უმნიშვნელოა. არიან, რა თქმა უნდა, ცალკე კომკავშირელები და ცალკე უჯრედებიც, რომლებიც დიდ აქტივობას იჩენენ ამ საქმეში, მაგრამ საერთოდ ეს მეტად უმნიშვნელოა.

ასეთივე უმნიშვნელო მონაწილეობას ღებულობს კომკავშირი მთლიანად საწარმოო თათბირებში და საწარმოო კომისიებში.

კიდევ უფრო ნაკლებ აქტივობას იჩენენ კომკავშირის უჯრედები წარმოების რაციონალიზაციის საქმეში. საჭიროა ამ ნაკლის მიზეზების გამოაშკარავება და ზომების მიღება, რომ კომკავშირმა უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს ჩვენს სამშენებლო მუშაობაში.

შემდეგ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დისციპლინის განმტკიცებას კომკავშირლებსა და მუშებს შორის.

სამწუხაროდ, როგორც თბილისის, ისე პროვინციის ფაბრიკა - ქარხნებში არაა დისციპლინა განმტკიცებული. შრომის სახ. კომისარიატისა და ს. მ. უ. საბჭოს ცნობები მოწმობს, რომ კომკავშირლები ხშირად აცდენენ სამუშაო დღეებს, განსაკუთრებით ორშაბათობით. ალბად კვირაობით ზოგიერთი კომკავშირლები ლოთობენ და ორშაბათობით კი ისვენებენ. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ კომკავშირელი მუშები არ უფრთხილდებიან საწარმოო იარაღებს. მართალია, ეს დაუდევრობა მნიშვნელოვნად შესუსტდა, მაგრამ საბოლოოდ ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა.

ურთიერთ დამოკიდებულება ადმინისტრაციასა და კომკავშირს შორის და აგრეთვე კომკავშირსა და ოსტატებს შორის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულა, ვინაიდან კომკავშირელები შეეცადენ პარტიის დირექტივის გატარებას, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ აქვს მაინც ადგილი მთელ რიგ ავადმყოფურ, არანორმალურ მოვლენებს.

ყველა ამ დეფექტებს სასტიკად უნდა ვებრძოლოთ. კომკავშირლების მონაწილეობას საერთო - საქარხნო ცხოვრებაში და კერძოთ პროფესიონალურ და სამეურნეო მუშაობაში ხშირად ახასიათებს ის, რომ კომკავშირის უჯრედები სრულიად გულგრილად ეკიდებიან თავიანთი წარმომადგენლების მუშაობას სხვადასხვა სამეურნეო და პროფესიონალურ ორგანიზაციებში. ისინი ირჩევენ, გზავნიან ამხანაგებს ამ სამუშაოზე, შემდეგ კი არავითარ ინტერესს არ იჩენენ, არ მოითხოვენ მათგან არავითარ ანგარიშს, ესეც აგრეთვე არის ბიუროკრატიული ხასიათის მოვლენა, ეს არის თავისი ამოცანების აშკარა შეუგნებლობა უჯრედის მხრივ. უკანასკნელ ხანებში ჩვენ პრაქტიკულად მივუდექით საქარხნო - საფაბრიკო შეგირდობის ამოცანებს, აღმოჩნდა, რომ ეს სკოლები ხშირად ამზადებენ არა იმ მუშებს, ასწავლიან არა იმ სპეციალობას, როგორიც საჭიროა ჩვენი მრეწველობის პირობებში. კომკავშირლებმა ყველაზე უწინ უნდა მიუთითონ ამგვარ საფრთხეებზე. მათ მხედველობაში უნდა მიიღონ და გაითვალისწინონ, თუ როგორი მუშებს ამზადებს და რა სპეციალობას ასწავლის საქარხნო - საფაბრიკო შეგირდობის სკოლა.

სწორედ ეს არის კომკავშირის მუშაობის მთავარი ნაკლოვანებანი სამრეწველო მშენებლობის დარგში. რასაკვირველია, ყველა ეს ნაკლოვანებანი ისეთი ხასიათისაა, რომ მათი აღმოფხვრა შეიძლება და კიდეც უნდა აღმოვფხვრათ. უფრო მეტი— მათი აღმოფხვრა არც ისე ძნელია. აქ საჭიროა მხოლოდ სურვილი და ძალების ერთგვარი გადაჯგუფება. ხელმძღვანელობის გაუმჯობესება კომკავშირის ცეკასა და თბილისის კომიტეტის მხრივ. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ უჯრედი კოლექტიურ მონაწილეობას იღებდეს ჩვენს აღმშენებლობაში, რომ უჯრედმა თავი დააღწიოს ფორმალიზმს, რომ კომკავშირის უჯრედი ნამდვილად უწევდეს ანგარიშს იმას, რომ ის პარტიულ ორგანოებთან ერთად პასუხისმგებელია იმ წარმოებისათვის, მეურნეობის იმ დარგისათვის, სადაც მას უხდება მუშაობა.

კომკავშირი და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია

ახლა გადავიდეთ კომკავშირის მონაწილეობაზე ჩვენს სასოფლო მეურნეობაში, უფრო სწორათ, რომ ვთქვათ, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციაში.

მე უკვე ვილაპარაკე იმის შესახებ, რომ სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია მეტად სუსტად მიმდინარეობს. კოლექტიური მეურნეობები, კომუნები და არტელები ჩვენში ფრიად ცოტა მოგვეპოვება ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა იმ ზღვასთან შედარებით, რომელიც საქართველოში გვაქვს. მაგრამ არსებულ კოლექტიურ მეურნეობებშიაც კომუნისტების და კომკავშირელების პროცენტი მცირეა—სულ 16,5 პროც. სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია არის უდიდესი ახალი საქმე, არის საზოგადოების პრაქტიკულად გარდაქმნა ახალ სოციალისტურ საფუძვლებზე და თითქოს ამ რევოლიუციონურ სოციალისტურ საქმეში მაგალითის მიმცემი და მოთავე პირველ ყოვლისა უნდა იყოს ჩვენი რევოლიუციონური ახალგაზრდობა — კომკავშირელები.

მაგრამ ის გარემოება, რომ კომკავშირელების მონაწილეობა სოფლის კოლექტივიზაციის საქმეში მხოლოდ 16 პროცენტში გამოიხატება, იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი კომკავშირის ორგანიზაცია არ არის საკმაოდ გამსჭვალული სოფლის სოციალისტური გარდაქმნის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დიადი იდეით, რომ გლეხობის ძველი თაობა უფრო აქტიურია ამ საქმეში, ვიდრე კომკავშირლები და ეს იმ დროს, როცა სოფლის კომუნისტის კულტურული დონე ხშირად გაცილებით დაბალია, ვიდრე კომკავშირელის კულტურული დონე. დამახასიათებელია ის, რომ 1927 წ. კომკავშირელები კოლექტიურ მეურნეობებში შეადგენდნენ 25 პროცენტს, მიმდინარე წელს კი, ე. ი. სწორედ იმის შემდეგ, როცა პარტიის ყრილობამ და პარტიამ მთლიანად გადმოისროლა სოფლის მეურ.-ბის კოლექტივიზაციის ტემპის გაძლიერების ლოზუნგი, ჩვენ ვამჩნევთ კომკავშირელების მონაწილეობის შემცირებას კოლექტივიზაციაში თითქმის 8 პროცენტით. მოყვანილი ციფრები ამტკიცებენ, რომ კომკავშირლების შეგნებაში სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის იდეა ჯერ კიდევ განყენებულ ლოზუნგათ არის დარჩენილი. ეს მოვლენა უეჭველად უფრო უარესია და იმის ოდენადაც არ შეეფერება პარტიის იმ კურსს, რომელიც ყრილობამ შეიმუშავა.

საჭიროა პარტიის და კომკავშირის, როგორც ყველა ხელმძღვანელ ორგანოების, ისე კომკავშირის თითეული სოფლის უჯრედის ყველა ძალების დაჭიმვა, რომ აღნიშნული მიმართულებით ერთგვარი გარდატეხა მოვახდინოთ კომკავშირელების შეგნებაში.

კომკავშირის სოციალური შემადგენლობა

სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი კომკავშირის სოციალური შემადგენლობის საკითხი. მუშა-ახალგაზრდობის დარაზმვის საკითხი ქალაქში ჩვენ შედარებით კარგათ დავსძლიეთ, მაგრამ სოფლად ჩვენი კომკავშირის სოციალური შემადგენლობა ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.

სოფლის უჯრედებში 1928 წ. პირველ აპრილისათვის ჩვენ გვყავს მუშები 2,2 პროც., მოჯამაგირეები — 4,9 პროც., ამხანაგებო, მოჯამაგირეთა პროცენტი ჩვენს პარტიაში ძლიერ მცირეა, მაგრამ კომკავშირში ამ მხრივ უფრო უარესი მდგომარეობაა, ვიდრე პარტიაში. კომკავშირმა პირველ რიგში თითქოს მოჯამაგირეები უნდა დარაზმოს. ამაზე მიუთითებდით ჩვენ კიდევ ერთი წლის წინად. ამავე დროს კი მოჯამაგირეთა რაოდენობა კომკავშირში არ იზრდება და არის ნიშნები იმის, რომ მოჯამაგირეებისადმი დამოკიდებულების საკითხში კომკავშირის ორგანიზაციები ადგილებზე ექცევიან გლეხების — კერძო მესაკუთრეთა გავლენის ქვეშ. მოჯამაგირეთა, რომელსაც არაფერი გააჩნია, არ სარგებლობს კერძო მესაკუთრის იდეოლოგიით გამსჭვალული გლეხის ყურადღებით და პატივისცემით და მოჯამაგირეთა პროცენტის სიმცირე კომკავშირში გვაფიქრებინებს, რომ კომკავშირის ორგანიზაციები ითვისებენ წვრილ მესაკუთრის ამპარტავნულ დამოკიდებულებას ყოველგვარ ქონებას მოკლებულ მოჯამაგირისადმი.

ეს მდგომარეობა არავითარ შემთხვევაში არ შეეფერება იმ ამოცანებსა და დირექტივებს, რომელიც პარტიამ მოგვცა სოფლად მუშაობის დარგში. ღარიბი გლეხები ჩვენს ორგანიზაციაში შეადგენენ 72 პროც., საშუალო შეძლების გლეხები — 17,2 პროც., ხელოსნები — 1,2 პროც.. კომკავშირმა განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს კომკავშირელ მოჯამაგირეთა პროცენტის დაუშვებლად ნელ ზრდას.

მართალია, მუშაობა მოჯამაგირეთა შორის უფრო ძნელია, ვიდრე გლეხებში, რადგან მოჯამაგირეები ყველაზე ჩამორჩენილი არიან კულტურულად, მაგრამ სიძნელემ არ უნდა შეგვაშინოს ჩვენ, ვინაიდან მოჯამაგირეები წარმოადგენენ სწორედ იმ ფენას, რომელზედაც ჩვენ შეგვიძლია დავეყრდნოთ სოფლად და საიდანაც უნდა მოვკრიბოთ ჩვენი ძალები. ამხ. ბუხარინი კომკავშირის საკავშირო ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ კომკავშირი უნდა ერიდოს თავის შემადგენლობის არა თუ გაკულაკებას, საშუალო შეძლების გლეხად გადაქცევასაც კი.

კიდევ ერთი დიდი ნაკლი

კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობაში სოფლად უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი დიდი ნაკლი. მე მხედველობაში მაქვს კომკავშირის როლი და მონაწილეობა ცრუ-კომუნების, ცრუ-კოოპერატივების და ცრუ-კოლექტიურ მეურნეობათა გამოაშკარავების საქმეში. ყველამ იცის, რომ კულაკები ხშირად ქმნიან ამგვარ ცრუ გაერთიანებებს იმ მიზნით, რომ თავი დააღწიონ გადასახადებს და კიდეც ისარგებლონ იმ შეღავათებით, რომლებიც ეძლევა კოლექტიურ გაერთიანებათ. ჩვენ არ გვქონია თითქმის არც ერთი შემთხვევა, რომ სოფლის კომკავშირლებმა გამოაშკარავეს ამგვარი საძაგელი საზიანო მოვლენა ჩვენს ქვეყანაში.

ეს აიხსნება კომკავშირისა და კომკავშირის უჯრედების ინერტიულობით, ინტერესის უქონლობით სოფლის ცხოვრებისადმი. უფრო მეტი, ოზურგეთის მაზრაში და გორში ჩვენ გვქონდა შემთხვევები, როცა კომკავშირლებმა იმის შიშით, რომ „მეზობელი“ არ გაეცურებიათ, შეგნებულად არ აცნობეს ხელისუფლებას, რომ მათ სოფელში აქტიურად მუშაობს და იმალება მენშევიკი. ამგვარი ინერტიულობა და მეშჩანური დამოკიდებულება ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებისადმი ძირფესვიანად უნდა აღმოიფხვრას.

მუშაობა საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისათვის

გადავიდეთ კომკავშირის მონაწილეობაზე ბრძოლაში საბჭოთა აპარატის გასაუმჯობესებლად. კომკავშირის უჯრედი, როგორც დარაზმული ერთეული, მცირე და არასაკმაოდ აქტიურ მონაწილეობას იღებს ბრძოლაში ბიუროკრატიზმთან. უკეთეს შემთხვევაში ისინი მხოლოდ მხარს უჭერენ ამა თუ იმ ღონისძიებებს, რომლებიც პარტიულ უჯრედებისაგან გამომდინარეობენ.

უფრო მეტი, ბიუროკრატიული გადამახინჯებათ ადგილი აქვთ არა მარტო საბჭოთა აპარატში, არამედ ზოგჯერ კომკავშირის ორგანიზაციებშიც.

ამხ. ჯავახიძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ იყო შემთხვევა, როცა ერთ-ერთ სამაზრო კომიტეტის მდივანმა უარი სთქვა უჯრედში წასვლაზე იმ საბუთით, რომ სხენებული უჯრედი მისთვის არასაკმაოდ კულტურულია.

ეს არის ბიუროკრატიზმის უცუდესი სახის გამოხატულება წრე-გადასულ და მასებისგან მოწყვეტილ კომკავშირელის მხრივ.

არსებითად რომ ვსთქვათ, რამდენადაც ნაკლებ კულტურული და სუსტია უჯრედი, იმდენად მეტი დრო და ენერგია უნდა დახარჯოს მასზე, მით უფრო მეტი მუშაობაა საჭირო მასში, საჭიროა მისი გამოსწორება, მისი დონის ამაღლება. სწორეთ სუსტი და ნაკლებ-კულტურული უჯრედი საჭიროებს კულტურულ პარტმუშაკებს, ძლიერი უჯრედი კი თვით დასძლევს თავის სამუშაოს.

კომკავშირის ორგანიზაციაში შემჩნეულ ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა ფაქტები ბევრი მოგროვდება, პოლიტიკურ დასკვნებისათვის ერთიც კი საკმაოა.

კომკავშირლებმა უნდა აღმოფხვრან ბიუროკრატიზმის ყოველგვარი ნიშან-წყალი თავის ორგანიზაციაში, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასტიკ ბრძოლაში ბიუროკრატიულ გადამახინჯებებთან, რომლებიც ხრწნიან ჩვენს საბჭოთა აპარატს. კომკავშირის კადრებმა უნდა აღზარდონ სიძულვილი ბიუროკრატიზმისადმი პირველ ყოვლისა საკუთარ რიგებში.

ბიუროკრატიულ გადამახინჯებებს ჩვენ ვამჩნევთ ჩვენს პარტ-აპარატში და თვით ჩვენი პარტიის ცეკაშიც.

იყო შემთხვევა, როცა სეკრეტარიატის მიერ ბეჭვდითი სიტყვის განყოფილებაში გადაცემულ „პრავდა“-ს შეკითხვაზე პასუხი გასცეს ორი თვის შემდეგ შეკითხვის მიღების დღიდან.

კიდევ უფრო მეტი, როცა ბეჭვდითი სიტყვის განყოფილებიდან პასუხი ვერ მიიღეს, სეკრეტარიატში ვერ ნახეს უკეთესი გამოსავალი, რომ არ დაეცადათ საჭირო ცნობებისთვის და ეცნობებიათ „პრავდა“-სათვის, რომ მის მიერ მოყვანილ ფაქტს სინამდვილეში არ ჰქონია ადგილი და რომ ცეკა „ჩქარა“ გაუგზავნის მას შესაფერ განმარტებებს.

აი თქვენ ფაქტი ჩვენი პარტიული მუშაობის დარღვევისა ჩვენს ცენტრალურ კომიტეტში.

რა არის ეს, თუ არა ბიუროკრატიზმის უცუდესი გამოხატულება.

ამგვარ საძაგელ მოვლენებს უსასტიკესად უნდა ვებრძოლოთ და ამ ბრძოლაში მებაირაღტრე უნდა იყოს სწორედ კომკავშირი.

სანამ იდეოლოგიური ხასიათის საკითხებზე გადავიდოდე, საჭიროა აღინიშნოს კომკავშირის მასიური მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესება, კომკავშირის უჯრედების უდაო აქტივიზაციის ფაქტი, მაგრამ აქტივიზაციის ტემპი, მასიური მუშაობის გაძლიერების ტემპი მაინც არ შეეფარდება ჩვენი ქვეყნის განვითარების ტემპს და ჩვენ უნდა მივაღწიოთ კომკავშირის მთელი მასის კიდევ უფრო მეტ აქტივობას, რომ ის მართლაც გახდეს ჩვენი სოციალისტური ცხოვრების ნამდვილი მონაწილე.

იდეოლოგიურ ფრონტზე

ანტირელიგიური მუშაობა

გადავდივარ რა იდეოლოგიური ხასიათის საკითხებზე, მე პირველ ყოვლისა უნდა შევჩერდე ანტირელიგიური პროპაგანდაზე. უკანასკნელ ხანებში ჩვენში შენიშნულია გასაკვირალი მოვლენა, სახელდობრ-კი—მორწმუნეობის გაძლიერება და პარალელურად გაძლიერება არა ანტირელიგიური, არამედ რელიგიური პროპაგანდის. რამდენიმე ხნის წინად თითქმის ჩვენ ვიკვეხნიდით, რომ დავხურეთ ყველა ეკლესიები საქართველოში, სინამდვილეში კი საქართველოში აღმოჩნდა 1.016 მომქმედი ეკლესია! ეს ციფრები მე მომცა პოლიტგანათლების მთავარმა მმართველობამ. ვფიქრობ, რომ სწორი ციფრებია. გარდა ამისა, არსებობს სომეხ-გრიგორიანთა 200 ეკლესია, რუსების—46, კათოლიკეთა—57 ეკლესია და სხვ. მე, სამწუხაროდ, არ მომეპოვება ცნობები სინაგოგების რაოდენობის შესახებ. მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი არ არის თურმე, გარდა ეკლესიებისა საქართველოში არის 6 მონასტერი და 165 ბერ-მონაზონი, რომლებიც ამ მონასტრებშია თავშეფარებული.

განსაკუთრებით შესამჩნევად გაძლიერდა რელიგიური მოძრაობა მუსლიმანურ მოსახლეობის შორის, ეს უმთავრესად შეეხება ბორჩალოს მაზრას, აჭარისტანს, ახალციხესა და ახალქალაქს. ამ რაიონში ჩვენ შევამჩნიეთ მოლების რიცხვის საგრძნობლათ გადიდება, რელიგიური პროპაგანდის აქტივიზაცია, სხვადასხვა სარწმუნოებრივ სექტების გაცოცხლება და შექმნა.

აქ რამდენიმე ხნის წინად ჩვენ აღმოვაჩინეთ ახალი სექტა ქართველებს შორის, სადაც სექტანტურ მოძრაობას არასდროს არ ქონია ადგილი. ამრიგად, მოსახლეობის იმ ნაწილშიც, რომელიც თითქმის ნაკლებ იყო განწყობილი რელიგიის სასარგებლოდ, ჩვენ ვამჩნევთ რელიგიური პროპაგანდისა და რელიგიური მოძრაობის გაძლიერების შედეგებს. რასაკვირველია, ამის მთავარი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ სოფლად კერძო კაპიტალისტურ ელემენტების ზრდის საფუძველზე ამავე დროს ადგილი აქვს ანტი-საბჭოთა ძალების პოლიტიკურ ზრდას. ეს ძალები გამოსავალს ეძებენ.

ეკლესია არის ლეგალური ორგანიზაცია, რომელიც თავის გარშემო კრებს ჩვენდამი მტრულად განწყობილ ძალებს.

მეორე მხრივ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ანტი-რელიგიური პროპაგანდის საგრძნობათ შესუსტება ჩვენს ქვეყანაში. ეს არის შეცდომა ან დაუდევრობა პარტიის მხრივ, განსაკუთრებით კი კომკავშირის მხრივ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში ადგილი ჰქონდა კოლოსალურ აქტივობას ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხში, მაგრამ 1925 წლიდან ინტერესი ამ საკითხისადმი შესამჩნევად შესუსტდა. საჭიროა გამონახულ იქნას რელიგიასთან ბრძოლის ახალი მეთოდები. დაახლოებით 1928 წლის ბოლოდან ანტირელიგიური ბრძოლის სახით ჩვენში აქა-იქ ადგილი ჰქონდა უხეშ გამოსვლებს, რომლებიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ უწყობს ხელს რელიგიის დაძლევას, არამედ პირიქით აძლიერებს რელიგიურ მოძრაობას.

გაუწიეთ რა ანგარიში იმას, რომ ანტირელიგიური ბრძოლა მღვდლებისა და ეკლესიის გამასხარავების ფორმით არა თუ ასუსტებს რელიგიურ გრძნობებს, არამედ კიდევაც აძლიერებს მათ, ჩვენ იძულებული გავხდით წესრიგისაკენ მოგვეწოდებია ამხანაგი კომკავშირელები. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ანტირელიგიური პროპაგანდა სრულებით უნდა მივატოვოთ. ჩვენ ყოველთვის აღვნიშნავდით მისი გაძლიერებისა და გაღრმავების საჭიროებას. კომკავშირმა ამ საკითხში რევოლიუცია უნდა მოახდინოს, მთელი თავისი ენერგიით, მთელი თავისი ახალგაზრდული სიმკვირცხლით უნდა გამოუცხადოს ბრძოლა რელიგიური მოძრაობის განვითარებას. ამასთანავე უნდა აღინიშნოს დაუშვებელი ფაქტი—ჩვენი საბჭოთა ორგანოების „კეთილგანწყობილი“ დამოკიდებულება სხვადასხვა რელიგიურ საზოგადოებათა წარმოშობისადმი. კერძოდ იუსტიციის ორგანოებმა ამ მოვლენას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ და არ დაუშვან „კანონიერ საფუძველზე“ ისეთ საზოგადოებათა მოწყობა, რომლებიც თავისი ბუნებით და შინაარსით მიმართული არიან საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის წინააღმდეგ. ანტირელიგიური პროპაგანდის და ანტირელიგიური მოძრაობის გაძლიერებას ადგილი აქვს არა მარტო საქართველოში, არამედ საერთოდ საბჭოთა კავშირშიაც.

ამაზე ლაპარაკობდა თავის მოხსენებაში ამხ. ბუხარინი. რუსეთში რელიგიურმა პროპაგანდამ ის შედეგი გამოიღო, რომ ივანოვო-ვოზნესენსკის მუშებმა სცადეს რამოდენიმე ათასი მანეთის შეგროვება ეკლესიის ასაგებად. ეს არსებითად სამარცხვინო მოვლენაა ჩვენი პარტიისა და კომკავშირისათვის. აქამდე საქართველოში კიდევ არ მისულა საქმე, თუმცა როდესაც საქართველოზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს უმთავრესად ქართველები, მაშინ, როდესაც მუსლიმანი მოსახლეობა საქართველოში შეადგენს მნიშვნელოვან პროცენტს, ხოლო მუსლიმანებს შორის ჩვენ გვაქვს უარესი ფაქტები, ვიდრე ივანოვო-ვოზნესენსკში.

კომკავშირელების მოვალეობაა, განსაკუთრებით ჩამორჩენილ მაზრებში, ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ამ საკითხს და გააძლიერონ ბრძოლა ასეთ მოვლენებთან.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია მაჰმადიანობასთან ბრძოლა სომხების ან ქართველების პირით, მაგალითად ბორჩალოში. სწორედ თურქი კომკავშირელები და აჭარლები უნდა იჩენდნენ მაქსიმალურ ყურადღებასა და აქტივობას. ამავე დროს ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ამ დარგებში, ჩვენი მუშაობის განსაკუთრებით სუსტ და საძნელო დარგებში ჩვენ ვხედავთ, რომ კომკავშირელები არა თუ აქტივობას არ იჩენენ, არამედ აშკარად შეუგნებლად ექცევიან და ვერ ახერხებენ ამ საკითხებში გარკვევას. ზოგიერთი მაჰმადიანი კომკავშირელები მისდევენ რელიგიას, დაიარებიან მეჩეთში და არ ანებებენ თავის დებსა და ცოლებს ჩადრის მოხსნას. კიდევ მეტი, როდესაც ჩვენ დავსვით საკითხი, რომ პასუხისმგებელი კომუნისტები და კომკავშირლები კარგს იზამენ, თუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მერვე წელში „გაასაბჭოებენ“ თავის საკუთარ ოჯახსაც და ჩადრს მოახსნევინებენ თავის დებსა და ცოლებს, ამის წინააღმდეგ გალაშქრეს კომკავშირელმა-აჭარლებმა.

ეს არის სამარცხვინო, სრულიად დაუშვებელი მოვლენა. ჩვენ, რა თქმა უნდა, იმას არავის ვეუბნებით და არ ვურჩევთ, რომ დაუყოვნებლივ ჩამოგლიჯონ ჩადრი ყველა ქალებს ან დაუყოვნებლივ დახურონ ყველა მეჩეთები. ჩვენ ანგარიშს ვუწევთ ყველა სიძნელეებს ამ საკითხში, მაგრამ უფრო უნდა ავამოძრაოთ კომკავშირელები, უნდა მოვთხოვოთ მათ, რომ არ იარონ მეჩეთში და არ შეასრულონ რელიგიური წესები. ამას უნდა გაიძახოდეთ უწინარეს ყოვლისა თქვენ—კომკავშირელები.

ცალკე მინდა ვილაპარაკო ებრაელების შესახებ. ძლიერ დამახასიათებელია, რომ ქუთაისში, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვან პროცენტს ებრაელები შეადგენენ, ჩვენ გვყავს სულ რაღაც 14 ებრაელი კომკავშირელი. ეს იმას ამტკიცებს, რომ მუშაობა ღარიბ ებრაელებს შორის მეტის მეტად ცუდათ აქვს დაყენებული კომკავშირსაც და პარტიასაც. ებრაელების სიძულვილი მკაფიოთ გამოხატულ ფორმებით საქართველოში არ ყოფილა და არ არის, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჩვენი პარტიის და კომკავშირის წრეებშიაც კი ხშირად აქვს ადგილი მედიდურ დამოკიდებულებას ებრაელებისადმი.

მართალია საქართველოს ებრაელი მოსახლეობა უმთავრესად წვრილბურჟუაზიულია. ებრაელების ძირითად საქმიანობას შეადგენს უბადრუკი ვაჭრობა, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, მეწვრილმანეობა, მაგრამ ებრაელები იძულებული არიან მისდიონ ვაჭრობას საუკუნოებით შექმნილ პირობების გამო და ხშირად მათთვის შეიძლება ულარიბესი გლეხის ბედიც კი სანატრელი იყოს. ქართველ ებრაელთა საქმიანობის ხასიათი სრულებითაც არ გვანთავისუფლებს ჩვენ მათ შორის აქტიურად მუშაობის მოვალეობისაგან, მით უმეტეს, რომ ჩვენებური ებრაელების უდიდესი უმრავლესობა შეადგენს საქართველოს მოსახლეობის ულარიბეს ნაწილს.

კომკავშირელ ებრაელების უმნიშვნელო რიცხვი რამდენიმედ აიხსნება ებრაელ მოსახლეობის ჩამორჩენით, რელიგიით და ფანატიზმით, მაგრამ ამას გარდა დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ მათ შორის მუშაობა კარგად არ იყო დაყენებული. რა თქმა უნდა დაუშვებელია იმისი ფიქრი, რომ მათ შორის მუშაობა უსარგებლოა, მაშინ, როდესაც უკანასკნელ წლებში კომკავშირი რამოდენიმეჯერ გაიზარდა. ხომ მოგეხსენებათ, რომ 1921 წლამდე საქართველოს კომკავშირში ითვლებოდა 400 კაცი, ეხლა კი მისი წევრების რიცხვმა მიაღწია 70.000 კაცამდე და ამავე დროს მთელ საქართველოს ებრაელ მოსახლეობაში იქნება სულ რაღაც ორმოცდაათამდე კომკავშირელი! ჩვენი მოვალეობა, კომკავშირელთა მოვალეობა ის არის, რომ მით უფრო გაძლიერებული მუშაობა ვაწარმოოთ ებრაელ მოსახლეობაში, რამდენადაც უფრო ჩამორჩენილია იგი. მე მგონია ზედმეტი არ იქნება, რეზოლიუციაში, ან მის განსაკუთრებულ თავში, სადაც ჩვენ ლაპარაკი გვექნება ნაციონალურ უმცირესობათა შორის მუშაობის შესახებ, ცალკე აღვნიშნავდით ებრაელ მოსახლეობაში მუშაობის გაძლიერების საჭიროებას.

რას და როგორ სწავლობს კომკავშირი

გადავიდეთ იმ საკითხზე, თუ რას და როგორ სწავლობს კომკავშირი. მე უნდა ვსთქვა, რომ მიუხედავათ ყოველ ღონისძიებისა ვერ მოვახერხე მიმეღო განათლების სახალხო კომისარიატიდან ცოტად თუ ბევრად დაწვრილებითი ციფრები, ამას გარდა არც შეიძლება მაინცა და მაინც დიდათ დავენდოთ ამ ციფრებს, ვინაიდან განათლების სახალხო კომისარიატის მუშაკებმა მშვენივრად იციან, რომ კომკავშირის პლენუმზე მოხსენებენ განათლების სახალხო კომისარიატს. საქმე ამაში როდია, უციფროდაც კი, რამდენადაც ვიცნობთ ჩვენს სკოლას, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ფრონტზე ყველაფერი თავის რიგზე ვერ არის.

ჩვენი შვიდწლედები და ცხრაწლედები სრულებით არ შეეფერებიან თანამედროვე პირობებს და იმ მოთხოვნილებებსა და ამოცანებს, რომლებსაც აყენებს მათ წინაშე პარტია, კომკავშირი, საბჭოთა ხელისუფლება და თვით ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარება.

მე უკვე გელაპარაკეთ მასწავლებლების დაბალი კვალიფიკაციის შესახებ.

ცნობილია ისიც, რომ მასწავლებლების მნიშვნელოვანი ნაწილი კიდევ განიცდის ანტისაბჭოთა გავლენებს.

ამხანაგებო! რა თქმა უნდა, სკოლების კომუნიზაცია უნდა ჩავატაროთ, მაგრამ ამთავითვე უნდა ვიცოდეთ, რომ კულტურული დონე რამოდენიმედ დაიწევს. უნდა ვიცოდეთ, რომ კულტურული დონე დაიწევს, იმიტომ რომ ჩვენ არ გვყავან მომზადებული მასწავლებლები. კომკავშირელი თითონ უნდა შეეცადოს, თითონ უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა იმ საქმისათვის, რომლისთვისაც იბრძვის და ისე მოემზადოს, რომ შეეძლოს ასწავლოს ჩვენს სკოლაში და პასუხი აგოს ამ სკოლისათვის.

ჩვენ ძლიერ ცოტა, მე ვიტყოდი, სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით გვაქვს სპეციალური სასწავლებლები, აგრონომიული, ინდუსტრიალური და სხვ. ტეხნიკუმები. ჩვენს სკოლებში ასწავლიან ყველაფერს, რაც გნებავთ, მხოლოდ იმას კი არა, რაც საჭიროა დღეს ჩვენთვის—ჩვენი სამრეწველო განვითარებისათვის, ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ასეთ სწავლის შედეგად ის გამოდის, რომ ახალგაზრდობამ ცხრაწლედების დამთავრების შემდეგ არ იცის რა ქნას; ვინაიდან შეძენილი აქვს ძლიერ მცირე ცოდნა, და არსებითად მხოლოდ წერა-კითხვა იცის, ჩვენს ახალგაზრდობას არ შეუძლია შეუერთდეს ინტელიგენციას, სოფელში დაბრუნება კი არ სურს. ამის გამო წლიდან წლამდე იქმნება ათასობით ახალგაზრდები, რომლებსაც არავითარი კვალიფიკაცია არა აქვთ. სწორედ ასეთი ახალგაზრდობიდან გროვდება ანტისაბჭოთა ელემენტები. მათი უკმაყოფილება გამოწვეულია საერთო მდგომარეობით და თავის სიძნელეებში მათ საბჭოთა ხელისუფლება მიაჩნიათ დამნაშავედ.

რა უნდა ვაკეთოთ იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ ეს არსებითად ანტისაბჭოთა მოვლენები, ამხანაგებო ამ მდგომარეობიდან ერთადერთ რადიკალურ გამოსავლად მე მიმაჩნია ჩვენი სკოლების რეორგანიზაცია მათი მეტი სპეციალიზაციის მიზნით. ამისათვის ყოველი ღონისძიება უნდა მიიღოს საბჭოთა ხელისუფლებამ და პარტიამ. საჭიროა როგორმე სადმე გამოიძებნოს დამატებითი სახსრები განათლების საქმისათვის მისახმარებლად, ჩვენი სკოლის განახლებისათვის და აი აქ კოლოსალურია კომკავშირის როლი. ჩვენ ამხანაგებო, უკიდურესად ღარიბი ვართ, ჩვენი ბიუჯეტი განსაზღვრულია, ჩვენ გვხვდება მაქსიმალური მომჭირნეობის გაწევა.

მაგრამ კომკავშირი ამ საკითხზე, განათლების საქმისათვის საჭირო ასიგნობათა საკითხზე, გამუდმებით უნდა იბრძოდეს. მე ვიცი, რომ კომკავშირი ხშირად ებრძვის განათლების სახალხო კომისარიატს და საქმიანადაც ებრძვის, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ის ვერ აკეთებს ყველაფერს, რაც საჭიროა მუშებისა და უპარტიოების საზოგადოებრივი აზრის დასარაზმავად. კომკავშირმა ისეთი ატმოსფერა უნდა შექმნას, რომლის დროს სახსრები ამ საქმისთვის აუცილებლად გამოინახება.

თუ ეს ამოცანები არ შევასრულეთ, ჩვენ პირდაპირ თითონვე ვქმნით ჩვენში კონტრ-რევოლიუციას. ამიტომ დასკვნა ასეთია—კომკავშირელებმა თითონ უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ამ საკითხს, უნდა მოახდინონ გავლენა ყოველისა და ყველაზე, სანამ არ მიაღწევენ სკოლის რეორგანიზაციას. ამხ. ბუხარინი თავის მოხსენებაში პირდაპირ ამბობს, რომ თქვენ იმას კი არ უნდა უცადოთ, რომ ფული თავისთავად მოვა, არამედ უნდა აიძულოთ სათანადო ორგანოები გამონახონ ამ საქმისათვის საჭირო ფული.

ჩვენი უმაღლესი სკოლა

გადავიდეთ ეხლა უმაღლესი სკოლის საკითხზე. როგორ სწავლობენ კომკავშირელები.

ამხ. ტოროშელიძემ ცეკას პლენუმზე მოიყვანა ასეთი ფაქტი—უნივერსიტეტის პირველ კურსზე სტუდენტმა (მე არ მიკითხავს, კომკავშირელი იყო თუ არა ის), რომელიც მათემატიკაში აბარებს გამოცდას, არ იცის, თუ რას შეადგენს მანეთის 8 მეათედი. შეკითხვაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს ამის გამოსაანგარიშებლად, სტუდენტი სდუმს. რამდენი იქნება მანეთის ერთი მეათედი? სდუმს. და ასე შემდეგ. ეს მაგალითი სრულებითაც არ წარმოადგენს ერთეულ შემთხვევას.

როდესაც პარტიამ, გაუწია რა ანგარიში საქმის ასეთ არანორმალურ მდგომარეობას, გადაწყვიტა მთელი რიგ ღონისძიებათა ჩატარება, უნივერსიტეტში აყალ-მაყალი ასტეხეს, უწინარეს ყოვლისა კომუნისტებმა და კომკავშირელებმა.

მე მოგიყვანთ ფაქტებს. პირველი—ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ კომკავშირელებმა ისეთივე შინაარსით უნდა ჩააბარონ გამოცდები, რა შინაარსიდაც აბარებენ უპარტიოები, მაგრამ ამასთანავე გავეცით დირექტივა, რომ ზოგიერთი შეღავათი მიეცეს ამ კომკავშირელებს, რომლებიც გამოსული არიან ღარიბ გლეხების და მუშების ოჯახებიდან და არა აქვთ იმისათვის საკმაო სახსარი, რომ მოემზადონ გამოცდებისათვის.

კომუნისტებმა და კომკავშირელებმა გალაშქრეს ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. რა არის ეს? უვიცობის გამართლება? აქაო და რაკი ესა თუ ის ახალგაზრდა კომკავშირელია, შეუძლია არაფერი არ იცოდეს და ისე შევიდეს უნივერსიტეტში.

მეორე ფაქტი—ის სტუდენტი, რომელიც ვერ ჩააბარებს მინიმუმს პირველ კურსზე, მექანიკურად უნდა გამოირიცხოს. კომუნისტებმა და კომკავშირელებმა ასტეხეს ყვირილი, ეს არ შეიძლებაო, რატომ არ შეიძლება? რატომ არ უნდა შეასრულონ კომუნისტებმა და კომკავშირელებმა ყველა ის მოვალეობა, რომელიც მათ აქვთ დაკისრებული. ესეც უვიცობის გამართლებაა, კომუნისტური და კომკავშირული ყოყოჩობა, როდესაც ფიქრობენ, რომ მხოლოდ მიტომ არიან უნივერსიტეტში, რომ კომუნისტები ან კომკავშირელები არიან.

მესამე ფაქტი,—ჩვენ დავადგინეთ, რომ უნივერსიტეტში უნდა ჩატარდეს ხელახალი რეგისტრაცია, რათა სწორად გამოგვერკვია სტუდენტების რიცხვი. ხმები დადიოდა, რომ სტუდენტების რიცხვი აღწევს 5—6 ათასს და 9 ათასსაც კი. ბევრი ამბობდა—უნივერსიტეტში 11 ათასი სტუდენტიაო. ხელახალ რეგისტრაციაში გატარდა 6.125 კაცი, ხოლო არ გატარებულა დაახლოებით 1.500 კაცი.

გამოირკვა, რომ რეგისტრაციაში გაუტარებელთა შორის მნიშვნელოვან პროცენტს შეადგენენ კომუნისტები და კომკავშირელები. ისინი გაკვირვებული არიან, თუ რატომ ეხლა აღარ შეიძლება რეგისტრაციაში გატარება. ეს არის უყურადღებობა სწავლისადმი, სწავლა კი მოვალეობაა, რომელსაც გვაკისრებს პარტია, ისეთივე მოვალეობა, როგორც თბილისის კომიტეტის და ცეკას დავალება.

ყველა ეს ფაქტები დამახასიათებელია და დამაფიქრებელი. ეს ფაქტები ამტკიცებს, რომ კომკავშირი დაუშვებელ დაუდევრობას იჩენს ამ საკითხში რევოლიუცია უნდა მოვახდინოთ. ამ მხრივ უთუოდ გვაქვს მიღწევები.

როდესაც ვადარებთ, თუ როგორ აბარებდნენ გამოცდებს უნივერსიტეტში შარშან და შარშანწინ და როგორ აბარებენ მიმდინარე წელში, ვხედავთ რომ ადგილი აქვს თვალსაჩინო გაუმჯობესებას. თუ გასულ წელში კომკავშირელებისათვის დაწესებული გვქონდა მინიმუმი 28 ბალი, მიმდინარე სამოსწავლო წელში ეს მინიმუმი უკვე 33-მდე ავიყვანეთ და იმედი გვაქვს, რომ მომავალ სასწავლო წელში ეს მინიმუმი კიდევ უფრო იქნება გადიდებული.

(დასასრული იქნება)

საქ. კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი

2 ივლისს სახკომსაბჭოს წითელ დარბაზში შესდგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის მესამე პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგი იყო შემდეგი: 1) მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში, 2) პროლეტარული დემოკრატიის გატარების შესახებ, 3) ორგანიზაციული საკითხები.

პირველ საკითხზედ მოხსენებით გამოვიდა ამხ. მარკაროვი. მეორე საკითხის განხილვა სხვა და სხვა მიზეზების გამო გადაიდო შემდეგ პლენუმისათვის.

ამხ. მარკაროვის მოხსენების გამო რეზოლუციის მიღებისა და ორგანიზაციული საკითხების განხილვის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

სომხეთის კომპარტიის ცკას პლენუმი

ერევანი, 3 ივლისი. ამხ. **კოსტანიანის** მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდა 15 ამხანაგი.

ორატორები მრავალრიცხოვანი ფაქტებით ამტკიცებდნენ, რომ ძველ ხელმძღვანელობას ახასიათებდა უგეგმობა სამეურნეო აღმშენებლობაში და არასწორი გეზი იდეოლოგიური ბრძოლის საკითხებში, რამაც გამოიწვია ბოლშევიკური ლენინური ხაზის გამრუდება და უკლონიზმისა და ნაციონალიზმის რელსებზე დაქანება.

ძველი ხელმძღვანელობის ყოფილმა მომხრეებმა აღიარეს თავისი შეცდომები და გამოვიდნენ პლენუმზე განცხადებებით, რომლებშიაც სრულ თანაგრძნობას უცხადებდნენ ახალ ხელმძღვანელობას.

კამათში გამოსულთა შორის ამხ. **ჰასიანმა** აღნიშნა უველა საკითხების სავსებით სწორი ლენინური დასმა ამხ. კოსტანიანის მოხსენებაში და მიუთითა პლენუმს ძველი ხელმძღვანელობის გეზის მკაცრი კრიტიკის საჭიროებაზე.

შემდეგ გამოვიდა ამხ. **რუბენი**, რომელმაც აღნიშნა, რომ ცკამ მოკლე დროში შესძლო პარტიის გამოყვანა მძიმე მდგომარეობიდან და მუშაობაში წარმართვა ჭეშმარიტ-ბოლშევიკური გზით. ცალკე დეზორგანიზატორების ცდები ჩაშალონ ცკას მუშაობა და გაავრცელონ ინტელიგენტური ჭორები უშედეგოდ დამთავრდება. ეს ცდები უიმედოა, ვინაიდან მთელი სომხეთის კომპარტია შემოკრბა ახალი ხელმძღვანელობის გარშემო, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და ცკას ხაზის გარშემო. ამხ. **კოსტანიანის** მოხსენებაში, დასმულია სომხეთის სოციალისტური აღმშენებლობის უველა უმნიშვნელოვანესი საკითხები. უნდა დავიმახსოვროთ პარტიის საზოგადოებრივი აზრი ამ ნამდვილი ბოლშევიკურად დასმული საკითხების გარშემო.

ძველი ხელმძღვანელობის შეფასება უკვე მოცემულია. ამ ხელმძღვანელობას ჰქონდა გადახრა, რომელიც ჩაშლას უქადდა სწორ პარტიულ ხაზს. მერყევი ელემენტების უმრავლესობამ უკვე აღიარა თავისი შეცდომები და სავსებით უჭერს მხარს ცკას. ამხ. **კოსტანიანის** მოხსენება, რომელიც აგებულია ბოლშევიკური თვითკრიტიკის საფუძველზე, ცკას წევრების დამოკიდებულება ამ მოხსენებისადმი, პლენუმის აქტივობა, მთელი პარტიული მასის აქტივობა,—ყოველივე ეს იძლევა ხმის გარანტიას, რომ სომხეთის კომპარტია ცკას ხელმძღვანელობით შეასრულებს მასზე დაკისრებულ ამოცანებს.

საბოლოო სიტყვაში ამხ. კოსტანიანი ჩერდება ორი ამხანაგის გამოსვლაზე, რომლებიც სცდილობდნენ მიეფუჩეჩებინათ როგორც უგეგმობა სამეურნეო აღმშენებლობაში, ისე ძველი ხელმძღვანელობის შემცდარი ხაზი იდეოლოგიურ ფრონტზე. ამხ. **კოსტანიანი** დეტალურ ანალიზს უკეთებს ამ ამხანაგების სიტყვებს და აღნიშნავს მათი ცდების უნაყოფობას სომხეთის ორგანიზაციაში გაბატონებულ განწყობილებათა თვალსაზრისით.

ამხ. **კოსტანიანი** ამბობს: „თვითკრიტიკის მეთოდით ჩვენ შევუდექით ჩვენი ორგანიზაციის გაწმენდას მთელი იმ ნაგვისა და სიბინძურისაგან, რომელიც აქ დაგროვდა. ამ მეთოდით შევუდექით უველა გადახრის გამოსწორებას. ეს მეთოდი უზრუნველყოფს, რომ ჩვენი ცკა ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას გაუწევს ორგანიზაციას. ძველი ხელმძღვანელობა დიდი ხანია რაც შეაფასა მთელმა ორგანიზაციამ და ის, რაც ჩვენ აქ ვთქვით, მარტო ჩვენი სახელით როდი ვთქვით, არამედ უეჭველად გამოვხატეთ მთელი ჩვენი ორგანიზაციის აზრი, დაწყებული უჯრედების ჯგუფურ კრებებიდან და გათავებული სამაზრო და საქალაქო აქტივებით“.

პლენუმმა ერთხმად (ერთმა შეიკავა თავი) მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც იწონებს ცკას პრეზიდიუმის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს და შემდეგ შეფასებას აძლევს ძველი ხელმძღვანელობის მუშაობას:

„პლენუმი აღნიშნავს, რომ ცკას პრეზიდიუმმა საანგარიშო პერიოდში სწორად დასახა გზები ძველი ხელმძღვანელობის უხეში პოლიტიკური შეცდომების (როგორც იდეოლოგიურ, ისე სამეურნეო აღმშენებლობის ფრონტზე) გამოსასწორებლად, და აღმოფხვრა უკლონიზმის ტენდენციები, რომლებიც ამახინჯებდა და შლიდა სომხეთის კომპარტიის ბოლშევიკურ ხაზს და აუცილებლად ჩაშლიდა მას, რომ ხელმძღვანელობა თავის დროზე არ ყოფილიყო განახლებული“ (ადს).

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობით 1928—29 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერის დროს ადგილობრივი კომისიები იხელმძღვანელებენ შემდეგი დებულებით: მემინდვრეობის შემოსავალზე გადასახადი გამოანგარიშებული იქნება მხოლოდ ფაქტიური დათესილ სივრცის მიხედვით. ცალკე შემთხვევებში ფინანსთა კომისარიატს შეუძლია შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რომ საგადასახადო ობიექტების აღრიცხვის დროს მხედველობაში იქნას მიღებული მეურნის მთელი სანაწ-სათესი მიწები.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი სოფლიდან გარდა აკრეფილი იქნება ისეთ ქალაქებშიაც, როგორიც არის ლიუქსემბურგი, შაუმიანი, დუშეთი, ცხინვალი, გორი, ხაშური, ახალქალაქი, ზესტაფონი, სამტრედია, ონი, ზუგდიდი, ოზურგეთი და სენაკი.

იმ მეურნეობას, რომლებსაც მიწები იჯარით აქვთ აღებული, სასოფლო-სამეურნეო გადასახადში მიეცემათ 20 პროცენტი შეღავათი.

ღარიბი გლეხობა გადასახადისაგან სავსებით განთავისუფლებულია.

გადასახადის გაწერის დროს მხედველობაში არ იქნება მიღებული ჩაის პლანტაციები, თუთის ხის სანერგეები, და შემოსავალი მეაბრეშუმეობიდან. მეურნეობის აღრიცხული დარგები დასაბეგრ ობიექტების სიაში არ იქნება შეტანილი.

გადასახადის გაწერის დროს მოსალოდნელ გაუგებრობათა გამოსასწორებლად თემებში და მაზრებში დაარსებულია საჩივრების განმხილველი კომისიები. შეწერილ გადასახადით უკმაყოფილო პირთ შეუძლიათ მიმართონ ამ კომისიებს, რომლებიც ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ გამოიძიონ და სათანადო პასუხი გასცენ მომჩივანთ.

გადასახადით დაბეგრილებმა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეღავათების მისაღებად უნდა მიმართონ იმავე კომისიებს.

სათემო საგადასახადო კომისიების დადგენილებები შეიძლება გასაჩივრებული იქნეს სამაზრო კომისიებში, უკანასკნელთა განჩინება საბოლოოა.

გადასახადის აკრეფა უნდა მოხდეს შემდეგ ვადებში: აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე უნდა შეგროვდეს გაწერილ თანხის 20 პროცენტი 1 დეკემბრამდე—70 პროცენტი, ხოლო 1929 წლის თებერვლამდე დანარჩენი 10 პროც.

დასავლეთ საქართველოში—1 ოქტომბრამდე უნდა აიკრიფოს 10 პროცენტი, 1929 წლის 1 იანვრამდე—30 პროც. და იმავე წლის 1 თებერვლამდე დანარჩენი 60 პროც.

საბჭ. კავშირის თავდაცვისათვის

იარაღი მშრომელთა პრივილეგიაა

კანონით წითელ არმიაში გაყავთ მხოლოდ მშრომელები. არა მშრომელ ელემენტს არ შეიძლება მიეცეს იარაღი, მას არ შეიძლება მიენდოს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის დაცვა.

ყოველივე ეს საჭიროა განსაკუთრებით მოგვეხსენიოს დღეს, როცა ახლოვდება ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა წითელ ჯარში, როცა უკვე დაწყებულია სამისო მოსამზადებელი მუშაობა.

გასული წლების გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ თუ სათანადო ყურადღება არ მიექცევა წითელ არმიაში გაწვევის საქმეს, შეიძლება მის რიგებში მოხვდნენ მუშურ-გლეხური არმიისათვის უცხო ელემენტები.

სამხედრო სამსახურში გაწვეულის ოჯახი თავისუფლდება სამხედრო გადასახადისაგან და გარდა ამისა ღებულობს მთელ რიგ შეღავათებს. მეორე მხრივ წითელ არმიაში შეიძლება სწავლა და სამოქალაქო უფლებების აღდგენა. კულაკიც ცხადია ეცდება მოხვდეს არმიის რიგებში. ამ მიზნით ვაჭრები გაწვევის წინ ზოგჯერ საცხოვრებელ და სავაჭრო ადგილებსაც კი იცვლიან.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზურგის ლაშქრელთა შერჩევას ადგილობრივ საბჭოთა ორგანიზაციების მიერ.

როგორც ვიცით ზურგის მოლაშქრეთა სიას ადგენს აღმასკომების ადმინისტრატიული განყოფილებები. ეს სიები სდგება საარჩევნო კომისიების ცნობების მიხედვით, რომელშიაც აღნიშნულია საარჩევნო უფლებებს მოკლებული პირები. სიები წარედგინება გაწვევის კომისიებს გაწვევამდის ერთი თვით ადრე.

სიების არა სწორი შედგენა (სახელისა და მამის სახელის ან წლოვანების გამოშვება და სხვა) ,მათი დაგვიანება, აი რა ნაკლი ჰქონდათ ადგილობრივ ორგანიზაციებს წინედ.

საჭიროა ზურგის მოლაშქრეთა შესწავლის საქმეში ეხლავე მივიზიდოთ სოფსაბჭოს ორგანოები, მილიცია, სოფლის კორესპონდენტები, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტები, პროფორგანიზაციები და სხვ. სიები უნდა იყვეს სრული, ზუსტი და დროულად წარედგინოს გაწვევის კომისიებს.

წარსული წლების შეცდომები არ უნდა განმეორდეს. საჭიროა გადაჭრით და სავსებით სწორად გავატაროთ ცხოვრებაში სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონი და ვეცადოთ, რომ არ მოხვდეს არმიაში ისეთი პირები რომელსაც ს. ს. რ. კ. ცაკის კონსტიტუციის და ინსტრუქციის თანახმად წართმეული აქვთ საარჩევნო უფლება.

შ. ჩ.

სამხედრო მუშაობა ზაფხულობით სოფლად

ზაფხულში მეტად ხელსაყრელი პირობებია სოფლად სამხედრო მუშაობის გაღრმავებისათვის. მაგრამ სამეურნეო მუშაობა არ გვაძლევს საშუალებას დიდი დრო დაუთმოთ ამ საქმეს. ამიტომ სამხედრო ორგანიზატორები უნდა ცდილობდნენ შეარჩიონ სამხედრო მუშაობისათვის სამეურნეო მუშაობისაგან თავისუფალი დრო. 1-ლ ყოვლისა ასეთი დრო არის დღესასწაულები და საღამო ჟამი, როცა გლეხობა (განსაკუთრებით ახალგაზრდობა) თავს იყრის ორღობეებში დასასვენებლად და სასაუბროდ.

ზაფხულში უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ტაქტიკურ მეცადინეობას ველად და სროლის ჩატარებას, თუნდაც მცირე ყალიბიან თოფებიდან. რომ ტაქტიკური მეცადინეობა ველად საინტერესო და მიმზიდველი გახდეს ამისთვის მას უნდა მიეცეს შეჯიბრების ხასიათი.

სასარგებლო იქნება, თუ რომ ტაქტიკურ მეცადინეობას მოვაწყობთ ორმხრივად. ორმხრივ ტაქტიკურ მეცადინეობაში უნდა მივიზიდოთ უველა ცვალებადებული წვევამდელები სამკითხველოებთან არსებული სამხედრო სასპორტო და სხვა წრეები, თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედები და სხვ. უველა ამათგან უნდა შესდგეს დროებითი სამხედრო ერთეულები სათადარიგო და ცვალებად უფროსთა შემადგენლობის მეთაურობით.

ზაფხულობით დიდ სარგებლობას მოგვიტანს მოძრავ ტირის გამოფენების მოწყობა. ამ ტირების გარშემო შეიძლება მუშაობის ფართოდ გაშლა, როგორც მაგალითად: საუბრების და სასროლო შეჯიბრებების ჩატარება. დიაპოზიტივების ჩვენება სპორტული თამაშობანი სამხედრო ტაქტიკური შეჯიბრებები, მასიური სამხედრო ლიტერატურის გავრცელება და სხვ.

საღამოობით, როცა გლეხობა თავს იყრის აქა-იქ დასასვენებლად, შეიძლება ჩატარებულ იქნას მოთხრობა-საუბრები და მოგონებები სამოქალაქო ომისა და წითელი არმიის წარსულის შესახებ.

უქმე დღეებში შესაძლებელია სპორტული თამაშობისა და სამხედრო შეჯიბრების გამართვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ უკანასკნელს; შეჯიბრება შეიძლება მოვაწყოთ მანძილის განსაზღვრაში, სანგარების გაკეთებაში, შენიღბვებში და სხვა.

მოსახლეობის უფრო მეტად დაინტერესების მიზნით შეჯიბრებას ყოველგვარ სახეობაში (განსაკუთრებით სასროლო შეჯიბრში) ჩატარებულ უნდა იქნეს კონკურსის სოფლის პირველობაზე. სასურველია კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოვება.

სამხედრო მუშაობის წარმატებით ჩატარება შეიძლება სამხედრო ბანაკების მახლობლად მდებარე სოფლებში და [illegible]ზე, სადაც სწარმოებს წითელი არმიის ნაწილების მანევრები და ტაქტიკური მეცადინეობანი ამ შემთხვევაში დიდად სასარგებლოა მშრომელ გლეხობის ექსკურსიების მოწყობა ბანაკებში, სადაც გლეხები გაეცნობიან წითელი არმიის სწავლასა და სამხედრო ტეხნიკას; მოსახლეობის ორგანიზაციულად დარაზმულ ჯგუფების (სამხედრო წრეები, თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედები, კომკავშირი) მონაწილეობა წითელ არმიელთა სანიმუშო ტაქტიკურ სწავლაში; ბანაკის სასროლო ტირის გამოყენება; სამხედრო ლიტერატურის მიწოდება და სხვა.

სამხედრო პროპაგანდის მიზნით ზაფხულში შეიძლება ფართოდ გამოყენებულ იქნას სოფლის სამკითხველოების მხატვრული მუშაობა (წითელი არმიის 10 წლის თავისათვის გამოცემული მხატვრული მასალები და სხვა).

ბ. ს.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში

სამოდელო შეჯიბრება

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ავიატექნიკური სექცია 8 ივლისს ქ. თბილისში მოაწყობს სამოდელოს მშენებელთა შეჯიბრებას, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას მაზრების წარმომადგენლები.

თავდაცვა-ავიაქიმის ჟურნალი

თავდაცვის კვირეულისათვის საქ. თავდაცვა ავიაქიმის საზოგადოება უშვებს ერთ დროულ რუსულ-ქართულ ჟურნალს, რომელშიაც გაშუქებულ იქნება თავდაცვის კვირეულის მნიშვნელობა, გასამხედროების საკითხები და თავდაცვა-ავიაქიმის მიღწევები.

ქიმიური ახრჩოლება

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის მიერ თავდაცვის კვირეულის განმავლობაში თბილისში მოეწყობა ქიმიური ახრჩოლება, რომელშიაც გატარებულ იქნება 1.200 კაცი.

სამხედრო ქრონიკა

ყოფ. პარტიზანთა შვილების აღზრდა

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსა და ცენტრალური აღმასკომის დადგენილებით, ყოფილი პარტიზანები, წითელგვარდიელები და აგრეთვე მათი შვილები სრულიად განთავისუფლებული არიან სამოსწავლო გადასახადისაგან უმაღლეს სკოლებში. გარდა ამისა მათ ენიჭებათ უპირატესობა უველა სხვა კატეგორიის მოსწავლეებთან შედარებით სახელმწიფო სტიპენდიების მიღებაში.

ვინ თავისუფლდება წვევამდე მზადებისაგან

სსრკ სამხედრო და საზღვაო კომისარიატის განმარტებით, რელიგიური შეხედულებების გამო, სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებული პირები და აგრეთვე ზურგის ლაშქრობაში გადარიცხულნი—თავისუფლდებიან წვევამდე მზადებისაგან.

იტალიის სამხედრო საჰაერო ფლოტი

იტალიის საჰაერო მინისტრის თანაშემწე ბალბომ განაცხადა, რომ იტალიას ამჟამად ჰყავს 2.800 თვითმფრინავი; ამათგან 1.000 აპარატს ომის დაწყების შემთხვევაში შეუძლია დაუყოვნებლივ გავიდეს სამოქმედოდ.

იტალიის სამხედრო საჰაერო ფლოტის ბიუჯეტი 1927-28 წ. უდრის 700.000.000 ლირას.

ახალი ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავი

ინგლისის საჰაერო სამინისტროს მფრინავები ამჟამად აწარმოებენ ახალ ტიპის გამანადგურებელ თვითმფრინავ—„უესტბური“-ს გამოცდას. თვითმფრინავი შეიარაღებულია ორი ტყვიამფრქვევებით, არამედ, ორი პატარა ზარბაზნით, რომლებიც ისვრიან ამფეთქებელ ყუმბარებს.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

დახმარება ცეცხლისაგან დაზარალებულთ

ქუთაისი, 1 ივლისი. სამუშაოზე გაგზავნილ ცეცხლისაგან დაზარალებულთა რიცხვი თანდათან იზრდება. ამჟამად 30 ქალი მუშაობს ქუთაისის საგრენაჟო სადგურზე, 152 კაცი—დამწვარი სახლების გაწმენდაზე.

ამ უკანასკნელ დღეებში შემოწირულება შემოვიდა: სოფ. ჯიქითის (სიღნაღის მაზრა) კომუჯრედისაგან—35 მან., ქუთაისის ხე-ტყის სახერხი ქარხნიდან—104 მან., ქუთაისის 1 რაიონის რკინის გზის დამცველ რაზმისაგან 768 მან., ქუთაისის გლეხკომებისაგან—165 მან., საქ. კომუნალური ბანკის ქუთაისის განყოფილებისაგან—1.000 მან. (ადს).

პარკის მოსავალი

ახალ-სენაკი, 1 ივლისი. მთელ მაზრაში დაიწყო პარკის მოგროვება.

წელს, მიუხედავად არახელსაყრელ ამინდისა, მოსავალი საშუალოზე მეტი იქნება. მოელიან 25.000 ფუთ პარკის შეგროვებას.

სულ მიმდინარე წელში გლეხებს დაურიგდა 15.132 კოლოფი თესლი. (ადს).

წითელი აგრონომების გამოშვება

თელავი, 1 ივლისი. კახეთის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმმა (სოფ. ბაკურციხეში) წელს პირველად გამოუშვა საშუალო კვალიფიკაციის 13 აგრონომი, აგრონომები გამოცდილების მისაღებად გაიგზავნენ საბჭოთა მეურნეობებში და აგროპუნქტებში (ადს).

მოსავლის აკრეფა

თელავი, 1 ივლისი. დაიწყო მოსავლის აკრეფა. შემჩნეულია სამკალი მანქანების ნაკლებობა. (ადს).

წერილები

საქმის გაჭიანურება
(წერილი სენაკიდან)

ჩვენს მაზრაში დაზღვეულთა რაოდენობა მათი ოჯახის წევრებთან ერთად რამოდენიმე ათასს აღემატება. ცხადია მათი დასაზღვევად დიდძალი თანხები იხარჯება. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ მუშა - მოსამსახურეს დაზღვეული ყავს ისეთი ოჯახის წევრებიც, რომელთაც არსებულ კანონების თანახმად დაზღვევა არ ეკუთვნით. ასეთები ჯერ საბოლოოდ გაცხრილული არ არიან.

ეს გარემოება ერთის მხრივ აიხსნება ჩვენი სადაზღვევო ორგანოების სუსტი მუშაობით, და მეორე მხრივ კი ამაში ბრალი მიუძღვით ხელისუფლების თემის ორგანოებს, რომლენიც მოწმობებს ისე აძლევენ მუშა-მოსამსახურეებს ოჯახის წევრთა შემადგენლობის შესახებ, რომ არავითარ ანგარიშს არ უწევენ არსებულ კანონებს.

ამ მხრივ სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილების სავალდებულო ცირკულიარი № 1581, საგულისხმო და მიზანშეწონილია. ამ ცირკულიარის თანახმად ექიმები მოვალენი არიან აუცილებლად გაუსინჯონ წიგნაკები მათთან გასასინჯავად მისულ დაზღვეულებს და ისე გამოუწერონ წამლები. ეს ზომა მისაღები და მოსაწონია. ჩვენმა ექიმებმა ეს წესი სასტიკად უნდა დაიცვან.

მაგრამ ამ ცირკულიარის მესამე მუხლი კი საქმეს აჭიანურებს და აუცილებლად მუშა მოსამსახურეებში ქმნის უკმაყოფილებას, რას ლაპარაკობს ეს მუხლი?

ცირკულიარით აფთიაქების გამგეებს დავალებული აქვთ გაუსინჯონ წიგნაკები რეცეპტით ხელში წამლის გამოსატანად მისულ დაზღვეულებს და მხოლოდ ამის შემდეგ გასცენ წამალი.

მართალია, კარგია ორმაგი პასუხისმგებლობა, მაგრამ აშკარად უნდა ითქვას, რომ ასეთი დავალდებულება აფთიაქის გამგებისა, გამოიწვევს მხოლოდ წამლის დამზადების გაჭიანურებას.

რაშია საქმე? თუ ექიმს დავალებული აქვს გაუსინჯოს დაზღვეულს წიგნაკი და შემდეგ გამოუწეროს წამალი, რა საჭიროა, რომ ერთხელ გასინჯული წიგნაკი და გამოწერილი რეცეპტი, აფთიაქის გამგეებმა ხელმეორედ გასინჯონ. მთავარი პასუხისმგებელი წამლების კანონიერად გამოწერაში უნდა იყოს ექიმი. ექიმის მიერ რეცეპტის გამოწერის შემდეგ ამ მიღებას არავითარი კონტროლი და არავითარი დაბრკოლება არ უნდა ჰქონდეს. თუ შემჩნეული იქნება, რომ ექიმები ამ წესს არ იცავენ და წამლებს არადაზღვეულებსაც უწერენ დაზღვეულის სახით — ასეთი ექიმების წინააღმდეგ ჯანმრთელობის განყოფილებას მართებს მიიღოს სათანადო ზომები. თორემ ექიმების მიერ რეცეპტის გამოწერის შემდეგ თუ თითეულმა დაზღვეულმა წიგნაკები ათრია აფთიაქებში და იქაც სინჯვა დაიწყეს, წამლების გაცემის საქმეს გააჭიანურებს. და რაც მთავარია შექმნის დიდ უკმაყოფილებასაც.

საჭიროა ამ მუხლის სრულიად მოხსნა და პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმის მხოლოდ ექიმებზე გადატანა.

მეგობარი.

ყურადღება გასამხედროების საქმეს
(წერილი ბორჩალოდან)

კლუბებთან და სამკითხველოებთან ჩამოყალიბებული სამხედრო კუთხეები გადამწყვეტ როლს თამაშობენ მოსახლეობის გასამხედროების საქმეში.

სოფლებში, სადაც კლუბები არ არსებობს, სამკითხველო ერთ და იმავე დროს კლუბის მაგივრობასაც ასრულებს. აქ იყრის თავს გლეხური ახალგაზრდობა, აქ სწარმოებს ხმამაღლა კითხვა, იურიდიული რჩევა-დარიგების მიცემა.

სამკითხველოსთან ეწყობა სხვადასხვა წრეები, ტარდება მოხსენებები, სწარმოებს ჟურნალ - გაზეთებზე ხელისმოწერის მიღება და სხვ.

ჩვენი მაზრის უველა თემებში თითქმის ორ-ორი სამკითხველო არსებობს. ჰყავთ მათ ჯამაგირიანი გამგეები და მოეპოვებათ საკმაო კულტურული ძალები. მიუხედავად ამისა მოსახლეობის გასამხედროების საქმე სამკითხველოებში ჯერ კიდევ ვერ არის კარგად დაყენებული. ამას ნათლად მოწმობს შემდეგი ფაქტები: არც ერთ სამკითხველოსთან არ არსებობს სამხედრო და სამსროლო წრეები.

არ მოდის არც ერთი სამხედრო ხასიათის ჟურნალ - გაზეთი. სამკითხველოების გამგეებს ერთხელაც აზრად არ მოსვლიათ სამხედრო ჟურნალ - გაზეთების გამოწერა ან გავრცელება. მათ სამხედრო მუშაობაში მოსახლეობის სულ უმნიშვნელო პროცენტის ჩაბმაც კი ვერ შესძლეს.

ადგილობრივი გლეხობა დაინტერესებულია სამხედრო საქმის შესწავლით.

გლეხს სურს იცოდეს იარაღის ხმარება, რომ საჭირო დროს ჩადგეს წითელ არმიის რიგებში. მაგრამ ბორჩალოს მაზრაში ამ მისწრაფებას არ უწევს ანგარიშს არც აქ მდგომი მეექვსე ლეგიონის № ასეული.

კლუბების, სკოლების, სამკითხველოების და ჯარის ნაწილების ხელმძღვანელებო საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორება.

ჭანელი.

ვაჭარმა აგვიკლო
(ს. ზაგები, თბილისის მაზრა)

ს. ზაგებში ვაჭრობს ადგილობრივი მცხოვრები შაკულიანცი. მას მხოლოდ თამბაქოს გაყიდვის უფლება აქვს, მაგრამ წყალნარევ ღვინით ვაჭრობას უფრო ეტანება. შაკულიანცს მთელი სოფელი მობეზრებული და აკლებული ჰყავს თავისი გინებით და უშვერი საქციელით.

ხელისუფლების გინება ეს ხომ ჩვეულებრივი სალაპარაკო მასალაა მისთვის. სკოლა მისი პროპაგანდით გარყვნილების დაწესებულებაა, ახალგაზრდა გლეხები, რომლებიც მცირე მცოდნეთა სალიკვიდაციო სკოლაში დადიოდენ მისმა დაცინვამ იმდენად შეაწუხა, რომ ბევრმა სკოლასაც დაანება თავი. კომკავშირელი ხომ სასაცილოდ არ ყოფნის.— გლეხებში მუდამ გაიძახის: „იმიტომ წახდა ქვეყანა, იმიტომ აღარ არის მოსავალი, რომ ახალგაზრდები გაირყვნენ, რაც ესენი კომკავშირში ჩაეწერენ. სკოლაში სიარული დაიწყეს და გაზეთები გამოიწერეს, მას შემდეგ უველაფერი უკუღმა წავიდა“.

ამას წინად ერთი ახალგაზრდა დუქნის წინ შეკრებილ გლეხებს გაზეთ „ახალ სოფელს“ უკითხავდა. ვაჭარმა მას გაზეთი ხელიდან გამოგლიჯა: — რად გინდათ თქვენ გაზეთი, აქ აბა რა პატიოსან ამბავს კითხულობთ.

გლეხი სამეურნეო სესხის ობლიგაციას ყიდულობდა. ვაჭარმა დაუყვირა: — ჯერ ჩემი ნისია გამისწორე და შემდეგ ობლიგაციებში და ეშმაკობაში გადაყარე ფული. გლეხმა ობლიგაცია მაინც იყიდა. შაკულიანმა კი ხელის კვრით დუქნიდან შეაგდო და უთხრა— დაიცადე ჩემი ნისია აქ, თორემ ობლიგაციას სისხლად გადენო.

კიდევ ვინ მოსთვლის რამდენ სისაძაგლეს ჩადის ეს ვაჭრუკა...

გლეხებმა განცხადება შეიტანეს შაკულიანის შესახებ მილიციაში, მაგრამ შედეგი ჯერ ჯერობით არა სჩანს.

პროკრუსტი.

ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებელი ფონდი

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დებულება მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელი ფონდის შესახებ.

დებულების თანახმად, მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელი ფონდი არსდება სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო ტრესტების და სხვა სახელმწიფო წარმოებების, შერეულ სააქციო საზოგადოებათა, საკავშირო სახელმწიფო ბანკის, სრულიად რუსეთის და უკრაინის კოოპერატიული ბანკების, უველა სახის სამომხმარებლო ორგანიზაციების (სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებათა გამოკლებით) და იმ საზოგადოებათა წმინდა მოგების უოველ წლიური ანარიცხებიდან, რომლებშიც კოოპერატიული კაპიტალი სჭარბობს. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ტრესტი თავისი ხასიათის მიხედვით დეფიციტიანია, ყოფა- ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში გადასარიცხავი თანხა განსაზღვრულ უნდა იქნეს კოლექტიურ ხელშეკრულებაში (ამ შემთხვევაში, საჭირო თანხების გადადება გათვალისწინებული უნდა იქნეს ტრესტის საწარმოო ფინანსიური გეგმით).

რაოდენობა ანარიცხებისა წმინდა მოგებიდან წარმოებებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, საკავშირო სახელმწიფო ბანკისა და სახელმწიფო დაზღვევის საკავშირო სამმართველოს გამოკლებით, დაწესებულია 10 პროცენტის ფარგლებში. სახელმწიფო ბანკი ფონდში გადარიცხავს 5 პროცენტს თავისი წმინდა მოგებისას უველა ოპერაციებიდან, სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო კი 5 პროცენტს—გარდა ოპერაციებისა საგანაკვეთო დაზღვევის დარგში. ფონდი დანიშნულია მხოლოდ და მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ და ყოფა-ცხოვრებრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად (მათ რიცხვში საბინაო მშენებლობისათვისაც).

საბინაო მშენებლობისათვის სამეურნეო ანგარიშზე მყოფ თითეული სახელმწიფო-სამრეწველო და სატრანსპორტო დაწესებულებას და აგრეთვე იმ სააქციო საზოგადოებათა ფონდიდან, რომლებიც სამრეწველო და სატრანსპორტო წარმოებათა ექსპლოატაციას ეწევიან, უნდა გამოიყოს არა ნაკლებ 75 პროცენტისა. ამ თანხებით იქმნება ამა თუ იმ წარმოების მუშათა საბინაო მშენებლობის ფონდი. დანარჩენმა წარმოებებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა კი ამ მიზნისათვის უნდა გადარიცხონ ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელი ფონდის არა ნაკლებ 85 პროცენტისა. ეს თანხები გადადის ცენტრალური კომუნალური ბანკის, ან რესპუბლიკანური ან ადგილობრივ მუშათა საბინაო მშენებლობის ფონდში.

ფონდის დანარჩენი ნაწილი უნდა მოხმარდეს მუშა-მოსამსახურეთა სხვა კულტურულ და ყოფა-ცხოვრებრივ საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

გავლით ქუთაისის მაზრაში

თუ წილად არ გხვდომიათ ბაღდადის „ლინეიკით“ მოგზაურობა, ნურც ინატრებთ: 25 ვერსს გაივლით, მაგრამ ოცდახუთჯერ დაიწყევლით ბედის-წერას.

მერე, ერთ დროს რა მშვენიერი გზა-ტკეცილი იყო.

როგორც გადმოგცეს, გზატკეცილთა სამმართველოს ზეკარზე აბასთუმანისაკენ გაჰყავს საავტომობილო გზა.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ უკვე გაკეთებული გზა, რომ ძალზე დაზიანებულია, ამას რატომ არავინ აქცევს ყურადღებას?

ბაღდადი უმდიდრესი კუთხეა და შეიძლება ითქვას, ულამაზესიც. ბუნებას იგი ამ მხრივ დიდათ დაუჯილდოებია, მაგრამ გზატკეცილთა სამმართველო, რატომ არ მიხედავს მას?

მითხრეს:—ნავარაუდევი იყო კუბიკურ საჟენ დატეხილ ქვაზე გზისათვის 30 მანეთი. 50 მანეთ ნაკლებ არ შეიძლება გაკეთება, სამმართველოც ენიანობს და ამიტომაა გზა უყურადღებოთ.

რამდენად მართალია ყოველივე ეს—მე არ შემიმოწმებია, ხოლო ბაღდადის გზატკეცილის უვარგისობა შემოწმებულიცაა და გაგებულიც, მაგრამ ეს გზატკეცილი მაინც საცალალო მდგომარეობაშია.

მართლაც დიდი გმირობაა „ზაკავტოპრომტორგის“ თანამშრომლებისა, რომ ასეთ გზაზე ავტოს სამ რეისს აკეთებინებენ დღეში.

უგზოობას ზედ ერთვის უხიდობა მდ. ყვირილაზე. არის ბორანი, მაგრამ საზღაპრო, რომლის შესახებ თავისუფლად შეიძლება თქმა: — იყო და არა იყო რა!..

და სწორედ ამ საზღაპრო ბორანმა კინაღამ იმსხვერპლა ამას წინად მგზავრები. რამოდენიმე კაცის სიმძიმე ვერ აიტანა და წყალში ჩაჰყვინთა. აქ უხიდობა და, უკანასკნელ შემთხვევამდე, უბორნობაც დიდად სტანჯავს და აწუხებს გლეხობას:

— ხშირად დღე და ღამის განმავლობაში უხდება გლეხებს დატვირთული ურმით რიგში მოცდა.

ქარიან ამინდში და წყალდიდობის დროს ხომ მთლად ისპობა ქუთაისის კავშირი ასეთ მნიშვნელოვან რაიონთან.

რა იქნებოდა, რომ ორი ვარგებული ნავი მაინც გაეწყოთ?

აქაური გლეხობა მევენახეობით სულდგმულობს, მთელი რაიონი ვენახის ბაღებითაა დაფარული, წლიურად რამოდენიმე ასი ათასი ფუთი ყურძენი და ღვინო გადის, აქვე, ამ გზის პირადაა დიდებული მამული ვარციხე და აფხანაური, და ასეთი რაიონი მოკლებულია წესიერ კავშირს და მიმოსვლას სამაზრო ცენტრთან, რკინისგზასთან. გლეხობა არავითარ მსხვერპლსა და შრომას არ დაერიდება, საჭიროა მხოლოდ ხელმძღვანელობა.

ერთ-ერთ სიმდიდრეს ამ კუთხისას კიდევ ტყეები შეადგენს. მაგრამ ტყე დაუმუშავებელი რჩება. ასწლოვანი ხეები ბანტასავით ცვივა წაბლარის ხეების აგარაკში, მიმხედავი არავინ ჰყავს. იყო აქ უზარმაზარი სახერხი და საკასრე ტყეების დამამზადებელი ქარხანა. ისიც დაშალეს და ნაწილ-ნაწილად მოიტანეს სხვა რაიონში. აქ ვერ აიტანეს, ვერ იმუშავეს.

რატომ?

ტყე კარგია, მაგრამ გზა არაა.

აქ განთქმული იყო ყოფილ მემამულე ანანოვის ტყე-მეხნარი, მაგრამ მენშევიკების დროს გლახა დალაქიძით კრიჭეს და დაღეჭნეს, ეს ნაკლი გამოსწორდა ჩვენს დროს, მაგრამ ეხლა ხელახლა ვიღაცას მოუნდომებია „დალაქობა“, ტყე საკმაო სივრცეზე გამოუღიჭვნიათ და ზედ ტყისპირას ასახლებენ გლეხებს.

ამ ადგილს „საიმედოს“ ეძახიან. ჩვენ არ ვიცით იგი ვისთვის რამდენად საიმედოა, ხოლო რომ საქმე უიმედო და საზარალოა, ამას უველა შეატყობს და დარწმუნდება.

ჩვენ განგებ შევჩერდით ზოგიერთ ნაკლზე, რომელიც ამ ბუნებით უხვად დაჯილდოვებულ კუთხეს ავიწროვებს. მაგრამ არის დიდი მიღწევებიც. აი, მაგალითად, მშვენიერი შენობა აუგიათ ბაღდადში საავადმყოფოსათვის იგი სიამაყეა ამ კუთხის, მაგრამ.. საავადმყოფოსათვის აგებული შენობა ამბულატორიული მკურნალობისათვის მოუნდომებიათ, არც ერთი საწოლი ავადმყოფთათვის.

ეს კი დიდი ნაკლი თუნდაც იმიტომ, რომ უგზოობა და უხიდობა ზედმეტად აძნელებს ჯანსაღებისათვისაც კი ქალაქთან კავშირს და, მაშასადამე, ის ავადმყოფი რაღას იზამს, რომელსაც საავადმყოფოში წოლა და ოპერაცია სჭირდება?

ხუთი-ექვსი საწოლი რა დიდ ხარჯებს გამოიწვევდა? ბოლოს და ბოლოს თუ სულ არა, ნაწილს მაინც ამ ხარჯებისას თვით მწოლიარენი გაიანაღდებდენ და, მაშასადამე, რატომ უნდა გაძნელებულიყო ასეთი პატარა, მაგრამ დიდათ საჭირო საქმის მოგვარება და მოწყობა?

არ გეგონოსთ, რომ ამ კუთხეში უველაფერი მოსაწესრიგებელი იყოს, პირიქით, ბევრი რამ მოწესრიგებულიცაა და გაკეთებულიც. პირველ ყოვლისა მევენახეობა.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ამ დარგს განსაკუთრებული ზრდა დაეტყო და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, გლეხის მიერ მოწეული ჭირნახული ჩარჩების ბრჭყალებიდან გამოგლეჯილია.

მთელი ეს კუთხე ცხრამეათედით მევენახეობით ცხოვრობს. დღემდე ბაზრის ბატონ-პატრონი კერძო ვაჭრები იყვნენ. დღეს კი კოოპერაცია და სხვა სახელმწიფო ორგანოები ამ საქმეში ჩაბმული და ამიტომაა, რომ ყურძენსა და ღვინოს რიგიანი ფასი დაედება და გლეხობაც ეკონომიურად წელში გაიმართა. ამ მხრივ დიდ დახმარებას უწევს მათ სახელმწიფო მამული: ვარციხის, აფხანაურისა და დიმის. აქ რამოდენიმე წლის წინად დაარსდა მევენახეთა კოოპერატიული ამხანაგობა, რომელიც ფასების მოკარნახედ გამოდის და სწორედ ამის მიზეზი იყო, რომ წარსულ წელს გლეხებს ფუთი ყურძენი 3 მან. და 50 საპეიკზე ნაკლებ არ გაუყიდიათ, რადგან მას კერძო ვაჭართან სალაყბო აღარაფერი ჰქონდა და ამ ფასათ თვით სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები იბარებდენ ყურძენს. იგივე კოოპერატიული ამხანაგობა იძენს ღვინოსაც, ამუშავებს კიდევაც მას საამისოდ აგებულ მშვენიერ სარდაფში, ზრუნავს იმაზედ, რომ მევენახენი დროით იქნენ უზრუნველყოფილი შაბიამანითა და გოგირდით და სხვა.

უველაფერი ეს დიდ დახმარებას უწევს გლეხობას. გარდა ამისა სულ ახლად აგებულია ბაღდადში მშვენიერი სახალხო სახლი, რომელიც 30 ათასი მანეთი დამჯდარა. ასეთ შენობას ბევრი ჩვენებური ქალაქიც ინატრებდა.

ახლო ხანშივე გაყვანილია არხი, აგებულია პატარა ჰიდრო-ელექტრო-სადგური, გაყვანილია სასოფლო გზები, აგებულია ახალი ხიდები და მათ შორის ძალიან კარგი ხიდი ხანის წყალზე სოფელ როკითში და სხვ.

ბ. რიონიძე.

აუცილებელი განმარტება

(ამხ. დ. დემეტრაძის წერილის გამო*)

ჩემი წიგნის „თეატრისა და კინოს პრობლემების“-ს შესავალში აღვნიშნავდი:

„ჩემი მიზანი მიღწეულ იქნება თუ თეატრისა და კინოს სპეციალისტები„ გამოიხმაურებიან აღძრულ პრობლემებს და აზრთა გაზიარებით შექმნიან საფუძვლებს თეატრისა და კინო თეორიისა და ესტეტიკის დამუშავებისათვის“.

ჯერ ჯერობით, თეატრისა და კინოს სპეციალისტთა შორის, აღმოჩნდა მხოლოდ ერთი კაცი, ამხ. დ. დემეტრაძე. მან ხმა აიმაღლა, რომ ამაღლობელს „მკითხველი შეცდომაში შეჰყავს, ამხ. ამაღლობელის შეხედულებები მიღმის პარტიის შეხედულებებითო“. ამაღლობელი პარტიის მსოფლმხედველობას ამახინჯებს, ოპორტუნისტულ - უტოპისტურ აზრებს ავრცელებსო.

კომუნისტის უპირველესი მოვალეობაა პარტიის სადარაჯოზე დგომა. ამიტომ ამხ. დ. დემეტრაძესი ლიტერატურულ გამოსვლებს ამ საპატიო ადგილზე უეჭველად უნდა მივესალმოთ. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მხოლოდ, რომ ლიტერატურული გამოსვლას პარტიის სადარაჯოზე ორი გარემოება სჭირდება: 1. **ლიტერატურული ეთიკა** და 2. **პარტიის მსოფლმხედველობის ცოდნა**. ამ გარემოებათა გარეშე საპატიო სადარაჯოზე შეიძლება კაცი უსახელოთ დაეცეს ღირსეულ ადგილზე, უღირსად დამარცხდეს.

ჩემი წერილის მიზანი არ არის ამხ. დ. დემეტრაძესთან კამათი. **მე მხოლოდ მინდა აღვადგინო ჩემი ნაშრომის აზრი, რადგან ის პარტიის შეხედულებებთან შეუთავსებლად მიიჩნიეს.**

მივმართოთ ფაქტებს: ამხ. დ. დემეტრაძე სწერს:

„ამხ. ამაღლობელის შეხედულებების თანახმად, **მორალური კონცეპციები მოწყვეტილია მის ეკონომიურ ბაზისაგან და ისტორიის მიღმა რჩება.** ამგვარად, მორალის ბუნების ასეთ გაგებას არავითარი კავშირი არა აქვს მარქსისტულ მსოფმხედველობასთან“. (ხაზი ჩემია, ს. ა.)

წიგნში მე კრიტიკულად ვარჩევ იდეალისტურ ფილოსოფიის მორალურ პრინციპებს, კერძოდ პროფ. ვალდებანდის მორალის ფორმალურ პრინციპს და ვწერ:

„მარქსისტული სოციოლოგია იძლევა მორალის პრობლემის სწორ გადაჭრას. მორალის ნორმები, როგორც **იდეოლოგიური ზედნაშენის** ესა თუ ის ფორმა, გულისხმობს საზოგადოებრივი ურთიერთობის განსაზღვრულ სახეს **წარმოებასა და განაწილებაში კლასების მონაწილეობის ნიადაგზე.** (წარმოება და განაწილება მგონი ეკონომიკისაგან შორს არ სდგანან. ს. ა.) ბიოლოგიაში თუ გრძნობა განიხილება, როგორც ორგანიზმის იარაღი მიუახლოვდეს სასარგებლოსა და დაშორდეს საზარალო მოვლენებს,**სოციოლოგიაში მორალი განხილულ უნდა იქნეს, როგორც კლასის იარაღი სასარგებლოსა და საზარალოს გარჩევისათვის**“. (იხ. წიგნის მე-19-ე გვ. ხაზი ახალია. ს. ა.).

მე ვარკვევ ორგანიულ და კრიტიკულ ეპოქათა კონტექსტში მორალის კლასობრივ ბუნებას და აღვნიშნავ, რომ აქ „**აშკარავდება — მორალის კლასობრივ - უტილიტარისტული ხასიათი**“ და ვწერ:

„**კლასის სარგებლიანობა**, როგორც მორალის მატერიალური და არა ფორმალური პრინციპი, ცხადია არ უნდა იქნეს გაგებული უხეშად. პიროვნების მორალური საზომი შეიძლება სრულიად არ იღებდეს მხედველობაში კლასის ინტერესს, შეიძლება ის გატაცებული იყოს განყენებული იდეებით, მაგრამ **თვით ეპოქის საერთო ხასიათი, ადამიანთა საერთო სულისკვეთება, თვით მისი იდეები აღმოცენებულია მოცემული ეპოქის ეკონ.-პოლიტიკურ საფუძველზე**, რომელიც განსაზღვრავს მოცემული ეპოქის იდეოლოგიურ ფორმებს, **მათ შორის მორალის ბუნებასაც**“ (იხ. მე-20-ე გვ. ხაზი ახალია. ს. ა.).

მე ვწერ „**ეკონომიკა**“ კი სხვა სოციალ - ფაქტორთა ურთიერთობაში, აყალიბებს საზოგადოებრივ მორალს, როგორც მოცემული ეპოქის საშუალო ზნეობრივ - უფლებრივი გრძნობების კონტექსტს. **ეკონომიკა ისეთივე ძირია სოციალ - მოვლენების, იდეოლოგიის ფორმების, როგორც ხის ფესვები ხის ღეროს, ტოტების, ფოთლების, უვავილებისა**“. — (იხ. მე-24-ე გვ. ხაზი ახალია. ს. ა.)

ყოველივე ამის შემდეგ ვფიქრობ ამხ. დ. დემეტრაძის განცხადება ჩემს მიერ „მორალური კონცეპციების მოწყვეტის“ შესახებ „ეკონომიური ბაზისიდან“, „მოწყვეტილია“ ყოველ საფუძვლებს.

გავყვეთ ფაქტებს, ამხ. დ. დემეტრაძე აღნიშნავს, რომ ჩემი წიგნიდან გამოდის შემდეგი დასკვნა:

„მორალური კანონი არ შემუშავებულა ისტორიული განვითარების პროცესში, არამედ იგი წინ უსწრებდა მას, (?) როგორც იმთავითვე მოცემული. (?) კიდევ მეტი, ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია სცვლიდა მეორეს და ამასთან დაკავშირებით ხდებოდა ზედნაშენის გარდაქმნა, მაგრამ **მორალური კანონები მაინც უცვლელი რჩებოდა.** მორალური კანონი არ არის წარმოებული მოვლენა. არამედ იმანენტურად მოცემული უოველ საზოგადოებრივ ფორმაში, ასეთია ამხ. ამაღლობელის თვალსაზრისი, ამით ჩვენ მას გადავუყვებით, ე. წ. „მარადიულ ჭეშმარიტებათა“ სფეროში, სადაც მორალის ეს გარდაუვალი კანონები განისვენებენ.

ჩვენ გველაპარაკებიან, რომ **უველაფერი იცვლება, ვითარდება, მაგრამ არსებობს სფერო მორალის, რომელიც არ ემორჩილება ცხოვრების ამ საერთო კანონსო**“. (ხაზი ჩემია. ს. ა.).

მე ვწერ: „**ისტორიულად არ მოიპოვება რაიმე მოვლენა, რომელიც მუდმივ ზნეობრივ თუ უზნეო ხასიათს ატარებდეს**, (ე. ი. მორალურს არა? ს. ა.) რაც ერთი ეპოქის ხალხის, ერის, კლასისათვის ზნეობრივია. მეორე ეპოქის ხალხის, ერის, კლასისათვის უზნეობათ არის მიჩნეული“. (იხ. მე-18 გვ. ხაზი ახალია. ს. ა.)

შემდეგ „ეს თვალსაზრისი (ლაპარაკია „მარქსისტულ სოციოლოგიაზე“ მე-19 გვ. ს. ა.) სისწორით უდგება **იმ დაუსრულებელ მრავალფეროვნებას**, რომელსაც ჩვენ გვაძლევს ზნე-ჩვეულებისა და ზნეობის ისტორია. ამ თვალსაზრისით აიხსნება, როგორც „**მარადიული მორალის ზნეობრივი შეუძლებლობა**, ისე მონახულია ზნეობის მრავალფეროვნების პრინციპი“. (მე-21 გვ. ხაზი ახალია ს. ა.).

ამხ. დ. დემეტრაძე განაგრძობს:

„იმის მტკიცებით, რომ „მორალური კანონი არის ლოღიკური კატეგორია“, ავტორი შეგნებულად თუ შეუგნებლად უარყოფს **მის კლასობრივ ხასიათსაც**. სხვაგვარი დასკვნის გამოყვანა აქედან შეუძლებელია“. (ოღონდაც. ს. ა.).

„მორალის ცნებათა შემუშავება და განვითარება სოციალურ არეში ხდება, სადაც უველაზე ნაკლებათ ხვდებით მარადიულ ჭეშმარიტებათ“

მე ვწერ: „ბურჟუაზიულმა აზროვნებამ ვერ მონახა მორალის პრინციპი, ვერ განსაზღვრა მორალის მატერიალური ბუნება“ (იხ. მე-25-ე გვ.) რატომ? იმიტომ, რომ „მორალის ბუნების გაშლისათვის **საჭირო იყო კლასობრივ - უტილიტარისტული თვალსაზრისი.** ამით ბურჟუაზიას უნდა ეღიარებია **მორალის კლასობრივი ხასიათი**“, (იხ. 26 გვ. ხაზი ახალია. ს. ა.) კიდევ „უოველ სოციალოგიურ ეპოქას აქვს თავისი კულტურის სისტემა მატერიალურ და სულიერ კულტურის გარკვეული ჰარმონია, მიმართული **ეპოქის გაბატონებულ კლასის დაცვისათვის.** კულტურის ამ სისტემაში მორალური კანონები იდეოლოგიის უველაზე უფრო კონსერვატიულ ნაწილს წარმოადგენენ. **ისინი შექმნილი არიან კლასის სარგებლიანობის ინტერესით, კლასობრივი ფსიქოლოგიით**“. (იხ. მე-27-ე გვ. ხაზი ახალია ს. ა.).

კიდევ, „**ნგრევა მთელი კულტურის სისტემის იწვევს ძველი მორალურის ნგრევასა და ახალის ჩასახვას**“. (იხ. მე-27 გვ. ხაზი ძველია ს. ა.).

კიდევ, „**ერთი კლასის მორალური შემეცნებანი და გრძნობები დიამეტრალურ წინააღმდეგობაშია მეორე კლასის შემეცნებისა და გრძნობებისადმი**“. (იხ. მე-39 გვ. ხაზი ახალია. ს. ა.)

ამის შემდეგ ბრალდების წარმოდგენა, რომ თითქოს მე „შეგნებულად თუ შეუგნებლად უარყოფდე მის (მორალის. ს. ა.) კლასობრივ ხასიათს“ წარმოადგენს ჩემი აზრის უმაგალითო დამახინჯების ნიმუშს.

ამხ. დ. დემეტრაძე აღნიშნავს, რომ ჩემი „სახელმძღვანელო დებულებას მე განვმარტავ შემდეგნაირად“ და მას მოჰყავს ჩემი წიგნის მე-24-ე გვერდიდან:

„ადამიანთა ურთიერთობა უმთავრესად და უპირველესად მორალურია (ნაყოფსა, ჩანასახს, ბავშვს იცავს საზოგადოება, ჩანასახთან ჯერ კიდევ საწარმოო ურთიერთობა საზოგადოებას არა აქვს, მაგრამ თვით ის ზნეობა, რომელიც ჩანასახს იცავს საწარმოო ნიადაგით განისაზღვრება საბოლოო ანგარიშით. ს. ა.) ურთიერთობაა. მორალური კანონი საზოგადოების ლოღიკური კანონია, მაშინ, როდესაც იურიდიული კანონი მისი ისტორიული კატეგორია“.

მორალის შინაარსის განმტკიცებას მე ვიწყებ არა მე-24-ე გვერდზე, არამედ მე-16-ე გვერდიდან დაწყებული, და ვიძლევი ისე, როგორც ზემოთ მოყვანილ ამონაწერიდან სჩანს. კრიტიკოსმა რადგან იქ ვერაფერი იშოვა საკბილო, ჩემს მიერ **მორალის ელემენტის ფაქტის აღნიშვნა საზოგადოებაში**, (რომ ზნეობა უოველ საზოგადოებას აქვს), მან მიიღო **მორალის „განმარტებათ“**. ეს დიდი შეცდომაა.

მორალის არსებობის ფაქტის აღნიშვნა მორალის განმარტებათ ისე არ გამოდგება, როგორც აშკარა ყალბი ვექსილის წარდგენა ფულის მისაღებათ. ასეთ — საქმეს სისხლის სამართლის დარგში თაღლითობას უწოდებენ.

ამხ. დ. დემეტრაძეს სურვოდა, რომ ჩემი [illegible] და გაეგო თუ რას ნიშნავს, მორალის „ლოღიკურ კატეგორიათ“ მიჩნევა, მას შეეძლო წაეკითხა მის მიერ მოყვანილი ამონაწერის მეორე წინადადება სადაც სწერია: „ჩვენ არ ვიცნობთ საზოგადოების არც ერთ სახეს სადაც არ ვხვდებით ადამიანთა მიერ კეთილისა და ბოროტის, დადებითისა და უარყოფითის გარჩევას **მოცემული ეპოქის ადამიანთა შეგნების საზომით**“ („მოცემული ეპოქის“ და არა „ისტორიის მიღმა“ არსებულ ადამიანის (!) შეგნებით. ს. ა.) (იხ. მე-24 გვ. ხაზი ახალია. ს. ა.).

ამხ. დ. დემეტრაძეს ჩემი წიგნის მე-15 გვ.—მე-24-ე გვერდამდე იდეალისტური ფილოსოფიის მორალურ კონცეპციათა კრიტიკა და მორალის ბუნების მარქსისტული განმარტება არ გადაუკითხავს ან გადაიკითხა და ის არ მიიღო „ცნობად და სახელმძღვანელოდ“, მან მხოლოდ ვერ გაიგო, თუ არ გაიგო, რას ნიშნავს ცნება „ლოღიკური კატეგორია“. ამ შეცდომით კი უველაფერი აირია. ისე აირია, რომ ჩემს აზროვნებაში ერთბაშათ გამოაშკარავდა წინააღმდეგობანიც, უტოპიზმიც, იდეალიზმიც, ოპორტუნიზმიც და სხვ. ის ფიქრობს, რომ თუ სთქვი—მორალი საზოგადოების ლოღიკური კატეგორიაა, ამით ამბობ, რომ მორალი მოწყვეტილია ეკონომიურ ბაზისს, რომ ის გარკვეული, ერთხელ მოცემული შინაარსით, ისტორიის გარეშე სდგას და მარადიული ჭეშმარიტების ხასიათს ატარებს.

ფ. რ. სწერს: „საზოგადოებრივი ძალა-უფლება არსებობს უველა სახელმწიფოში“ (К. Маркс и Ф. Энгельс о праве მე-104 გვ.) ე. ი. **ძალა-უფლება სახელმწიფოს ლოღიკური კატეგორიაა.** განა აქედან შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, რომ ძალა-უფლება ეკონომიკისაგან მოწყვეტილია? რომ ის წინ უსწრებს სახელმწიფოს? რომ ის უცვლელია ისტორიულად? განა მონურს, ფეოდალურს, კაპიტალისტურს და საბჭოთა სახელმწიფოებს ერთგვარი შინაარსის ძალა-უფლება აქვს? ასეთი დასკვნის გამოყვანა შეიძლება ფრ. ენგელსის, ან რომელიმე გონიერი კაცის აზროვნებიდან?

მეტყველება უოველი საზოგადოების ლოღიკური კატეგორიაა, უოველი საზოგადოება მეტყველებს. განა ეს იმას ნიშნავს, რომ მეტყველება არ შემუშავებულა ისტორიული განვითარების პროცესში? ის უცვლელია ე. ი. უოველ ეპოქაში უოველი ერი, დასაბამიდან დღემდე, ერთგვარად მეტყველებს? **მშრომელი მეურნეობის ლოღიკური კატეგორიაა.** განა ეს იმას ნიშნავს, რომ მონის, უმის, პროლეტარის სოციალ-უფლებრივისა და საწარმოო ტეხნიკურ პირობებში განსხვავება აღარ არსებობს? ასევე, მორალი არის საზოგადოების ლოღიკური კატეგორია. (კარგი იქნება დაგვისახელონ ისეთი საზოგადოება, სადაც ზნეობა არ არსებობს ს. ა.) განა ეს იმას ნიშნავს, რომ მორალური კანონები არ შემუშავებულა ისტორიის პროცესში, არამედ ის წინ უსწრებდა მას, როგორც იმ თავითვე მოცემული, უცვლელი და ეკონომიკისაგან მოწყვეტილი მოვლენა? განა რომელიმე იდეალისტი და ღმერთის მეტყველიც კი იტყვის, რომ მორალი ისტორიულად უცვლელია?

სამწუხაროა, რომ ასეთი ელემენტარი ცნებების გარკვევა საჭირო ხდება ისეთ პირთათვის, რომლებიც პარტიის მსოფლმხედველობის დაცვის მიზნით წიგნების გარჩევას ხელს ჰკიდებენ.

ამხ. დ. დემეტრაძე მეტად შეშინებულია ჩემი დებულებით, სადაც ვამბობ:

„ხელოვნების ამა თუ იმ სახის გაგებისათვის საჭიროა მოცემული მხატვრული ნაწარმოების ეპოქის მორალური ტემპერატურის გასინჯვა. დებულება, — რომ იდეოლოგიის ძირები მატერიალური კულტურის სფეროში მარხია — სავსებით სწორია, მაგრამ სავსებით სწორია დებულებაც — რომ ეპოქის მორალური ტემპერატურა წარმოშობს იდეოლოგიის ფორმებს უშუალოდ“.

ამხ. დ. დემეტრაძე ფიქრობს რომ აქ დარღვეულია მარქსიზმი. მაგრამ თვით კ. მარქსი არასოდეს არ უარყოფდა იდეოლოგიურ ზედნაშენთა ურთიერთ გავლენას, ის სწერს: „მატერიალური ცხოვრების წარმოების წესით განისაზღვრება სოციალ - პოლიტიკურისა და სულიერ პროცესებს საერთოდ“. [illegible] ე. ი. „იდეოლოგიის ძირები მატერიალურ კულტურის სფეროში მარხია“, მაგრამ ეს არ უარყოფს **ამ იდეოლოგიური ფორმების ურთიერთ გავლენას.** ფრ. ენგელსი სწერს:

„პოლიტიკური უფლებრივი ფილოსოფიური სარწმუნოებრივი, ხელოვნური და სხვა განვითარება ემყარება ეკონომიურ განვითარებას, მაგრამ უველა ესენი გავლენას ახდენენ ერთმანეთზე და თვით ეკონომიურ საფუძველზედაც, საქმე სრულიად ისე არ არის თითქოს მხოლოდ ეკონომიური მდგომარეობა იყოს **ერთად ერთი აქტიური მიზეზი**, ხოლო დანარჩენი, მხოლოდ პასიურ ფაქტორებს წარმოადგენენ, (კ. მარქსი, ფ. ენგელსი „წერილები“ 861 გვ. ხაზი ავტორისაა, ს. ა.) იგივე ავტორი სწერს: „ისტორიის პროცესში საბოლოო ანგარიში გამსაზღვრელ მომენტს წარმოადგენს წარმოება და განმეორებული წარმოება ნამდვილი ცხოვრებისა. ამაზე მეტი არა გვითქვამს რა არც მე არც მარქსს. თუ ვინმე ამ დებულებას დაამახინჯებს, რომ ვითომც ეკონომიური მომენტი **ერთად ერთი** გამსაზღვრელი მომენტი იყოს, მაშინ ეს დებულება უაზრო განყენებულ უშინაარსო ფრაზათ იქცევა. („იხ. „წერილები 83, 825 ხაზი ავტორისაა. ს. ა.).

გ. პლეხანოვიც ხელოვნების დარგში მარქსისტულ -სოციალისტურ მეთოდის საუკეთესოდ გამომყენებელი სწერს:

„განათლებულ ხალხთა ცხოვრებაში წარმოების ტეხნიკა მეტად იშვიათად იძლევა ხელოვნებაში თავის უშუალო გავლენას“ («Искусство и общественность», «Об искусстве»), მე-81 გვ. ხაზი ჩემია ს. ა.).

ამხ. დ. დემეტრაძე ვერ ერკვევა ისტორიულ მატერიალიზმის პრინციპებში, ის „მეტს ამბობს“ ვიდრე მარქსი, ენგელსი, პლეხანოვი და ეკონომიკის ერთა-ერთ ფაქტორათ მიჩნევით მახასიათებს „უშინაარსო, უაზრო და განყენებულ ფრაზად“.

ამის შემდეგ მგონი ამხ. დ. დემეტრაძისაგან აღარ არის ნებართვის აღება საჭირო იმისთვის რომ ვილაპარაკოთ იდეოლოგიის ფორმების ურთიერთ გავლენის შესახებ, „რომელთა ძირები მატერიალურ კულტურული სფეროში მარხია“.

ამხ. დ. დემეტრაძე სწერს რომ მე ვამბობ „მხატვრული შემოქმედება ეპოქის **ფსიქო-სოციალურ წყობას ემყარება** და მე ვამბობ, რომ „**სოციალურ-ფსიქიურს**“, აქედან დაასკვნის ფსიქიურ მომენტებს ავტორი პირველ რიგში აყენებს და ერთგვარ პრიმატს ანიჭებს.

კ. მარქსი სწერს: „ჩემი თვალსაზრისი განიხილავს **საზოგადოებრივ - ეკონომიურ** ფორმაციის განვითარებას, როგორც **ბუნებრივ - ისტორიულ** პროცესს.. (იხ. „Капитал“ — ტ. 1-ლი შესავალი. ხაზი ჩემია. ს. ა.).

თუ დემეტრაძის მარქსიზმით მიუდგებით კ. მარქსის დებულებას კ. მარქსი უეჭველად არა მარქსისტი გამოვა, მართლაც აბა გასინჯეთ კ. მარქსი ამბობს: „**საზოგადოებრივ** - ეკონომიურს“ და „**ბუნებრივ** - ისტორიულს“ ე. ი. დემეტრაძის მარქსიზმით კ. მარქსი უპირატესობას აძლევს საზოგადოებრივს, ვიდრე ეკონომიურს; ბუნებრივს, ვიდრე ისტორიულს. თუ ასეთი მსჯელობა შეიძლება, მაშინ კ. მარქსი ანთროპო-გეოგრაფიული სკოლის წარმომადგენლად უნდა მივიჩნიოთ სოციოლოგიაში. და განა მარტო კ. მარქსი, განა ფ. ენგელსის, ლენინის და უველა მარქსისტის ნაწერებში არ ვხვდებით გამოთქმებს „**პოლიტიკურ** ეკონომიური“ „**სოციალ** - ეკონომიური“ და სხვ.? ამხ. დ. დემეტრაძე თუ სიტყვათა მექანიური წყობის როგიდან ანგარიშობს სოციოლოგიურ სისტემებს, მაშინ მას დასჭირდება ჩვენი პარტიის დაცვა არა მარტო ჩემგან.

ამხ. დ. დემეტრაძე სწერს თითქო მე ვფიქრობდე ბურჟუაზიის დაპყრობას კომუნისტური იდეოლოგიით, რომ ბურჟუაზიამ თავი დახსნას რევოლუციისათვის, აქ მართლაც იქნებოდა ოპორტუნიზმი და უტოპიზმი, რომ ბრალდებას რაიმე საფუძველი ჰქონდეს. მე მხოლოდ იმას ვწერდი, რომ ბურჟუაზიამ შესძლო თავისი იდეოლოგიით პროლეტარიატის დამონება იმპერიალისტური ომის დროს, ჩვენ კი ვერ შევძლებთ ბურჟუაზიის დამორჩილებას დიდ ხნობით მეტქი. დიდი ხნის შემდეგ ბურჟუაზია ხომ აღარც იარსებებს, (იხ. წიგნის 30 გვ.)

ამხ. დ. დემეტრაძის უცნაურ ბრალდებათა მთელ კომპლექს აქ ჩვენ ადგილის უქონლობის გამო ვერ განვიხილავთ. ჩემი აზრის სისწორის აღდგენისათვის საჭირო იქნებოდა ჩემი წიგნის მთელი იდეოლოგიური ნაწილის გადმობეჭდვა,რაც გაზეთის ფურცლებზე შეუძლებელია, სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის მთელი იდეოლოგიური ნაწილი დაბეჭდილი იყო ჟურ. „მნათობში“. უნდა ვიფიქროთ, თუ მე შევეცდებოდი არა მარქსისტულ, ოპორტუნისტულ, უტოპისტურ და იდეალისტურ აზრთა გასაღებას პარტიის მსოფლმხედველობა, „მნათობის“ კომპეტენტური რედაქცია, ამას მგონი არ დაუშვებდა.

ამხ. დ. დემეტრაძე გადადის კინოს სპეციალისტურ პრობლემათა გარჩევაზე, მე საკუთარ ფორმულას ვაყენებ: „კინო არის რიალ-ფოტოგენიურ საგანთა მოძრაობის ისრიალი ასახვა“. ამხ. დ. დემეტრაძე იმდენათ გულუბრყვილოთ მსჯელობს, რომ მას ჰგონია თითქო მე „ფილმის ათვისების აქტი რაღაც სასწაულებრივ აქტად“ დამისახავს.

ეს ირიალური თვალსაზრისი (თუ „ირრალური ასახვა“ ს. ა.) არავითარ შემთხვევაში არ შეესაბამება ადამიანის სულიერი ცხოვრების კანონების ცოდნასო“.

ვფიქრობ, აღნიშნული კონკრეტი ფაქტები სრულიად ურყევლად ამტკიცებენ იმ გარემოებას, რომ ავტორს ახასიათებს **უცოდინობა ლიტერატურული ეთიკის**, (აზრების გაუგონარი დამახინჯება) და **პარტიული მსოფლმხედველობის არ ცოდნა** (მეტად ზერელე, შემცდარი და უსაფუძვლო წარმოდგენა მარქსისტულ სოციოლოგიაზე).

დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი გარემოება: მოხდა მეტად პატარა ამბავი: გამოვიდა სპეციალურ წიგნი, სპეციალურ თემაზე, თეატრზე და კინოზე. წიგნი შეიცავს 876 გვერდს, წიგნის ერთ ერთი თავის ნაწილი ეხება მორალის საკითხს 25 გვერდის მანძილზე. დანარჩენი თავები (876 გვერდიდან 851 გვერდი) ეხება სრულიად სპეციალურ საკითხებს — რეჟისორის, მსახიობის, აუდიტორიის, დრამატურგისა და სცენარისტის, თეატრისა და კინოს ესთეტიკის პრობლემებს, ქართულ თეატრს, ქართულ კინოს და სხვ. და სხვ. ამ საკითხთა შესწავლის დროს გარკვეულია ისეთი სპეციალური პრობლემები, როგორც მაგ. მონტაჟის, იმპროვიზაციის, რეპეტიციის, მსახიობის განცდის, ხმისა და ფერის მეტყველების, ფოტოგენიურობის, ცხოველების, მიმიკის, პლასტიკის, ამპლუასა და სხვადასხვა, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვს წიგნის იმ 25 გვერდთან, რომელიც ეხება მორალის პრობლემას.

ვსთქვათ წიგნი უველა საკითხებს სცოდავს, მაგრამ ამ შეცდომებს ხომ უნდა გარჩევა, კრიტიკოსი კი არჩევს წიგნის მხოლოდ ორ-სამ წინადადებას, ამოღებულს სრულიად უსისტემოდ და უაზროდ წიგნის მხოლოდ ერთი თავიდან, მიიჩნევს მას არა მარქსისტულად და დასძენს „**რამდენათაც ყალბია ის საფუძველი, რომელზედაც სდგას ამხ. ამაღლობელი, იმდენად ყალბია თვით ის შენობაც, რომელსაც იგი მასზე აგებს**“. (ხაზი ჩემია. ს. ა.).

კრიტიკოსის ასეთი უაპელაციო განცხადება აღნიშნული საფუძვლის (თუ უსაფუძვლობის ს. ა.) ნიადაგზე ვფიქრობ ვერ არის სერიოზული საქმე. ჩემს წიგნში ბევრია საკამათო, სადაო ადგილები, ამას მე თვითონ ხაზგასმით აღვნიშნავ წიგნის შესავალში, მაგრამ ამხ. დ. დემეტრაძეს გამოეპარა სწორეთ უველა სადაო საკითხი და სრულიად უდავო ადგილების დამახინჯებით ხელაღებით უარყო მთელი წიგნი. რატომ? იმიტომ, რომ მას ჩემს მიერ მორალის ბუნების გაგება მოეჩვენა არა მარქსისტულად. დაუშვათ რომ მორალის გაგება შემცდარია. რა საერთო აქვს მორალთან მონტაჟს, იმპროვიზაციას, ფოტოგენიას, ხმისა და ფერის საკითხს და სხვ. და სხვ. წიგნი კი მხოლოდ ამ სპეციალურ თემებზეა დაწერილი. კრიტიკოსს არ სურს ამ სპეციალურ საკითხებზე მსჯელობა, ის მხოლოდ მას უარყოფს, რას იზამ კაცია და გუნება. (თუ გონება? ს. ა.).

უნდა გამოვტყდე, უხერხულიც არის იმაზე წერა, თუ რისთვის უნდა მიექცია ყურადღება ჩემს კრიტიკოსს, მაგრამ იტყვიან „ურიგო ტირილი, მკვდარსაც ფეხს გაანძრევინებსო“.

უოველ კულტურულ ქვეყანაში, სპეციალური შრომის შეფასებას ხელს ჰკიდებენ ამავე დარგის სპეციალისტები. ჩვენში, სპეციალური შრომის შეფასებისთვის, ზოგჯერ საჭირო არ ყოფილა შემფასების საგნის არც თეორიული და არც პრაქტიკული ცოდნა. კიდევ მეტი, ჩვენში შეიძლება არაოდეს არაფერი არც მეოქვას და არც დამეწეროს რაიმე სპეციალობის შესახებ, არავითარი წარმოდგენაც არა მქონდეს სპეციალურ საგანზე და ამ სპეციალობის წიგნის გარჩევას კი შეუდგე. ეს მეტად არა ნორმალური მოვლენაა, ასეთ პირობებში წიგნის წერა შეუძლებელი ხდება, მართლაც, წიგნს მკითხველი აღარ ეყოლება, ავტორი მკითხველთან თავის ცოდნის გაზიარების მაგივრად, კრიტიკოსისაგან მიიღებს თავის აზრების უდიერ დამახინჯებას, საზოგადოებაში თუ აზრის შეფასება და დაფასება არ ხდება, წიგნის წერას საფუძველი ეკარგება.

ამ საკითხს ჩვენ გენერალური ყურადღება უნდა მივაქციოთ, კრიტიკამ თავისი როლი, რომ შეასრულოს, ის უნდა ემყარებოდეს პარტიის მსოფლმხედველობასა და კრიტიკის ობიექტის საფუძვლიან, მეცნიერულ ცოდნას.

სერგო ამაღლობელი.

---

*) იხ. „კომუნისტი“ 5 ივნისიდან. წერილი „მორალის „ორიგინალური“ თეორია თეატრისა და კინოს საკითხებში“.

ერთხელ კიდევ*)

(ამხ. სერგო ამაღლობელის პასუხის გამო)

ამხ. ამაღლობელი თავისი წიგნის წინასიტყვაობაში სწერდა: „ამ შრომაში ბევრია სადაო საკითხი, **ავტორის პირადი ნააზრი და დაკვირვებანი**“. წინა წერილში ცხადათ გავერკვია თუ რაში მდგომარეობდა ამაღლობელის ეს „პირადი ნააზრი“, რომელიც მორალის პრობლემის „ორიგინალური“ გაშუქების სახით მოგვევლინა. ქვემოთ შევეცდებით კიდევ უფრო ცხადვყოთ ამხ. ამაღლობელის არა მარქსისტული პოზიცია ამ საკითხში და დავამტკიცოთ, რომ მისი წიგნი, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელშიაც მოცემულია ავტორის „პირადი ნააზრი“, წარმოადგენს სხვადასხვა საწინააღმდეგო აზრთა და შეხედულებათა შეკოწიწებას.

ამხ. ამაღლობელის აზრით პარტიულ მსოფლმხედველობის დაცვისათვის საჭიროა ორი პირობა: „1“ ლიტერატურული ეთიკა და 2 პარტიული მსოფლმხედველობის ცოდნა“, რაც შეეხება პირველს, ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, ვინაიდან შეიძლება ავტორმა ეს „სიტყვათა მექანიურ (ან ქაოტიურ) წყობას“ მიაწეროს. ჩვენთვის მთავარია ის, რომ ამხ. ამაღლობელი თავის წიგნში ვერ იცავს სწორედ ამ მეორე, ძირითად პირობას—პარტიული მსოფლმხედველობა მასში დამახინჯებულია.

ამხ. ამაღლობელის წიგნიდან, როგორც ნიმუში ანტიკომუნისტური აზროვნებისა ჩვენ მოგვყავდა შემდეგი ადგილი: „**ადამიანთა ურთიერთობა უმთავრესად და უპირველესად მორალური ურთიერთობაა. მორალური კანონი საზოგადოების ლოღიკური კატეგორია, მაშინ როდესაც იურიდიული კანონი მისი ისტორიული კატეგორიაა**“. (გვ. 24. ხაზი ავტორისაა დ. დ.) და იქვე „**ჩვენ არ ვიცნობთ საზოგადოების არც ერთ სახეს, სადაც არ ვხვდებოდეთ ადამიანთა კეთილისა და ბოროტის გარჩევას მოცემული ეპოქის ადამიანთა შეგნების საზომით**“) (ხაზი ჩემია დ. დ.) გავარჩიოთ ზემოეული დებულება ცალ-ცალკე. სწორია, თუ არა მარქსიზმის თვალსაზრისით ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს ადამიანთა ურთიერთობა უმთავრესად მორალური ურთიერთობაა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ დებულებას **ჭეშმარიტ მარქსიზმთან არავითარი კავშირი არა აქვს**;

ამხ. ამაღლობელი თავის პასუხში ცდილობს როგორმე თავი დააღწიოს იმ წინააღმდეგობებს, რომელიც უხვადაა გაბნეული მის წიგნში. მაგრამ ამაოდ. „პირადი ნააზრევის“ ასე დაცვა, და ისიც თავიდან ბოლომდე ყალბი ნააზრევის, მეტად ძნელი ამბავია ჩვენ ერთხელ კიდევ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას ავტორის განმარტებაზე მორალური კანონისა, რომ შემდეგ გადავიდეთ დამატებით არგუმენტების განხილვაზე. იგი სწერს: „მორალური კანონი საზოგადოების ლოღიკური კატეგორია, **მაშინ, როდესაც** იურიდიული კანონი მისი ისტორიული კატეგორიაა“. ჩვენ განზრახ გაუსვით ხაზი აქ სიტყვებს: „მაშინ როდესაც“, რომ ცხადი გახდეს ის პარალელი, რომელიც გაყავს ავტორს მორალურ და იურიდიულ კანონებს შორის. სიმძიმის ცენტრი აქ—**ამ შედარებაში** მდგომარეობს. ამხ. ამაღლობელი გვისაყვედურებს: „კრიტიკოსმა, რადგან ვერაფერი იშოვა საკბილო, ჩემს მიერ **მორალის ელემენტის ფაქტის აღნიშვნა საზოგადოებაში** (რომ ზნეობა უოველ საზოგადოებას აქვს) მან მიიღო მორალის „**განმარტებათო**“. ვეკითხებით ავტორს, თუ მორალის შესახებ იგი ლაპარაკობს მხოლოდ, როგორც არსებულ ფაქტზე, რა მნიშვნელობით არის მაშინ განმარტებული იურიდიული კანონი, **როგორც ისტორიული კატეგორია.** განა ასევე არ შეიძლება ითქვას, თუ მივიღებთ ავტორის თვალსაზრისს, რომ იურიდიული კანონი ლოღიური კატეგორიაა, რომ ეს უკანასკნელიც უოველ სახელმწიფოში არსებობს და სხვა. მაშინ რად სჭირდება ამაღლობელს ზემომოყვანილ კონტექსტში სიტყვები „**მაშინ, როდესაც**“ თუ არა შედარებისათვის, რომ აღნიშნოს მორალური ნორმების ლოღიური, უცვლელი ხასიათი და იურიდიული კანონების კი ცვალებადი-წარმოშობილი ისტორიული განვითარების პროცესში. ამხ. ამაღლობელს მოყავს ციტატა ენგელსიდან სახელმწიფოს ძალა-უფლების შესახებ და ბრძნულად დასძენს „ძალა-უფლება სახელმწიფოს ლოღიური კატეგორიაა“. როგორც ირკვევა ავტორს თურმე მხოლოდ ფაქტის აღნიშვნა სურს ამ სიტყვით: „**ლოგიური კატეგორია**“. ეს მეტად ცუდი მანევრია, რომელიც განზრახული აქვს ავტორს მხოლოდ იმისათვის, რომ თავიდან აიცდინოს საკითხის სწორი დასმა. განა იმისათვის, რომ აღნიშნული იქნეს ფაქტის არსებობა, ვინმე (გარდა ამაღლობელისა) ხმარობს ისეთ ტერმინებს, როგორც მაგალ. „ლოღიური კატეგორია“ და სხვა, რომელთაც ყოველთვის გარკვეული შინაარსი აქვთ? ამხ. ამაღლობელის მსჯელობის ძაფს რომ გავყვეთ, მაშინ ფაქტების სახით ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ლოღიურ კატეგორიებთან გვექნება საქმე. მაგ. ავტორის არსებობა ფაქტია. მაშასადამე ის ლოღიური კატეგორია ყოფილა. **ჩვენი მსჯელობა ამ უკანასკნელ შემთხვევაში შემდეგი სახით უნდა ჩამოუალიბდეს: მორალი ამაღლობელის ლოგიური კატეგორიაა, ისე როგორც სხვა მისი ატრიბუტი.**

ამხ. ამაღლობელი გულუბრყვილოდ სვამს კითხვას: „**განა რომელიმე იდეალისტ**

---

*) ამხ. დემეტრაძის წერილით რედაქცია კამათს გათავებულად სთვლის.

რედ.

აღმშენებლობის გასაჯანსაღებლად და გასაიაფებლად

ვინ არის პასუხისმგებელი კაპიტალური აღმშენებლობის პროექტების და ხარჯთ-აღრიცხვის სწორად შედგენისათვის.

შრომისა და თავდაცვის სპეციალურმა კომისიამ განიხილა პროექტი დებულებისა ცალკე პირთა პასუხისმგებლობის შესახებ კაპიტალური მშენებლობის ტექნიკური პროექტების მიზანშეწონილობისა და ხარჯთ-აღრიცხვის სწორად შედგენისათვის. პროექტით გათვალისწინებულია, რომ პროექტის შემდგენი პასუხისმგებელი არის შემუშავებულ კონსტრუქციების მიზანშეწონილობისა და საერთოდ პროექტის რაციონალურად შედგენისათვის. ხარჯთ-აღრიცხვის შემდგენი პასუხისმგებელია პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოთა სწორად აღრიცხვისათვის, მუშა-ხელის ნორმების, საჭირო მასალების და სხვ. სწორად გამოანგარიშებისათვის. პროექტის კონსულტანტი პასუხისმგებელია მისთვის მიცემული დავალების ფარგლებში ის პირი, რომელიც პროექტს ამტკიცებს პასუხისმგებელია იმისათვის, რომ პროექტი შეეფერებოდეს მიცემულ დავალებას და აგრეთვე იმისათვის, რომ მიღებული პროექტით ეკონომიურად და მიზანშეწონილად იქნეს გადაჭრილი განზრახული მშენებლობის ამოცანა.

პროექტი დასამტკიცებლად გადაეცა შრომისა და თავდაცვის საბჭოს.

კონკურსი საუკეთესო აღმშენებლობაზე

საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე გადაწყდა საკავშირო კონკურსის მოწყობა საუკეთესო აღმშენებლობაზე (სამრეწველო მშენებლობა), რომელსაც ყველაზე მეტი მიღწევები აქვს მუშაობაში 1927—28 წ.

კონკურსი ეწყობა იმ მიზნით, რომ შემოწმებულ იქნეს მექანიზაციისა და რაციონალიზაციის ახალი მეთოდები, რომლებითაც სარგებლობენ აღმშენებლობაში და აგრეთვე იმისათვის, რომ გამოირკვეს, თუ რა კეთდება მთავრობის იმ დირექტივის შესასრულებლად, რომელიც გულისხმობს აღმშენებლობის ღირებულების შემცირებას მიმდინარე წელს არა ნაკლებ 15 პროც. ფარგლებში.

კონკურსი ჩატარებული იქნება ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციების, აღმშენებელთა კავშირის ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოების უახლოესი მონაწილეობით. პრემიები მიეცემა საუკეთესო მშენებლებს — ინჟინერ-ტეხნიკოსებს უცხოეთში და საბჭოთა კავშირის ცენტრებში მივლინების სახით, განზრახულია აგრეთვე პრემიების მიცემა ცალკე კოლექტივებისა და საამშენებლო მუშების არტელებისათვის, რომლებმაც საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს მუშაობაში.

საბინაო აღმშენებლობა

ცენტრალურმა კომუნალურმა ბანკმა სათადარიგო ფონდიდან ამიერ-კავკასიაში საბინაო მშენებლობისათვის გადასდო 300.000 მანეთი აქედან 200.000 მანეთი გაღებული იქნება ერევანში სახლების ასაგებად, ხოლო 100.000 მანეთი გადაეცემა თბილისის აღმასკომს დაწყებულ სახლების დასამთავრებლად.

მიმდინარე წელში გრძელვადიანი კრედიტების სახით ცენტრ. კომუნალური ბანკი საბინაო მშენებლობისათვის სულ გასცემს — 4.350.000 მან.

აქედან აზერბეიჯანს მიეცემა —1.903.500 მან.; საქართველოს—1.315.000 მანეთი და სომხეთს—1.131.500 მან. გარდა ამისა საკავშირო მნიშვნელობისათვის (ფაბრიკა-ქარხნების ახალი შენობები და სხვ.) მიმდინარე წლის ბოლომდე გაცემული იქნება 5.200.000 მანეთი. ტრანსპორტის მუშათა საბინაო მშენებლობისათვის მიმდინარე წელშივე გაღებული იქნება 2.600.000 მანეთი.

კერძოთ საქართველოში საბინაო მშენებლობისათვის გრძელვადიანი კრედიტის სახით გადადებული 1.315.000 მანეთიდან თბილისის აღმასკომს მიეცემა 740.000 მანეთი, სოხუმის, ბათუმის, გორის და ქუთაისის აღმასკომებს თვითეულს 50.000 მანეთი, ცხინვალის აღმასკომს—30.000 მან. საბინაო კოოპერაციას —195.000 მან.; სატყეო ტრესტს—100.000 მან. და აბრეშუმის ტრესტს—50.000 მანეთი.

ცენტრალურ კომუნალურ ბანკს აღნიშნულ თანხის გარდა საქართველოს მაზრებში საბინაო მშენებლობის გასაძლიერებლად გადაწყვეტილი აქვს გასცეს კიდევ 215.000 მანეთი.

თათბირი მეძაობასთან ბრძოლის შესახებ

ხუთშაბათს, 5 ივლისს, საღამოს 6 საათზე, საქ. ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში შესდგება მეძაობასთან ბრძოლის შესახებ 30 ივნისს მოწვეული თათბირის გაგრძელება.

თათბირზე მოწვეულნი არიან წარმომადგენლები: ცაკის და თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებებიდან. იუსტიციის სახ. კომისარიატიდან, 1, 2, 3 და მე-4 რაიკომების ქალთა განყოფილებებიდან და შრომის სახ. კომისარიატიდან; მოწვეული არიან აგრეთვე შრომის ბირჟის, წითელი ჯვარის, ჯანმრთელობის სახკომისარიატის, თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებების, რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილების, პროფსაბჭოს, ცაკთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა კომისიის, უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიის და ბავშვთა მეგობართა საზ. ბის წარმომადგენლები.

განათლების განყოფილებათა ინსტრუქტორების კონფერენცია

კონფერენციის მუშაობის მეოთხე დღეს საღამოს მუშაობდენ კომისიები.

გუშინ დილის სხდომაზე განხილული იქნა სკოლის საწარმოო გეგმის და სამუშაო პროგრამის შედგენის წესები.

სკოლის საწარმოო გეგმა სდგება სასწავლო წლის დამდეგს და წარმოადგენს სამუშაო პროგრამის საფუძველს. საწარმოო გეგმაში გატარებული უნდა იქნეს შემდეგი მომენტები: წლიური საწარმოო გეგმა, სადაც მოცემული უნდა იქნეს სკოლის მუშაობის მიზანი და მუშაობის ზოგადი მიმართულება და დასმული უნდა იქნეს გადასაწყვეტად ზოგადი ხასიათის საორგანიზაციო და მეთოდიური საკითხები; თემების დამუშავების კალენდარული გეგმა; უახლოეს დროისათვის მთელი სკოლის, ცალკე ჯგუფის, საგნის და სხ. მუშაობის სრული გეგმა.

სკოლის ზოგად საწარმოო გეგმაში გაშუქებული უნდა იქნეს შემდეგი საკითხები: სკოლის სამოქმედო რაიონის მხარეთ-მცოდნეობითი მიმოხილვა (ბუნებრივი პირობები, მოსახლეობის საქმიანობა, კულტურული ვითარება, ყოფა-ცხოვრება, ადგილობრივი ცხოვრების ნაკლი და მორიგი ამოცანები მათ გამოსასწორებლად; სკოლის საზოგადოებრივი სასარგებლო შრომა; სკოლის ცხოვრების საორგანიზაციო მხარეების გაუმჯობესების პრაქტიკული საკითხები (შენობა, ავეჯი, ბიბლიოთეკა, სახელოსნოები და სხვ.); საპროგრამო მეთოდიური სამუშაოების ძირითადი საკითხები, მორიგი პედაგოგიური საკითხები. თემის კალენდარული გეგმის შედგენა მისი ძირითად საკითხებად დაყოფა და სხვ.

უკანასკნელი სხდომა

გუშინ საღამოს შესდგა კონფერენციის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც განხილული და დამტკიცებული იქნა კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლიუციები და პრაქტიკული ღონისძიებები.

დასასრულ ამხანაგმა გოგუაძემ კონფერენციის მონაწილეთ მიმართა სიტყვით და მოუწოდა მომავალ სასწავლო წელში უფრო ენერგიულად მოეკიდონ ხელი სწავლა-აღზრდის საქმის სწორად წარმოებას, ხელი შეუწყონ მასწავლებლის ცოდნის გაღრმავებას, რაც უტყუარი საწინდარი იქნება იმის, რომ მასწავლებელი შესძლებს იმ ამოცანების გადაჭრას, რომელსაც მის წინაშე აყენებს საბჭოთა ხელისუფლება და შექმნის ახალ ცხოვრებისათვის მომზადებულ მოქალაქეს.

ამის შემდეგ კონფერენცია დაიხურა

საბჭოების წევრ-ქალთა მოსამზადებელი კურსების გახსნა

3 ივლისს ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის შენობაში მოხდა საბჭოების წევრ-ქალთა მოსამზადებელი კურსების საზეიმო გახსნა. კურსები მოწყობილია საქართველოს ცაკის ინიციატივით და მისი გახსნის მიზანია სათემო და საქალაქო საბჭოებში წევრებათ არჩეულ ქალების მომზადება. კურსებზე სამეცადინოთ ჩამოსულია 45 ქალი.

კურსების გახსნის წინ, შესდგა კურსებზე ჩამოსულ მსმენელთა საერთო კრება, რომელიც გახსნა ცაკის საორგანიზაციო განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. ვ. კვირიკაშვილმა.

ამხ. ფ. მახარაძის მისალმება

კურსების გახსნის გამო, მსმენელთა საერთო კრებას მიესალმა სრულიად საქართველოს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე.

— ეს კურსები,—განაცხადა ამხ. მახარაძემ, —პირველი ცდაა საბჭოების მუშაობაში ჩაბმულ მუშა და გლეხ-ქალთა მოსამზადებლათ და მათი აქტივობის გასაზრდელათ. საბჭოთა ხელისუფლების მიზანია ყოველი მშრომელი განვითარდეს და მოემზადოს ისე, რომ მან შესძლოს თავისი წვლილის შეტანა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენ კიდევ ვერ მივაღწიეთ ასეთ მდგომარეობას, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს მშრომელ ქალებს დიდი წინსვლა და აქტივობა ეტყობათ.

ყოფა-ცხოვრების ძველი ჩვეულებები და ეკონომიური სხვისავე ყველაზე უფრო მშრომელ ქალს ბორკავს. ჩვენი მიზანია გავანთავისუფლოთ მშრომელი ქალი ასეთი მდგომარეობისაგან. ეს კი შესაძლებელია თვით ქალთა აქტივობის გაძლიერებით.

შემდეგ ამხ. ფ. მახარაძე აღნიშნავს, რომ მუშა და გლეხ-ქალების საქმიანობას საქალაქო და სათემო საბჭოებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ ორგანოებიდან სწარმოებს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პირდაპირი ხელმძღვანელობა. კურსებზე მეცადინეობამ მსმენელებს შესაძლებელია არ მისცეს ფართო აკადემიური მომზადება, მაგრამ სამაგიეროთ მიეცემათ თეორიულად შეძენილი ცოდნა პრაქტიკულად განამტკიცონ.

დასასრულ ამხ. მახარაძე აღნიშნავს, რომ კურსების დახურვის შემდეგ შესწავლილი იქნება მიღებული გამოცდილება და ეს გამოცდილება გამოყენებული იქნება მსგავსი კურსების მოწყობის დროს მომავალში.

ამხ. ტაგიევის მისალმება

ამხ. ფ. მახარაძის შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოდის ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი ამხ. ტაგიევი, რომელიც აღნიშნავს, რომ საქართველო პირველად ამიერ-კავკასიის ფედერაციაში ახდენს საბჭოების წევრ-ქალთა მოსამზადებელი კურსების გახსნის ცდას.

ამხ. ტაგიევი გამოსთქვამს სურვილს, რომ ამ მაგალითს სხვა რესპუბლიკებმაც მიბაძონ.

მსმენელთა სახელით სიტყვით გამოვიდა გორის მაზრიდან ჩამოსული საბჭოს წევრი-ქალი ამხ. ურატაძისა.

კურსების გახსნის შემდეგ შესდგა მსმენელთა და რექტორთა თათბირი კურსების სამოსწავლო პროგრამისა და ლექციების განწესების შესამუშავებლად.

თბ. საბჭოს სექციების ბიუროების კონფერენცია

3 ივლისს, საღამოს, თბილისის საბჭოს შენობაში შესდგა საბჭოს სექციების ბიუროების და აქტივის გაერთიანებული კონფერენცია. მასიური მუშაობის შესახებ საბჭოთა კავშირის ქალაქებში და ამ მხრივ თბილისის საბჭოს უახლოესი ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა თბილისის აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამხ. ს. აკოფოვი.

მასიური მუშაობა მოკავშირე რესპუბლიკებში

თავის მოხსენებაში ამხ. აკოფოვმა აღნიშნა, რომ იგი მივლინებული იყო საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში ქალაქის საბჭოების მუშაობის მეთოდებთან გასაცნობათ. მასიური მუშაობა ყველა დიდ ქალაქებში, როგორიცაა ლენინგრადი, მოსკოვი, ხარკოვი, როსტოვი და სხ. ყველგან შესაფერ სიმაღლეზე სდგას. საბჭოს ყველა წევრი-დეპუტატები ფართოდ არიან ჩაბმული მუშაობაში. დიდი ყურადღება ექცევა წარმოებებიდან მოწვეულ მუშათა ჩაბმას მასიურ მუშაობაში. საბჭოს პრეზიდიუმი, ისე საკითხს არ განიხილავს, თუ ის საკითხი წინასწარ არაა დამუშავებული სექციაში. საბჭოს მუშაობაში ყველგან პირველ როლს თამაშობს სექცია.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჩვენში ასეთი მდგომარეობა არაა და საბჭოს პრეზიდიუმი უმრავლეს შემთხვევაში საკითხებს არჩევს ისე, რომ ამ საკითხების შესახებ სექციის აზრი არ იცის. გარდა ამისა მომხსენებელი აღნიშნავს მთელ რიგ შეცდომებს მასიური მუშაობის სხვა დარგებში. ასეთად ის მიაჩნია ის გარემოება, რომ შესაფერ ყურადღებას არ აქცევენ დეპუტატებისათვის მიცემულ ნაკაზებისა და დამატ. წინადადებების შესრულებას, საბჭოს დეპუტატები მასა არ არის ჩაბმული ისეთ მნიშვნელოვან და რთულ კამპანიის ჩატარებაში, როგორიცაა ამჟამად მიმდინარე სახლების მუნიციპალიზაციის კამპანია და სხვა.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ორატორები მოითხოვდენ, რომ შემუშავებული იქნეს საბჭოს დეპუტატების სახელმძღვანელო დირექტივები, ყურადღება მიექცეს ისეთი ლიტერატურის გამოცემას, რომლითაც დეპუტატები იხელმძღვანელებენ თავის ყოველდღიურ საქმიანობაში, გაძლიერდეს სექციებთან გამოყოფილი კომისიების მუშაობა და სხვა.

საქართველოს ეკონომიურ საბჭოში

საფუთო გამოსაღების დახარჯვის წესი

ფინსახკომის დასკვნის თანახმად ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა ყველა საფუთო გამოსაღები მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში დარჩეს მათ განკარგულებაში—ადგილობრივ მნიშვნელობის გზების აღმშენებლობის საჭიროებისათვის.

კურსების (ქუთ. მაზ.) გრანიტის ქარხანა

საამშენებლო მრეწველობისათვის გადადებული საიმპორტო კონტინგენტი 5.000 მან. რაოდენობით ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით გადაეცა თბილისის აღმასკომს კურსების გრანიტის ქარხნის საჭიროებისათვის.

გზების შეკეთება და გაყვანა

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ახალი გზების გაყვანისა და საკავშირო მნიშვნელობის ძველი გზების აღდგენის სამუშაოთა 1928—29 წ. ხარჯთაღრიცხვა 2.813.124 მან. რაოდენობით.

კრედიტები კოოპერაციისათვის

ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო, რათა კრედიტების გაცემა ცეკავშირის და სარეწაო კოოპერაციისათვის ხდებოდეს სახელმწიფო ბანკიდანაც, რისთვისაც უნდა აღიძრას სათანადო შუამდგომლობა.

ტყიბულის საავადმყოფოს აგება

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა სატეხნიკო-საამშენებლო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ტყიბულის საავადმყოფოს პროექტი და ხარჯთაღრიცხვა 164.583 მან. 37 კაპ. რაოდენობით.

სოფლის ელექტროფიკაცია

ს.მ.უ.ს. მიერ წარმოდგენილი სოფლის ელექტროფიკაციის საჭიროებისათვის გადადებული თანხის განაწილების პროექტი ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა შემდეგნაირად: ონის ელექტრო-სადგურს—50.000 მან., აბასთუმნის ელექტრო-სადგურს 26.000 მან., ახალქალაქის ელექტ.-სადგურს — 45.000 მ. და ახალციხის ელექტრო-სადგურს—40.000 მან. სულ 161.000 მან.

ნათესების მდგომარეობა

ახალციხის მაზრაში

მიწად-მოქმედების კომისარიატში მიღებული ცნობებით, ახალციხის მაზრაში ზამთრის ნათესების მდგომარეობა საშუალოზე ნაკლებია, გაზაფხულის ნათესების მდგომარეობა საშუალოა, ბაღების, თამბაქოს, ხახვის და ლობიოს მდგომარეობა—საშუალოზე უკეთესი.

შორაპნის მაზრაში

ვენახების მდგომარეობა მთელს მაზრაში დამაკმაყოფილებელია. პირველ ხანებში კარგი პირი უჩანდა მინდვრების ნათესებსაც. მაგრამ ბოლო დროს პურეულს გაუჩნდა მავნებლები, რამაც საგრძნობლად დააზარალა ნათესები.

მავნებლებთან ბრძოლას აწარმოებენ ადგილობრივი აგრონომიული ორგანიზაციები.

სეტყვა

მიწად-მოქმედების კომისარიატში მიღებული ცნობით, 25 ივნისს კოდის თემში (სიღნაღის მაზრა) მოვიდა ძლიერი სეტყვა, ხოლო 30 ივნისს სეტყვამ გადაიარა ველისციხის მთელ რაიონზე. სეტყვამ თითქმის სრულებით გაანადგურა ნათესები და ვენახები ორივე რაიონში.

საზოგადოებათ მეცნიერების კაბინეტების მუშაობა მოიკოჭლებს

საზოგადოებათმეცნიერება ახალი საგანია. არც პროგრამები და არც სახელმძღვანელოები ამ საგანში ჯერ საბოლოოთ განმტკიცებული არაა. ამის გამო ეს საგანი თითქმის ყველა სკოლაში სუსტად არის დაყენებული. ცხადია, ასეთ პირობებში მასწავლებლობისათვის დახმარების აღმოჩენა აუცილებელია, რადგან ისინიც მთელ რიგ თეორეტიულ და მეთოდიურ საკითხებში ჯერ სავსებით ვერ ერკვევიან. საზოგადოებათმეცნიერების კაბინეტის მიზანია ამ მხრივ დახმარება გაუწიოს მასწავლებლებს და გაუადვილოს მათ საზოგადოებათმეცნიერების სწავლების გაუმჯობესება სკოლებში.

ასრულებს თუ არა ამ დანიშნულებას კაბინეტი? კაბინეტს ყავს ხელმძღვანელები, რომლებიც თავისებურათ ხელმძღვანელობას უწევენ კაბინეტს და გარეგნულად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს კაბინეტი მუშაობს მაგრამ მუშაობაც არის და მუშაობაც. საკმაოა ჩაიხედო კაბინეტის მუშაობის შინაარსში და დარწმუნდები, რომ ის თავის ამოცანების განხორციელებიდან ძლიერ შორსაა. რა უნდა აკეთოს კაბინეტმა? მისი უპირველესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ახსნა-განმარტება მისცეს მასწავლებლებს ამა თუ იმ გაუგებარ საკითხზე. მიაწოდოს პროგრამები, ლიტერატურის საჩვენებელი და თვით ლიტერატურაც. დრო გამოშვებით აქვე უნდა ხდებოდეს მასწავლებელთა გამოცდილების აღრიცხვაც. ეს შეუძლია შესრულოს ერთ კვალიფიკაციურ მუშაკს კონსულტანტს, თუ კაბინეტი მოწყობილი იქნება. აქ კი რამდენიმე ხელმძღვანელი და ლექტორია, მაგრამ კაბინეტი მასწავლებელთა მოთხოვნილებებს მაინც ვერ აკმაყოფილებს. მაშ, რას აკეთებს კაბინეტი? მასწავლებლებს უკითხავს ლექციებს, მაგრამ არა იმ საკითხზე, რომელიც მასწავლებელს აინტერესებს და ყველაზე მეტად ესაჭიროება. ლექტორს თავისი პროგრამა აქვს და აუდიტორიას ნაკლებად ჰკითხავს თუ, რა აინტერესებს უკანასკნელს. მეორე მხრით აქ თვითონ მასწავლებლებს აკითხვებენ მოხსენებებს და შემდეგ იმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ასეთმა მუშაობამ მასწავლებლობას არაფერი ახალი არ მისცა. ამიტომ ის კაბინეტს ჩამოშორდა და დიდის მოწიწებით თუ დაპატიჟებ, შეიძლება რამდენიმე კაცი გამოცხადდეს კრებაზე ან მოხსენებაზე. ასეთი მდგომარეობა არ ყოფილა წლის დასაწყისში. მაშინ უკეთ ესწრებოდნენ. თქმა იმის, რომ მასწავლებლებს აღარ სჭირდებათ დახმარება, შეცდომა აზრია, აგრეთვე არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს მათ არ აინტერესებდეს ამა თუ იმ გაურკვეველ თეორეტიულ, მეთოდიურ და პრაქტიკულ საკითხებში გარკვევა. რატომ იჩენენ ისინი გულგრილობას? ამის მიზეზია კაბინეტის სწორი გზიდან გადახვევა. კაბინეტმა ვერ გაიგო რა ამოცანები აქვს მას ჩვენს პირობებში, ვერ გაიგო აგრეთვე მასწავლებელთა ინტერესები და საჭიროებანი.

ყველასათვის აშკარაა, რომ რუსულად საქართველოს ისტორიის მასალები თითქმის არ მოიპოვება. რუსულ სკოლებს პროგრამაში კი უწერიათ საქართველოს ფეოდალიზმი, სავაჭრო-კაპიტალიზმი, ბატონყმობა, რევოლუცია, მოძრაობის ისტორია და სხ.

მასწავლებლებს ავალებენ, რომ ეს საკითხები დაამუშაონ მოსწავლეებთან. მასწავლებლებს კი არავითარი ლიტერატურა არ მოეპოვებათ და არც იშოვება ის. ამ ნიადაგზე დაიბადა სურვილი, რომ საქართველოს მასალებს გაეცნობოდენ რუსული და სხვ. ეროვნულ სკოლების საზოგად. მეცნიერების მასწავლებლები. კაბინეტის ხელმძღვანელებს სთხოვეს მოეწვიათ საქართველოს ისტორიის მცოდნე და რამდენიმე ლექცია წაეკითხა მათთვის. რასაკვირველია, მათ დაპირდენ, მაგრამ წლები გავიდა, სანამ დაპირების რეალიზაცია მოხდებოდა. ბოლოს, მიმდინარე სასწავლო წლის მეორე ნახევარში იშოვეს ვიღაც ლექტორი, რომელმაც გააკეთა მოხსენება (უკეთ, წაიკითხა დაწერილი) საქართველოს ფეოდალიზმზე, ბატონყმობაზე და სხ. მაგრამ ვაი ამ მოხსენებას! ვერავინ ვერაფერი გაიგო, და მგონია, არც პატივცემული ლექტორი იყო გარკვეული. ეს დამტკიცდა შეკითხვების მიცემის დროს. ვერც ერთ კითხვაზე მან ვერ უპასუხა, მხოლოდ ჩაიწერა და დაპირდა მასწავლებლებს, რომ შემდეგში განუმარტავდა. რასაკვირველია. ის შემდეგ იქ არავის უნახავს. რამდენიმე კვირის შემდეგ კაბინეტმა დაბეჭდა დავალებები ბავშვებისათვის (7 წლედის მოწაფეები) საქართველოს ისტორიიდან ლიტერატურის ჩვენებით და კონსპექტი სავაჭრო კაპიტალზე საქართველოში.

მასწავლებლები ხარბათ დაეწაფენ ამ მასალებს, და რა ნახეს?! უხეიროთ შედგენილი დავალებები, ფორმულიროვკებში შეცდომები, ფართო და ბავშვებისათვის განუხორციელებელი პრაქტიკული სამუშაოები, აუარებელი ლიტერატურული მასალები, რომლების დამუშავება ყოვლად შეუძლებელია მოცემულ დროში. უვარგისი, ნაწილობრივად მიუღებელი სახელმძღვანელოების დასახელება. ბელეტრისტული ნაწარმოებთა სიმრავლე და სხვა.

აღსანიშნავია ის, რომ არც ერთი წიგნი, რომლითაც მასწავლებლებმა და მოწაფეებმა უნდა იხელმძღვანელონ, არაა რუსულ ენაზე, თუმცა რუსულ სკოლებისათვის არის დაწერილი დავალება. როგორია კონსპექტი? ჯუმბურიძის წიგნიდან ცუდათ შერჩეული მასალები და ცუდი თარგმანი.

კაბინეტს არ ყავს შესაფერი ხელმძღვანელი, მას არ ყავს კონსულტანტი. მასწავლებელმა ყველა საჭირო მასალები და მითითებები უნდა მიიღოს კაბინეტიდან. მოხსენებებით მასწავლებლობას ვერავინ დააინტერესებს, რადგან ამაში მათთვის არაფერი ახალი არაა. წიგნის წაკითხვა მასწავლებლებს თვითონ შეუძლია, მხოლოდ მას ლიტერატურის მითითება, მიცემა და მეთოდიური რჩევა-დარიგება ესაჭიროება. ამისთვის კრებები სრულიად საჭირო არაა.

თუ კრება მოეწყობა, ეს თვით მასწავლებელთა მოთხოვნით უნდა ხდებოდეს.

საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციოს განათლების განყოფილებამ კაბინეტის მუშაობას.

ისარი.

შირაქის ველიც მოირწყვება

(წერილი თელავიდან)

ოდესღაც მიწის მოსავლით განთქმული შირაქის ველი დღეს გამოუსადეგარ უდაბნოს წარმოადგენს. უზარმაზარი ტერიტორია არავითარ სარგებლობას არ აძლევს კახეთის მშრომელთ; თუმცა ნათხრებიდან სჩანს, რომ აქ ძველ დროში არხები ყოფილა გაყვანილი. შირაქის ველიც ირწყვებოდა და იძლეოდა იმდენ მოსავალს რამდენსაც მთელი კახეთი ქიზიყიანად არ აძლევდა. ერთი სიტყვით შირაქის ველი ბეღელი იყო არა მარტო კახეთისა, არამედ მთელი საქართველოსი.

აი, ამ ველს მიექცა საჭირო ყურადღება საბჭოთა ხელისუფლების მიერ და გადაწყდა ველის მორწყვის საქმის მოგვარება. შესდგა სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა 5 მილიონის ფარგლებში, მოწვეულ იქნა ალაზნის არხის სამუშაოს ხელმძღვანელად ინჟინერი დავრიშევი, რომელმაც დაიწყო მუშაობა და როგორც გათვალისწინებულია დამთავრდება ოქტომბრისათვის.

ამგვარად, თელავ-სიღნაღის მაზრა მოკლე ხნის განმავლობაში სრულიად გარდაიქმნება, იგი სწრაფი ნაბიჯით დადგება განვითარების აღორძინების გზაზე, სასოფლო მეურნეობა მიაღწევს იმ წერტილს, რომელზედაც არასოდეს არ ყოფილა.

ასეთ დიდ მნიშვნელოვან აღმშენებლობითი სამუშაოს დასათვალიერებლად მოეწყო განათლების კავშირის წევრთა ექსკურსია.

გავიარეთ სოფლები: შალაური, ნასამხარი, კისისხევი, კონდოლი, ტოლიანი და სხვა, ყველგან მარჯვენივ თუ მარცხნივ მთელი მინდვრები დასერილია ახალი პლანტაციებით, ყანა-ჯეჯილებით და სიმინდის ნათესებით.

ოდესღაც 12 ათასი დესეტინა ვენახი უკვე დასულიყო 2—3 ათასზე. კახელი გლეხი გულგადაწყვეტილი შესცქეროდა თუ როგორ ეცლებოდა ხელიდან თავისი ნამაგარი ვენახი ფილოქსერის გავრცელების გამო.

საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია ამ მდგომარეობას მთავარი ყურადღება და ამიტომაც, გაპარტახებული ვენახები კვლავ ამწვანდა. და ირგვა აუარებელი ახალი ნამყენი და სულ 2—3 წლის განმავლობაში არამც თუ ომის წინანდელ დონეს მივაღწიეთ, არამედ გვერდითაც გავუსწრებთ კიდეც.

მიწის მოსავალს კარგი პირი უჩანს, ყანას პირი გააქვს, სიმინდები ერთხელ უკვე გაითოხნა. ბუნებაც ხელს უწყობს, ქერი ყვარლის რაიონში უკვე გაიწურა, კარგი მოსავალი აქვს, გლეხობა არ ემდურის.

ყველა ამის დამნახავს სიხარულით ევსება გული და ამიტომაც არის, რომ ჩვენი გლეხი არაფერს აღარ იშურებს სოფლის წინსვლისათვის და განსაკუთრებით საამშენებლო დარგისათვის.

სოფელი კისისხევი და კონდოლი მდინარე კისისხევის ნაპირზეა გაშენებული. ეს მდინარე აუარებელ ზარალს აყენებს აღნიშნულ სოფლებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ფარხმალს არა ჰყრიან და გაათკეცებული ენერგიით ებრძვიან, როგორც მდინარე კისისხევს, ისე სიბნელეს. ამ სოფლებმა განიზრახეს და უკვე შეუდგნენ კიდეც თვითდაბეგვრის საშუალებით სასკოლო შენობების აგებას, მაგალითად ს. კონდოლში შენდება 12—13 ოთახიანი შენობა ოთხწლედისათვის, ასეთივე შენობის აგებას შეუდგა სოფ. კისისხევიც.

კახელი გლეხი გამოფხიზლდა. მან საგრძნობლად გაიმაგრა წელი და ამიტომაც შეუდგა კულტურულ-აღმშენებლობითი მუშაობას. ამ ბრწყინვალე აზრებით ვიყავით გატაცებული როდესაც ჩვენი ეტლი მიადგა ალაზნის არხის სათავეს.

უცქერით და თვალს არ უჯერებთ, ნუ თუ ამ ადგილზე, სადაც მგლების, ტურების და ფრინველების გარდა არავის არ გაუვლია, ამ უდაბნოში, დღეს პატარა სოფელი გაშენებულა მუშებისათვის სახლების, კარვების სახით.

შევედით ეზოში. რას არ ნახავთ აქ. ბინები, კარვები, კლუბი, კედლის გაზეთი, კვირა დღეა. მუშების დასასვენებელი დღე, მაგრამ სასწრაფო საქმე აქვთ და ყველა ჭიანჭველებივით მუშაობენ არხის სათავეზე.

უმისოდაც თურმე უფროსი ტეხნიკის, ვინმე კორთლის დაუდევრობით სახელმწიფოს 50.000 მანეთის ზარალი მისდგომია. სამუშაოს სწრაფად შესრულების ნაცვლად ნელი ტემპით წარმოებამ წყალის ადიდების დროს უცბად მთელი ნამუშევარი წალეკა. როგორც ანგარიშობენ ჯერ-ჯერობით 50.000 მანეთამდეა ზარალი. შეიძლება მეტიც იყვეს. მუშები და ადგილკომი აღელვებულნი არიან ტეხნიკის მიერ საქმისადმი გულგრილად მოპყრობით. ამ საქმის შესახებ სწარმოებს კვლევა-ძიება.

ალაზნის არხს სიგრძე ექნება 96 კილომეტრი და მორწყავს თელავ-სიღნაღის მაზრებში ქიზიყის და შირაქის ველ-მინდვრებს. ამასთანავე განზრახულია სოფ. ბაკურციხის ბოლოში აიგოს ჰიდრო-ელსადგური, რომელიც გაანათებს ამ ორ მაზრებს და მოძრაობაში მოიყვანს ჩვენ მაზრებში არსებულ ფაბრიკა-ქარხნებს. ყველა ეს კი საწინდარია საბჭოთა წყობილების ბრწყინვალე გამარჯვებისა.

ია. დავთიანი.

თვითდაბეგვრის პრაქტიკიდან

(წერილი ლეჩხუმის მაზრიდან)

საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში სოფლად უაღრესი მნიშვნელობა ეძლევა მასის თვითმოქმედებას, რომლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს თვითდაბეგვრა.

თვითდაბეგვრის კანონის სწორ გამოყენებას შეუძლია მოგვცეს მეტად მნიშვნელოვანი შედეგები. აღნიშნულის დასადასტურებლად ზედმეტი არ იქნება გავაშუქოთ ლეჩხუმის მაზრის გამოცდილება თვითდაბეგვრის გატარებაში.

გასულ წელს თვითდაბეგვრამ ჩვენს მაზრაში ფულზე გადატანით მოგვცა 272.740 მან. (თუ თითო მუშა ხელის ქირად ვიანგარიშებთ 2 მან. დღეში). სასოფლო- სამეურნეო გადასახადი გაიწერა და აიკრიბა მაზრაში 24.125 მან. რაოდენობით. ამგვარად, თუ წლიურ თვითდაბეგვრის ჯამს შევადარებთ სასოფლო- სამეურნეო გადასახადს, მათი შეფარდება იქნება 11,3:1.

გასულ წელს მაზრის ბიუჯეტი უდრიდა 360.235 მან., რომელშიაც ახალი აღმშენებლობისათვის იყო გათვალისწინებული მხოლოდ 31.883 მან. თვითდაბეგვრით შემოსული თანხა კი (972.740 მან.), მცირედი გამონაკლისის გარდა, მთლიანად მოხმარდა მაზრის აღმშენებლობას.

თვითდაბეგვრის თანხის საერთო რაოდენობა განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: გზების გაყვანა -შეკეთებას, სასკოლო მშენებლობასა და სხვა კულტურულ დანიშნულებას მოხმარდა 86,3 პროც. ადმინისტრატიულ სამმართველო ხარჯებზე წავიდა—13,7 პროც.

საგულისხმოა ის მნიშვნელოვანი სამუშაოები, რომელიც შესრულებულ იქნა შრომის ბეგარით. ცაგერ- ორბელს შორის გაყვანილ იქნა ახალი გზა-ტკეცილი 14 კილომეტრის სიგრძის. ამ გზის ხარჯთ-აღრიცხვა უდრიდა 260.000 მან. აქედან ფულად დაიხარჯა 60.000 მან. დანარჩენი—200.000 მან. კი გაიღო მოსახლეობამ შრომის ბეგარის სახით.

შრომის ბეგარით გაკეთდა აგრეთვე ახალი გზა ჭილეშლაილაშ შორის 3 ნახევარ კილომეტრზე. ამავე თემში აგებულ იქნა საუკეთესო შენობა საავადმყოფოსათვის.

ასეთივე სამუშაოები შესრულდა თვითდაბეგვრის საშუალებით ორბელის, მექვენის და სხვ. თემებში.

თვითდაბეგვრის გატარების დროს ძალდატანების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი ორგანიზაციები თვითდაბეგვრის დროს სიფრთხ.-ით ვერ ეკიდებიან გლეხობის ფენობრივ დაყოფის საკითხს, რის გამოც ხშირად იბეგრება უღარიბესი გლეხობა. ეს ნაკლი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს, ბეგარის მთელი სიმძიმე ჩვენ უნდა გადავიტანოთ შეძლებულ გლეხობაზე.

თვითდაბეგვრით მიღებულ საშუალებათა რაციონალური გამოყენებისათვის საჭიროა ადგილობრივ პირობების მიხედვით შედგენილ იქნეს წინასწარი ხარჯაღრიცხვა. საერთოდ კი ზედმეტი სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ და მიზანშეწონილად ვხარჯოთ ის თანხები, რომლისაც ნებაყოფლობით იღებს მშრომელი მოსახლეობა საზოგადოებრივი საქმისათვის.

ან. სიამაშვილი.

ქრონიკა

გერმანიის რკინის გზების ინსპექტორის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა გერმანიის რკინის გზების ფრანკფურტის (მაინზე) რაიონის უფროსი ინსპექტორი ვილჰელმ ბუტელერი. მისი ჩამოსვლის მიზანს შეადგენს საბჭოთა კავშირის რკინის გზების მუშაობასთან გაცნობა და სარკინიგზო ფრახტის საკითხის შესწავლა.

ამიერ-კავკასიის ბუტელერი გაეცნობა ა.-კ. რკინის გზების მუშაობას შავი ზღვით მოტანილი საქონლის გადაზიდვის საქმეში.

თურქეთის ელჩის ჩამოსვლა

თურქეთის ელჩი საბჭოთა კავშირში თევფიკ-ბეი, რომელიც 1-ლ ივლისს ჩამოვიდა თეირანიდან დასასვენებლათ გაემგზავრა ბორჯომში.

ავსტრიის ელჩის გამგზავრება

გუშინ თბილისიდან ბათომისაკენ გაემგზავრა თბილისში ამას წინად ჩამოსული ავსტრიის საგანგებო საქმეთა მინისტრი სპარსეთში და თურქეთში ავგუსტ კრალი. თბილისში ავგ. კრალი ჩამოვიდა სპარსეთიდან. ბათომიდან იგი გაემგზავრება ავსტრიაში.

შაქრის ქარხანა

გორის მაზრაში გაემგზავრა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მიწათმოქ. სახალხო კომისარიატის კომისია.

კომისიას დავალებული აქვს გამოიკვლიოს და შეისწავლოს შაქრის ჭარხლის ნათესების მდგომარეობა.

ამავე კომისიას დავალებული აქვს აგრეთვე ადგილობრივ გამოარკვიოს გორის მაზრაში საბჭოთა მამულის დაარსების საკითხი, რომელსაც გადაეცემა 500 ჰექტარი მიწა შაქრის ჭარხლის მოსაყვანად.

ახალი დასასვენებელი სახლები

საქართველოს ტრანსპორტის მუშათა კავშირმა დასასვენებელი სახლები ააგო და გახსნა — ერთი ბახმაროზე და ერთი ლებარდეში.

ახალი სარწყავი არხები

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისია ამჟამად იხილავს პატარძეულის მორწყვის საკითხს. უკვე შედგენილია ორი პროექტი. პირველი პროექტით გაყვანილი არხი მორწყავს პატარძეულის მიწებს 1000 დესეტინის სივრცეზე და ხაშმისას—800 დესეტინაზე.

მეორე პროექტით პატარძეულის თემში მორწყული იქნება 500 დესეტინა.

ხელფასის ნარჩენები

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით ხელფასისათვის გამოყოფილი თანხების ნარჩენები ყოველი თვის დამლევს შეტანილი უნდა იქნას ხაზინის შემოსავალში.

თბ. აღმასკომში

◆ **საჩვენებელი მეფუტკრეობა.** საადგილმამულო განყოფილებამ გადასწყვიტა მაზრაში წელს მოაწყოს 2 საჩვენებელი საფუტკრე.

◆ **რადიო.** პოლიტგანათლების განყოფილებამ მაზრისათვის შეიძინა ერთი მოძრავი რადიო-სადგური.

◆ **სოფლების განათება.** თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა მაზრის სოფლები გაანათოს ტრაქტორების საშუალებით.

◆ **კანალიზაცია.** კომუნალური მეურნეობა შეუდგა გარე უბნებში კანალიზაციის გაყვანას,

მიწსახკომში

◆ **პრაქტიკაზე.** მიწსახკომმა მაზრის აგრონომიულ დაწესებულებებში თავის ხარჯზე მიავლინა 80 სტუდენტი პრაქტიკაზე სამუშაოდ.

◆ **სახელოსნოები.** მიწსახკომმა გადასწყვიტა ველისციხეში მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელი სახელოსნო.

◆ **გერმანიიდან** მიწსახკომი ამ დღეებში მიიღებს 500 სულ ჯიშიან ცხვარს.

სხვადასხვა

◆ თამბაქოს ტრესტმა როზა ლიუქსემბურგის სახ. ქარხანასთან მოაწყო მუშათა სასადილო და აბანო.

◆ **სახ. უნივერსიტეტის** აგრონომიულ ფაკულტეტისათვის აგროკაბინეტის მოსაწყობათ „ზაქცეკამშმა“ გადასდო 1.500 მანეთი.

◆ **ახალი საავადმყოფო.** ტყიბულში ახალი საავადმყოფოს მოსაწყობათ ეკონ. საბჭომ გადასდო 151 ათასი მანეთი.

◆ **ელსადგური.** ონში ახალ ელსადგურის ასაგებათ მთავრობამ გადასდო 50.000 მანეთი.

ხელოვნების ქრონიკა

— **პიროგოვის გასტროლი.** 5 ივლისს რუსთაველის თეატრში გაიმართება მომღერალ პიროგოვის გასტროლი.

—**მედსანშრომის მუშაკთა კლუბში** დღეს გაიმართება მუსიკალურ ბუფონადის უკანასკნელი გასტროლი.

— **სპენდიაროვის ხსოვნის** აღსანიშნავად დღეს საბჭოთა მუშაკების კლუბში გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

თამბაქოს ფაბრიკების კონცენტრაციის გარშემო

წარმოების კონცენტრაციის მიზნით საქართველოს თამბაქოს ტრესტი საჭიროდ სთვლის ლენინის სახელობის მესამე თამბაქოს ქარხნის დახურვას და ამ ქარხნის მუშების დიდი უმეტესობის გადაყვანას მეორე ქარხანაში.

ამ საკითხის შესახებ 22 ივნისს მეორე თამბაქოს ქარხანაში შესდგა გაფართოებული საწარმოო თათბირი, რომელმაც მიზანშეუწონლად ჩასთვალა ტრესტის განზრახვის სისრულეში მოყვანა. ამავე თათბირზე საჭიროდ იქნა ცნობილი საკითხის დეტალურად შესწავლა, რა მიზნითაც არჩეული იქნა კომისია შრომის სახ. კომისარის ამხ. სილია თოდრიას (თავმჯდომარე). შრომის დაცვის განყ. გამგის ამხ. ელიაზიშვილის, შრ. სანიტარულ ინსპექციის გამგის ექიმ ანდრონიკაშვილის და შრომის ტეხნიკურ ინსპექციის გამგის ინჟ. მანევსკის მონაწილეობით. კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პროფსაბჭოს წარმომადგენელმა ამხ. ავანესოვმა, კვება-კვების კავშირის მდივანმა ამხ. ნავრუზოვმა, თამბაქოს ტრესტის გამგე ამხ. პეტციოვმა და სხ.

კომისიამ განიხილა რაიონული შრომის სანიტარულ-ტეხნიკური ინსპექტორის მიერ წარმოდგენილი მასალები 2 და 3 თამბაქოს ფაბრიკების სანიტარულ-ტეხნიკური მდგომარეობის შესახებ და გარდა ამისა ადგილობრივ დაათვალიერა ორივე ფაბრიკა.

კომისია თავის დასკვნაში აღნიშნავს, რომ მესამე ფაბრიკა იმყოფება ქალაქის განაპირას, სადაც ჰაერი გაცილებით უფრო სუფთაა, ვიდრე სადგურის რაიონში, სადაც მოთავსებულია მეორე ფაბრიკა.

მესამე თამბაქოს ქარხანას აქვს დიდი ეზო—5.460 კვ. მეტრი, რომლიდანაც ამჟამად შენობებით დაკავებულია მხოლოდ 2.786 კვ. მეტრი. ასე რომ ეზოთ დარჩენილია 2.674 კვ. მეტრი. ამრიგად, რომ ვინიცობაა საჭირო შეიქნეს ფაბრიკის გაფართოება, ამის შესაძლებლობა აქ უფრო მეტია, ვიდრე მეორე ფაბრიკაში, სადაც შენობით დაკავებულია 2.419 კვ. მეტრი, ხოლო ეზოთ დარჩენილია მხოლოდ—698 კვ. მეტრი.

მე-3 თამბ. ქარხნის შენობა მოწყობილია სპეციალურად მანქანების სამუშაოდ, მე-2 ფაბრიკა კი სამისოდ არ არის მოწყობილი; მანქანების მუშაობის გამო პაპიროსების განყ-ში ირყევა იატაკი, რაც გავლენას ახდენს მუშების ნერვიულ სისტემაზე. ბუნებრივი სინათლე მესამე ფაბრიკაში სრულიად საკმაოა, მეორეში კი არა და არც შესაძლებელია მისი გაძლიერება.

ასეთივე მდგომარეობაა ვენტილიაციის მხრივაც. მესამე ფაბრიკის ერთ ნახევარში მოწყობილია ცენტრალური ვენტილიაცია, ხოლო მეორე ნახევარში ელექტრონის ვენტილიაცია, სარკმლები და სხვ. მეორე ფაბრიკაში კი არის მხოლოდ ელექტრონის ვენტილიაცია, რაც საკმაოდ ვერ წმენდს ჰაერს.

მუშათა რიცხვის გადიდების შემთხვევაში მესამე ფაბრიკაში შეიძლება სამუშაო სივრცის გაფართოება, ხოლო მეორე ფაბრიკაში კი ამის შესაძლებლობა არ მოიპოვება.

ყველა ამის გამო კომისიამ დაადგინა: თუ საჭიროება მოითხოვს რომელიმე ფაბრიკის დახურვას, შრომის დაცვის პირობის თვალსაზრისით, დახურული უნდა იქნეს არა მესამე, არამედ მეორე ფაბრიკა.

სასამართლო

ყოფ. აზნაურის ოინები

სპირიდონ დგებუაძე ერთ დროს ბუზს არ იკარებდა. ეს ის დრო იყო, როცა აზნაურობა კმაროდა ყველაფრად, როცა აზნაურისთვის შრომა და ჯაფა საჭირო არ იყო, ისედაც განცხრომით ცხოვრობდა სხვისი ნაოფლარით.

როცა „წახდა“ დრო და რევოლიუციამ მტვერი მიაყარა აზნაურის ფაფუკ ხელებს, დგებუაძემ ბუზიც მიიკარა და დამპალი ტარანიც, რომელსაც ორმაგ ფასად ჰყიდდა გლეხებზე.

საერთოდ დგებუაძე გაძრომ-გამოძრომის კაცი გახლდათ, მოხერხება არ აკლდა.

მან იცოდა ხვრელები კანონმდებლობისა და თუ კი საიდანმე შემოძვრებოდა კანონს, ბევრი სავალიც რომ ყოფილიყო, არ დაზოგავდა ენერგიას.

დგებუაძემ იცოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ნორმაზე მეტ მიწას არავის არ დაუტოვებს, მით უმეტეს გაქცეულ „აზნაურს“.

რა ჰქნას? სად დამალოს ამდენი სახნავ-სათესი მიწები, ამდენი ჭალები! ჯიბეში ხომ ვერ ჩაიდებს! არა და როგორ გაუშვას ხელიდან.

დგებუაძემ იცის, რომ შენობების გაყიდვა არ არის აკრძალული. შენობა ჰაერში ხომ არ არის? გაყიდის შენობას და ზედ მიაყოლებს მიწასაც, კანონიც „დაცული“ იქნება და მიწაც გადარჩენილი.

მაგრამ ასე გულუბრყვილონი არ არიან კანონმდებლები. მიწაზე რომ სხვა დასახლდეს, თუნდაც მის კუთვნილ შენობაში და მიწას დამუშავებას დაუწყებს, ხომ მიხვდებიან, რაშიაც არის საქმე. ისეც გათვალისწინებული აქვს ნააზნაურალს.

ამიტომ საჭიროა წინა რიცხვით ისეთი ხელშეკრულების დადება მიწის მყიდველთან, რომ ხელისუფლებას არ შეეძლოს გამოდავება.

ეხლა საინტერესოა რა ხერხს მიმართა გაქცეულმა „აზნაურმა“.

ვითომ მასა და მიწის მყიდველ ბაგრატ გულორდავას შორის ჯერ-კიდევ ოცი-ოცდახუთი წლის წინ დავა იყო მამულის გარშემო.

ეხლა კი მოინდომეს მორიგება და საამისო ხელშეკრულება დასდეს, რომ ამიერიდან აღარაფერი აქვთ სადაო.

ხელშეკრულება ეს იყო საფარი, რომლის იქით დგებუაძე ჩერვონცებს ილაგებდა ჯიბეში და სახელმწიფო მამულს ხელში უგდებდა ბაგრატ გულორდავას.

დგებუაძემ ჯიბეზე გაიკრა 500 მანეთი. როცა ერთი ყავრით დახურული სახლი და ნახევარი წისქვილი, რომლებიც ვითომ მიაკუთვნა გულორდავას, რათა უკანასკნელს თავი გაენებებინა პრეტენზიებისათვის.

დგებუაძემ ჯიბეზე გაიკრა 500 მანეთი, რომელიც ფაქტიურად შეადგენდა 8 ქცევა მიწის საფასურს და შეადგინა უკანა რიცხვით ასეთი მორიგებითი ხელშეკრულება:

„...ჩვენ მოვრიგდით. სადაო სახლი თავის ეზოთი და წისქვილის ნახევარი რჩება საშვილიშვილოდ ბაგრატ გულორდავას. სპირიდონ დგებუაძეს და არც მის მემკვიდრეებს უფლება არა აქვთ რაიმე პრეტენზია იქონიონ ამ ქონებაზე.

ვინც დაარღვევს ამ ხელშეკრულებას, მან მეორე მხარის სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს 1000 მანეთი ბაჯაღლო ოქროთი და ხელშეკრულება ძალაში რჩება“..

გულორდავა დაეპატრონა 8 ქცევა მიწას, სახლსაც და წისქვილის ნახევარსაც. სამაგიეროდ დგებუაძემ წელი მოიმაგრა და სავაჭრო კანტორა გაიჩინა.

არც ერთ მხარეს არაფერი ჰქონდა სადაო. ხელშეკრულება არც ერთ მხარეს არ დაურღვევია.

დაარღვია მხოლოდ მესამე პირმა. ეს იყო ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელმაც გაიგო „აზნაურის“ ასეთი ყალთაბანდობა.

სასამართლომ მყიდველსაც და გამყიდველსაც მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ექვს-ექვსი თვით.

ამ ხნის განმავლობაში გამახლში უნდა შეისწავლონ კანონი მიწით სარგებლობის შესახებ.

გარდა ამისა ეს „სადაო“ 8 ქცევა მიწა უდავოდ გადაიდა სადგილ - მამულო ფონდში.

დგებუაძის მიერ აღებული 500 მანეთი უნდა მოხმარდეს ადგილობრივ აღმასკომის ბიუჯეტის გაძლიერებას.

ისე შემოუარა „კანონს“ აზნაურმა დგებუაძემ.

ვერ.

შემთხვევები

მტკვარში გადავარდნა

გუშინ, ნაშუადღევს, თვითმკვლელობის მიზნით მტკვარში გადავარდა ბიქტორ ვასტურგანი (მცხ. მუზეუმის ქ., 8), წყალზე დახმარების პუნქტის თანამშრომლებმა ვასტურგანი დახრჩობას გადაარჩინეს.

რეციდივისტის დაპატიმრება

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტი შალვა ალიბეგაშვილი.

ქურდობა

კარის გატეხის საშუალებით გაქურდეს პაპა მირზოევის ბინა (ლორის ქ., 9), წაიღეს 100 მანეთის ნივთები;—გაქურდეს ნიკოლოზ მახარაძის ბინა (ლომინაძის ქ., 40), წაიღეს 150 მანეთის საოჯახო ავეჯეულობა;—გაქურდეს იოსებ კალატოზიშვილის ბინა (ევდოშვილის ქ., 2), წაიღეს სხვადასხვა ნივთები.

ჯიბგირობა

გუშინწინ, საღამოს, კონსტანტინე გაზალიანს კახეთის მოედანზე ჯიბიდან ამოაცალეს ფული და სხვადასხვა საბუთები. ორთომ ავეტისოვს მაღაზიათა ქუჩაზე ვიღაც ჯიბგირმა ჯიბიდან ამოაცალა 30 მანეთი და მიიმალა.

გუშინ ქალაქში ადგილი ჰქონდა ჯიბგირობის 4 შემთხვევას. დაპატიმრებულია 2 ჯიბგირი.

თავის მოწამვლა

გუშინ, დილით, იოდით თავი მოიწამლა ვერო ხასანაშვილმა (მცხ. კომუნალური ქ. 22). ხასანაშვილის ქალი საავადმყოფოს გადაიყვანეს. თავის მოწამვლის მიზეზი ირკვევა.

ქუთაისის მაზრაში

სოფელ ფარცხანაყანების მცხოვრებმა ბორის კობრეიძემ დანით მძიმეთ დასჭრა თავისი მეზობელი მარდალეიშვილი.

ვანის რაიონის სოფ. საპატიოში უცნობმა პირმა სცემა 70 წლის მოხუცს ანასტასია ადეიშვილს, რომელიც გარდაიცვალა. დამნაშავის ვინაობა გამოურკვეველია.

გადაგდებული პაპიროსისაგან 27 ივნისს ცეცხლი გაუჩნდა ქუთაისის ბარიტის ქარხნის სამასალო საწყობს. ცეცხლი ჩააქრეს. ზარალი უმნიშვნელოა.

29 ივნისს რიონჰესზე მომუშავე პატიმარმა ალექსანდრე ქოიავამ დანით დასჭრა მანქე ჭეფილიძე.

ვოთის თემში ბოროტგამზრახველებმა გადასწვეს მიტროფანე თევზაძის და სერგო ნადირაძის სახლი.

28 ივნისს წყალტუბოს თემის სოფ. თბილოსერში თავის ყანაში თოფით თავი მოიკლა გლეხმა ილიკო გეგელიძემ.

ვანის რაიონის სოფ. სალარბიაში ილიკო გორგაძემ და მისმა დედამ ცეცხლი გაუჩინეს და გადასწვეს ათონის ხურცაძის საბძელი.

მუშკორთა საყურადღებოთ

დღეს, საღამოს სრულ 6 საათზე რედაქციის ბინაზე შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა საერთო კრება. დღის წესრიგში სდგას ამ. დიასამიძის მოხსენება. ყველა მუშკორის დასწრება აუცილებელია.

და ღვთის მეტყველი კი იტყვის, რომ მორალი ისტორიულად უცვლელია“. ამხ. ამაღლობელს არ სჯერა, რომ ღვთის მეტყველნი ეჭვს შეიტანენ მორალის ისტორიულ ხასიათში, დეე ამხ. ამაღლობელი ამას ნუ დაიჯერებს, ჩვენ კი უნდა უთხრათ მკითხველს, რომ ღვთის მეტყველნი აღიარებდენ მორალის უცვლელ მარადიულ ხასიათს და უარყოფდენ მის ისტორიულ წარმოშობას.

ამხ. ამაღლობელმა ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს, სანამ მარქსისტულად აზროვნებას მიეჩვევოდეს.

ამხ. ამაღლობელი გვეკამათება, „რომ ზნეობა უყველ საზოგადოებას აქვს“, „კარგი იქნება დაგვისახელოთ ისეთი საზოგადოება, სადაც ზნეობა არ არსებობდეს“. ეს დებულება ამხ. ამაღლობელი ბრჭყალებში აქვს მოქცეული, საჭიროა გამოვიტანოთ იგი ბრჭყალების გარედ. აქ ისმება საკითხი მორალის წარმოშობის შესახებ. უპირველესად ყოვლისა საჭიროა განვასხვაოთ ზნეობრივი ნორმა ზნეობრივ გრძნობისაგან. ამ უკანასკნელის ჩანასახებს კაუცკი ცხოველურ სამყაროში ეძებს (იხ. ამის შესახებ კრებული „ეთიკა და მარქსიზმი“ 1923, კაუცკის წერილი—მორალის წარმოშობა). ცნობილია,—რომ დარვინმა დაამტკიცა მორალის არსებობის ფაქტი ველურებში. რა თქმა უნდა არა ისეთი მორალის, როგორიც ჩვენ გვაქვს ან კერძოდ ამხ. ამაღლობელს. მაგრამ ფაქტი ის არის, რომ მორალური გრძნობა პირველყოფილ ადამიანებსაც ჰქონიათ როცა საზოგადოებრივი ცხოვრება მხოლოდ ჩანასახ ფორმებში იყო მოცემული. დაახლოებით ასეთივე აზრს იზიარებს ენგელსი, მორგანი და სხვ.

მაშასადამე ისტორიულად ზნეობრივი გრძნობა წინ უსწრებდა საზოგადოებრივ ცხოვრებას. რა თქმა უნდა ჩვენ არ ვლაპარაკობთ ზნეობრივი ნორმების შესახებ, რომელიც დამახასიათებელია განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმების. მას შემდეგ, რაც წარმოიშვა კლასები, და მთელი ისტორიაც კლასთა ბრძოლის ნიშნის ქვეშ წარიმართა, მორალი ყოველთვის კლასიური იყო: „იგი ან ამართლებდა გაბატონებულ კლასების ძალაუფლებას და ინტერესებს, ან და იცავდა დამონებულთა მომავლის ინტერესებს, როგორც კი ეს უკანასკნელნი მოიპოვებდენ საკმაო ძალას“. (იხ. ენგელსი „ანტიდიურინგი“ გვ. 83, მოსკოვი 1923 წ.) კლასიურ საზოგადოებაში მორალური კლასობრივი ნორმებია. კლასების მოსპობასთან ერთად, მოისპობა თვით ეს კლასობრივი ნორმებიც. მაშასადამე მომავალი საზოგადოების დროს მორალური ნორმები, როგორც კლასობრივი ნორმათა სისტემა, უნდა მოისპოს. არსებობს ასეთი შეხედულებაც, რომლის თანახმადაც სრულიად ზედმეტია თერმინი „მორალური ნორმების“ ხმარება. ამხ. ბუხარინის აზრით პროლეტარიატს სრულიად არ სჭირდება მორალური ნორმები, არამედ მისთვის საჭიროა ყოფა-ქცევის ნორმები, როგორც ტეხნიკური წესები (ნეტავ დაუჯერებდეს ამხ. ბუხარინს ხერვი ამაღლობელი). ამხ. ამაღლობელი კი თავმოსაბეზრებლად და ხშირად შეუგნებლადაც ხმარობს სიტყვა „მორალს“, „ეთიკა“ და სხვ.

მომავალ საზოგადოებაში სპეციფიურ ფორმებს მორალური ურთიერთობისა არ ექნება ადგილი. მის ადგილს დაიჭერს უფრო მაღალი, ჰუმანიური ფორმები. ცხადია, გარდამავალ პერიოდში პროლეტარიატი გამოიყენებს მას თავის ინტერესებისათვის. „ამისათვის, — ამბობს პაშუკანისი, მას (ე.ი. პროლეტარიატს) უნდა ჰქონდეს უპირველესად ყოვლისა სრულიად ნათელი, თავისუფალი იდეოლოგიური ბურუსიდან წარმოდგენა **ამ ფორმათა ისტორიულ წარმოშობაზე.** პროლეტარიატმა კრიტიკულად, ფხიზლად უნდა შეხედოს არა მარტო ბურჟუაზიულ სახელმწიფოს და ბურჟუაზიულ მორალს და **თავის საკუთარ პროლეტარულ მორალსაც,** ე. ი. **შეიცნოს ისტორიული აუცილებლობა მათი არსებობისა, ისე როგორც მათი გაქრობისაც**“ (იხ. მისი წიგნი „უფლების ზოგადი თეორია და მარქსიზმი“ გვ. 105. 1927 წ. ხაზი ჩემია დ. დ.) სწორედ ასევე აუცილებელია, იდეოლოგიური ბურუსიდან ამხ. ამაღლობელის განთავისუფლებაც, რომ მან მორალის ისტორიული აუცილებლობაც შეიგნოს.

ჩვენ ანტიმარქსისტულათ ჩავთვალეთ ამხ. ამაღლობელის შემდეგი დებულება, რომელიც ლაპარაკობს, **რომ ეპოქის მორალური ტემპერატურა წარმოშობს იდეოლოგიის ფორმებს უშუალოდ“.** აქაც უნდა განვაცხადოთ, რომ ეს სპეციფიური ამაღლობელის მარქსიზმია. ამხ. ამაღლობელი გვიპასუხებს, რომ კ. მარქსი და მასთან ერთად ამაღლობელიც (?!) არასოდეს არ უარყოფდენ იდეოლოგიის ზედნაშენთა ურთიერთ გავლენას. მართალია, იდეოლოგიური ფორმები ზეგავლენას ახდენენ საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურაზე, **მაგრამ მარქსს არსად არ უთქვამს, რომ ეპოქის მორალური ტემპერატურა უშუალო წარმომშობია იდეოლოგიური ფორმებისა.** მარქსიზმის თვალსაზრისით მორალი არასოდეს არ წარმოადგენს დამოუკიდებელ „უშუალო ფაქტორს“, რომელსაც, თურმე, შესძლებია მთელი იდეოლოგიური ზედნაშენების წარმოშობა. „რომ გაგებული იქნეს ზემოქმედება, — სწერს გ. პლეხანოვი, — საჭიროა გაირკვეს ზემოქმედ ძალთა თვისებები და ეს თვისებები თავის ახსნას ვერ ნახავენ ზემოქმედების ფაქტის ახსნაში, როგორაც არ უნდა იცვლებოდენ მის გამო ისინი. ჩვენს შემთხვევაში ზემოქმედ ძალთა თვისებები, თვისებები იმ საზოგადოებრივი ორგანიზმებისა, რომლებიც ერთი მეორეზე ახდენენ გავლენას საბოლოოდ აიხსნებიან უკვე ჩვენთვის ცნობილი მიზეზით: **ამ ორგანიზმების ეკონომიური სტრუქტურით, რომელიც მათი საწარმოო ძალთა განვითარებით განისაზღვრება.** (იხ. «К вопросу о развитии монистическ. взгляда на историю», მოსკოვი. 1923, გვ. 244. ხაზი ავტორისაა. დ. დ.).

ზემოქმედება თავის თავად არაფერს არ ხსნის. მისი ბუნების ანალიზიდან სრულიად გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ თითქოს ეკონომიური ფაქტორის გვერდით არსებობს სხვა ფაქტორი, **რომელიც თანასწორია პირველის.** ასე მხოლოდ ეკლექტიურად მოაზროვნე ამაღლობელს შეუძლია იმსჯელოს. ჩვენ განვიხილეთ მთავარი მომენტები. ამხ. ამაღლობელი ხშირად მოგვითითებს თავისი წიგნიდან იმ ადგილებზე, სადაც გამოთქმულია „კლასობრივ - პროლეტარისტული თვალსაზრისი“. მკითხველის საყურადღებოდ უნდა განვაცხადოთ, რომ ამის შესახებ ჩვენ ვსწერდით წინა წერილში, მაგრამ ამავე დროს მივაწერდით მას ავტორის აზრებულ, განუურელ და ორგანიულ თვისებას, რომელიც საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მდგომარეობს და რასაც ეკლექტიკოსებს სწევენ. მაგრამ ეს საქმის ვითარებას სრულიად არ სცვლის. ვინაიდან ყალბია თვით ის მთავარი ფოკუსი, რომელშიაც ტყდება ცალკე საკითხებისაკენ აღმავალი ხაზები. ამხ. ამაღლობელი სწერს, რომ საჭიროა „აღვადგინო“ ჩემი ნააზრევი. ჩვენც შევეცდებით კიდევ დამატებით აღვადგინოთ რამდენიმე ადგილი მისი წიგნიდან, რომელიც ავტორის თვალსაზრისს ერთხელ კიდევ ნათელს მოჰფენს.

მიმართოთ ზოგიერთ სასკანდალო ფაქტებს. მე-28 გვერდზე ვკითხულობთ: „მართლაც, პროლეტარიატი, მისი ავანგარდი კომუნისტური პარტიაც წარმოიშვა და აღიზარდა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ყოფა-ცხოვრებაში. ამ საზოგადოებიდან მან მემკვიდრეობათ ბევრი რამ გამოიტანა. **უპირველესად, ზნეობისა და ყოფაცხოვრების, ტრადიციები, რადგან ესენი იდეოლოგიური ზედნაშენების უველაზე კონსერვატიულ ბუნების მქონე მოვლენებია, რომლის მოქმედება არ ჰქრება მათი მიზეზით, ბურჟუაზიული მეურნეობის გადახალისებით“.** ხაზი ჩემია, დ. დ.). მკითხველს ვთხოვთ მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება უკანასკნელ სიტყვებს, სადაც ამაღლობელი **ბურჟუაზიული მეურნეობის გადახალისების შესახებ** ლაპარაკობს. ასე შეუძლია მსჯელობა მხოლოდ ლიბერალს. ამხ. ამაღლობელის საყურადღებოდ უნდა ვსთქვათ, რომ ამ მხრივ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია მეტად ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს. ის მთელი თავისი არსებით იბრძვის, რომ როგორმე „გადახალისოს“ ბურჟუაზიული მეურნეობა, გამონახოს საუკეთესო ფორმები მისი განვითარების. იღწვის ე. წ. სამეურნეო დემოკრატიისათვის. რაც შეეხება პროლეტარიატის ავანგარდს—კომუნისტურ პარტიას, რომელზედაც ლაპარაკობს ამხ. ამაღლობელი, მას არავითარი განზრახვა ბურჟუაზიული მეურნეობის გადახალისებისა არა აქვს. ამ კონტექსტში უკვე გასაგებია ავტორის მეორე კიდევ უფრო არქი-გადახალისებური დებულება: „ჩვენის იდეოლოგიით ჯერ კიდევ დიდხანს ვერ დავიმორჩილებთ ბურჟუაზიას, რომ მან თავი დასდოს რევოლუციისათვის-ო“.

ამაღლობელი სწუხს იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ დიდხანს ვერ დავიმორჩილებთ ბურჟუაზიას, რომ მან მსხვერპლად მიიტანოს თავი რევოლუციის ინტერესებისათვის. კიდევ არაფერი რომ ამ სიტყვებში: „ჩვენის“, ამხ. ამაღლობელი მხოლოდ თავის თავს გულისხმობდეს და არ აზოგადოებდეს მას.

ამხ. ამაღლობელი გვსაყვედურებს: „ამხ. დემეტრაძე სწერს, თითქოს მე ვფიქრობდე ბურჟუაზიის დაპყრობას კომუნისტური იდეოლოგიით (ვფიქრობთ, რომ ამის უფლებას არავინ მისცემს ამაღლობელს)... დიდი ხნის შემდეგ ხომ ბურჟუაზია აღარ იარსებებს (თუ გადახალისდება?)“. კიდევ კარგი, რომ ამხ. ამაღლობელმა ის მაინც სთქვა, „რომ დიდი ხნის“ შემდეგ ბურჟუაზია აღარ იარსებებს. ცნობილია, რომ ფაქტების ენა ყველაზე უფრო სწორუპოვარია. ასეთივე ფაქტია ისიც, რომ ამხ. ამაღლობელი მართლაც ფიქრობს ბურჟუაზიის კომუნისტური იდეოლოგიით დამორჩილებაზე. იმის დასამტკიცებლად, რომ ამხ. ამაღლობელი მორალს ყველაფერის საფუძვლად ხდის და მასში ეძიებს იდეათა და მთელი ეპოქების სტილის წარმოშობის საბოლოო მიზეზებს ჩვენ მისი წიგნიდან მოვიყვანთ კიდევ ერთ ადგილს. ის სწერს: „განვიხილავთ ბერძნულ ქანდაკებას, ხუროთმოძღვრებას, თუ თეატრს, **ჩვენ ბერძნული ზნეობის ატმოსფერაში ვხედავთ მათ საფუძვლებს** (?!) ავიღებთ რომის ცირკს, სქოლასტიურ ქრისტიანულ ესთეთიკას, გოტიურ ხუროთმოძღვრებას, როკოკოს სტილს, რეალისტურ, დეკადენტურ, ექსპრესიონისტულ თუ ფუტურისტულ ხელოვნების სახეებს, ჩვენ ვხედავთ მათი ეპოქის ადამიანთა სულისკვეთებას, **მორალურ სულიერ ემოციების კონკრეტიზაციას** ხელოვნებაში. ავიღებთ ბეტხოვენს ხუროთ-მოძღვრებას, ჩვენს წინაშეა... **საერთო მორალური ატმოსფერის პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენა** (იხ. გვ. 31. ხაზი ჩემია, დ. დ.). როგორც მკითხველი ხედავს, თურმე არ არსებულა სულიერ შემოქმედების არც ერთი სფერო, დაწყებული ბეტხოვენის ხუროთმოძღვრებიდან და გათავებული ფუტურიზმით, რომლის საფუძველი ზნეობის ატმოსფერაში არ იყოს. ამხ. ამაღლობელი მორალს დამოუკიდებელ ფაქტორის მნიშვნელობას აწერს. აი ფაქტები. იგი სწერს: **„მორალური ტემპერატურის შემცირებამ გამოიწვია აზროვნებისა და ხელოვნების უკან დახევა** (იხ. გვ. 22. ხაზი ჩემია დ. დ.). ვეკითხებით ამხ. ამაღლობელს, სად ლაპარაკობს მარქსი, ენგელსი, ლენინი და სხვა, რომ „მორალური ტემპერატურა“ იწვევს აზროვნების შემცირებას და სხვ. ამას მხოლოდ ამაღლობელი თუ იტყვის. კიდევ: „ვისაც სურს ხელოვნების ანალიზი, ის არ უნდა ივიწყებდეს ეპოქის მატერიალურ კულტურის ვითარებას, **მაგრამ მას მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს ხელოვნების უშუალო ფაქტორი—ეპოქის მორალური ტემპერატურა“.** (იხ. გვ. 24, ხაზი ჩემია, დ. დ.) აქ უკვე მორალისტი ამაღლობელი მთელი თავის სიგრძე სიგანით სდგას ჩვენს წინაშე. **„როცა ირღვევა მორალი,**—ამბობს ამხ. ამაღლობელი,—**სოციალისტური რევოლიუცია, მსგავსად საფრანგეთისა და რუსეთის, ამსხვრევს საუკუნოებით განმტკიცებულ უფლებრივ და ზნეობრივ ნორმებს, გრძნობებს, შეხედულებებს,** თეატრი შედის კრიზისის პერიოდში“. (იხ. გვ. 88, ხაზი ავტორისაა დ. დ.). ნუ თუ საჭიროა უფრო მეტი მდაბლებელ ფაქტების მოყვანა. ნუ თუ კიდევ მოგვთხოვს ამაღლობელი ახალ საბუთებს.

ამხ. ამაღლობელმა უნდა იცოდეს, რომ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების ძირეულ გარდატეხას, ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია ცვლის მეორეს და კაცობრიობაც შედის სოციალურ კატაკლიზმების პერიოდში, მაშინ მორალს ეკარგება ყოველგვარი ძალა. მთავარ სტიმულებს მაშინ წარმოადგენენ ეკონომიური ინტერესები და არა მორალი, როგორც ეს გონია ამხ. ამაღლობელს. ვფიქრობთ, რომ ამ ნგრევის დროს მორალზე ალბად ამაღლობელის მეტი არავინ ფიქრობს.

ამხ. ამაღლობელი გამოსთქვამს აღშფოთებას იმის გამო, რომ დაწერა „სპეციალური“ ხასიათის წიგნი და სწორედ ამ სპეციალურ საკითხებზე არაფერი არ თქმულა. აშკარად უნდა განვაცხადოთ, რომ არავითარი პრეტენზია კინო-საკითხებში სპეციალისტობისა არ გვქონია და არც გვაქვს. თუ წინა წერილში მაინც შევეხეთ ამაღლობელის ერთ-ერთ „აღმოჩენას“ კინოს სფეროში, ეს იმიტომ, რომ პირდაპირ არა სპეციალისტისათვისაც კი ცხადი იყო ის უხეში შეცდომა, რომელსაც ამაღლობელი სჩადის. ჩვენთვის უმთავრესად საინტერესო იყო წიგნის მეთოდოლოგიური ნაწილი და ჩვენი თემაც მხოლოდ ამით შემოვფარგლეთ. ამხ. ამაღლობელის ასეთ განცხადებას არავითარი საფუძველი არა აქვს, ვინაიდან ჩვენი განზრახვა არ ყოფილა დაწვრილებითი რეცენზიის დაწერა წიგნის შესახებ.

ამხ. ამაღლობელს უნდა მოვახსენოთ, რომ კულტურულ ქვეყანაში ასეთ წიგნებს და ყოველ შემთხვევაში დილეტანტობას ნაკლები გასავალი უნდა ჰქონდეს. ჩვენშიაც უნდა შემუშავდეს ეს ტრადიცია. მოხალისეობა მართლაც ყველაფერში შეიძლება, მაგრამ არა იდეოლოგიაში და რაც მთავარია, არა ისეთ იდეოლოგიაში, როგორიცაა მარქსიზმი და ლენინიზმი. ამ შემთხვევაში, როცა წიგნს რეზოლიუციები თანდართული აქვს, მაშინ ავტორს თავისი შეხედულებები შეუძლია უფრო ადვილად „კონტრაბანდული“ წესით გაასაღოს პარტიის შეხედულებებათ. სახელგამმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს წიგნების შერჩევას და არ გამოუშვას ბაზარზე იდეოლოგიური ვარჯიშობის ისეთი ნიმუშები, როგორიცაა ამაღლობელის „თეატრისა და კინოს პრობლემები“.

დ. დემეტრაძე.

ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაულის შედეგები

დამთავრდა ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის პირველი დღესასწაული, რომელიც გრძელდებოდა 23 ივნისიდან 2 ივლისამდე. დღესასწაულში სულ მონაწილეობა მიიღო 750 ფიზკულტუროსანმა.

გუშინ, მთავარმსაჯთა კოლეგიამ ჯამი გაუკეთა დღესასწაულის დროს ჩატარებულ შეჯიბრებათა მიღწევებს, მსაჯთა კოლეგიამ დააწესა ინდივიდუალური პირველობა ფიზკულტურის სხვადასხვა დარგში. თანახმად ამ დადგენილებისა, პირველობა ერგებათ დღესასწაულში მონაწილე შემდეგ ფიზკულტუროსნებს:

მძიმე მძლეოსნობა

სიმძიმეების აწევაში: პირველი ადგილი აიღო აკოპიანმა (სომხეთი) მეორე— ცერალოვამ (საქართველო), ხოლო მესამე—ნუნიანმა (აზერბეიჯანი).

ფრთის წონა: პირველი ადგილი აიღო ძეკონკიმ (საქართველო), მეორე— მოიკარიანმა (სომხეთი) მესამე— კოპლატაძემ (აზერბ.) ხუთჭიდში პირველობა აიღო პილნოვმა (საქართველო).

მჩატე წონა: პირველი ადგილი დაიკავა ზაუტაშვილმა, (საქართველო), მეორე— მნაცაკანიანმა (სომხეთი),

მსუბუქი წონა: პირველი ადგილი—სიმონიანმა (სომხეთი), მეორე ადგილი—ჭინჭარაძემ (საქართველო), მესამე—მერკურიომა (აზერბ)

საშუალო წონა: პირველი ადგილი—კოსტავამ (საქართველო), მეორე— აკოპიანმა (სომხ.) მესამე— მურადოვმა (აზერბეიჯ.).

ერგ-მძიმე წონა: პირველი ადგილი— გოლნერმა (საქართველო), მეორე—ანანიკიანმა (აზერბ.), მესამე—ტოფჩიევმა (სომხ.).

მძიმე წონა: 1-ლი ადგილი—განიფულმა (საქ.) მეორე—გლაზერმა (აზერბეიჯანი), მესამე—მალუგიანმა. (სომხეთი).

ფრანგულ ჭიდაობაში

ბუზის წონა: პირველი ადგილი დაიკავა ვარუნიანმა (სომხეთი); ფრთის წონა: პირველი ადგილი დაიკავა გაჯიევმა, მეორე— თარხანოვმა (საქართველო); მჩატე წონა: პირველი ადგილი—ოგანეზოვმა (საქართველო), მეორე—ბაზშალიევმა (აზერბ.). მესამე— ხარკსოვმა (სომხეთი),; მჩატე წონა: პირველი ადგილი დაიკავა აკოპიანმა (საქართველო). მეორე—ხტეპანიანმა, (აზერბ.), მესამე ხაჩატურიანმა (სომხეთი); საშუალო წონა: პირველი ადგილი—ასლანოვმა (აზერბ.), მეორე—პილნოვმა (საქართ).; ერგმძიმე წონა: პირველი ადგილი—სიტკოვმა (აზერბ.). მეორე— შახნაზაროვმა (საქართველო); მძიმე წონა: პირველი ადგილი დაიკავა ჭიჭინაძემ.

ფარიკაობაში

ხიშტით ფარიკაობაში პირველი ადგილი დაიკავა კატაევმა (საქართველო), მეორე— გოროშენკომ (სომხეთი). მესამე— სურმავამ (საქართველო); ესპადრონებით ფარიკაობაში—პირველი ადგილი დაიკავა ვერულაშვილმა (საქართველო). მეორე— ვაგიმმა (საქართველო),—მესამე გოროშენკომ (სომხეთი).

მსუბუქ მძლეოსნობაში

ქალთა სამჭიდში პირველი ადგილი დაიკავა ფომინამ (აზერბ). მეორე ოვსიანიკოვამ (საქართველო), მესამე—ტიმოფეევამ (საქართველო).

ქალთა ხუთჭიდში პირველი ადგილი დაიკავა—ოვსიანიკოვამ (საქართველო), მეორე— თუგულოვამ (აზერბ).

ვაჟთა ხუთჭიდში პირველი ადგილი დაიკავა საყვარელიძემ (საქართველო), მეორე ხამარდუკოვმა (აზერბ), მესამე— მალიშკოვმა (საქართველო).

ვაჟთა ათჭიდში პირველი ადგილი დაიკავა სემიონოვმა (საქართველო) მეორე—საყვარელიძემ (საქართ), მესამე— მაკაროვმა (აზერბ.)

-ქალთა ამანათრბენი 4× 100. პირველი ადგილი დაიკავა საქართველომ; მეორე აზერბეიჯანმა, მესამე სომხეთმა.

ქალთა შერეული ამანათრბენი. (400+300+200+100). პირველი ადგილი დაიკავა აზერბეიჯანმა, მეორე—საქართველომ.

ვაჟთა ამანათრბენი (4×100). პირველი ადგილი დაიკავა საქართველომ, მეორე—აზერბეიჯანმა; მესამე—სომხეთმა.

ვაჟთა შერეული ამანათრბენი (800+400+200+100) პირველი ადგილი დაიკავა აზერბეიჯანმა, მეორე—საქართველომ, მესამე სომხეთმა.

რბენა 8 კილომეტრზე. პირველი ადგილი დაიკავა სომხეთმა, მეორე საქართველომ, მესამე აზერბეიჯანმა.

ქალთა რბენა 1500 მეტრზე. პირველი ადგილი დაიკავა აზერბეიჯანმა, მეორე—სომხეთმა, მესამე—საქართველომ.

ქალთა რბენა 60 მეტრზე. პირველი ადგილი დაიკავა ზალდასტანიშვილმა (საქართველო), რომელმაც დაამყარა ამიერ კავკასიის ახალი რეკორდი. მეორე სიზოვამ (აზერბ). მესამე ბულინდინამ (საქართ).

მეორე სიზოვამ (აზერბ.), მესამე ბულინდინამ (საქართველო).

ქალთა რბენა 100 მეტრზე. პირველი და მეორე ადგილი გაიყვეს ზალდასტანიშვილმა და ტიმოფეევამ. (საქართველო), მესამე ადგილი დაიკავა დიუსუშემ (აზერბ.).

ქალთა რბენა 500 მეტრზე. პირველი ადგილი დაიკავა მოტორინამ (აზერბ), მეორე ხირებრიანსკაიამ. მესამე—მედვედევამ.

ვაჟთა რბენა 100 მეტრზე. პირველი ადგილი დაიკავა კუზმოვმა (აზერბ), მეორე შვარცბაიამ (საქართველო), მესამე — სამარდუკოვმა, (აზერბ).

ვაჟთა საბარიერო რბენა 110 მეტრზე. პირველი ადგილი დაიკავა სემიონოვმა (საქართ), მეორე მიშენკომ (აზერბ.), მესამე— მაკაროვმა.

800 მეტრზე რბენაში სამივე პირველი ადგილი დაიკავეს აზერბეიჯანის ფიზკულტუროსნებმა.

რბენა 1500 მეტრზე. პირველი ადგილი დაიკავა ანდრიასოვმა (აზერბ.). მეორე მალიშკოვმა (საქართველო) მესამე ქარუმიძემ (საქართ.),

მსუბუქი მძლეოსნობის დანარჩენი დარგებსა და სპორტიულ თამაშობებში შეჯიბრებების შედეგები ჯერ მსაჯთა კოლეგიას არ გამოურკვევია.

ფეხბურთი

ა. კ. ფიზკულტურის დღესასწაულის მთავარ მსაჯთა კოლეგიის დადგენილებით უნდა ჩატარდეს საქართველოს და აზერბეიჯანის ფეხბურთელთა გუნდების მატჩის ხელმეორედ გათამაშება. მატჩი გაიმართება ერევანში ამ თვის შუა რიცხვებში.

თბილისის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“-ა

ჭადრაკი

ა.-კ. მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატი

მერვე ტური

ებრალიძე—მაკაგონოვი. დებიუტშივე პარტია გაჩვითარდა საყაიმო ვარიანტით, მაგრამ შუა თამაშში ებრალიძის პოზიცია შესუსტდა. მაკაგონოვმა ვერ ისარგებლა ამ გარემოებით და საშუალება მისცა თეთრებს დროზე დაეცვა თავი. რამდენიმე სვლის შემდეგ მაესტრომ მოიგო ხარისხი, მაგრამ მალე დაკარგა ორი პაიკი. მე-40-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი შეთანხმდნენ პარტიის ყაიმით დამთავრებაზე.

აბრამიანი—ილინ-ჟენევსკი. (ფრანგული). მდგომარეობის გამწვავების თავიდან აცილების მიზნით, აბრამიანმა ზედიზედ გასცვალა რამდენიმე ფიგურა, შეეცადა პარტია დაემთავრებინა ყაიმით და მოწინააღმდეგის მოუსპო შეტევის საშუალება. მან მართლაც მალე მიაღწია მიზანს. მე-20 სვლაზე პარტია დამთავრდა ყაიმით.

ბადალი—გოგლიძე. (სიცილიური). კომბინატორული სვლით გოგლიძემ დებიუტშივე შესძლო თეთრებისათვის პაიკის მოგება და იერიშზე გადასვლა. მოფიქრებულმა თამაშის წყალობით ბადალმა კარგად დაიცვა თავი, ლიკვიდაცია უყო მოწინააღმდეგის გამსვლელ პაიკს, რის შემდეგაც პარტია დამთავრდა ყაიმით.

როსტოვცევი—სმოროდსკი. (ლასკერის პაიკების დებიუტი). თეთრებმა დებიუტში მდგომარეობა შეავიწროვეს სმოროდსკის პოზიცია, რომ უკანასკნელი იძულებული გახდა მოწინააღმდეგისათვის უკომპენსაციოდ მიეცა პაიკი. შემდეგში როსტოვცევმა გულმოდგინეთ დაიწყო თამაშში მოგებისათვის. უარჰყო სმოროდსკის წინადადება პარტიის ყაიმით დამთავრების შესახებ, მაგრამ ბოლოს, როგორც ხშირად ხდება ასეთ შემთხვევაში, პარტია წააგო.

იმენიტოვი—ტალციკი. (ფილიდორის დაცვა). დებიუტში ტალციკმა შესძლო მოწინააღმდეგის მეფეზე ძლიერი იერიში მიეტანა რამაც მე-33-ე სვლაზე პარტია გადასწყვიტა მის სასარგებლოთ.

კარჩიკიანი—სოროკინი. (ლასკერის პაიკების დებიუტი). ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ სოროკინმა დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგე.

ავეტისოვი—ტოტევიანი. მცირე ხნის ბრძოლის შემდეგ თეთრებმა მოუგო ტოტევიანს.

მატეოსიანი—მალუნცევი. (სიცილიური). შავებმა შესძლო მოწინააღმდეგის პოზიციის შესუსტება, გადავიდა შეტევაზე და მე-31-ე სვლაზე მოუგეს მოტეოსიანს პარტია.

მერვე ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: ილინ-ჟენევსკი+6 ნახ. მაკაგონოვი, გოგლიძე და ებრალიძე+6, აბრამიანი+4 ნახ. და ერთი დაუმთავრებელი, ბადალი და მალუნცევი+4 ნახ. ტალციკი და სმოროდსკი+4 და თითო დაუმთავრებელი, ავეტისოვი+4, როსტოვცევი+3 ნახ., სოროკინი+2 ნახ. და ერთი დაუმთავრებელი, კარჩიკიანი+2, იმენიტოვი+1 ნახ. მატეოსიანი+ნახ. და ტოტევიანი 0.

მეცხრე ტური

დღეს, 4 ივლისს, საღამოს 6 საათზე შესდგება ჩემპიონატის მეცხრე ტური. თამაშობენ: ავეტისოვი—გოგლიძე, კარჩიკიანი—მაკაგონოვი, მატეოსიანი—ტოტევიანი, აბრამიანი—სოროკინი, ილინ-ჟენევსკი—მალუნცევი, სმოროდსკი—ებრალიძე, ტალციკი—ბადალი, იმენიტოვი—როსტოვცევი.

ვ. გოგლიძე.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 4 ივლისი

დღეს, 4 ივლისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

სამომხმარებლო კოოპერაციის მიღწევები საქართველოში—მოხსენება ქართულ ენაზე.

მუშათა რადიო-გაზეთი № 2 —ქართულ ენაზე.

თბილისის მუშკოოპის მიღწევები—მოხსენება ქართულ ენაზე.

დაქირავებული შრომა საქართველოში—მოხსენება ქართულ ენაზე.

სას.-სამეურნეო კოოპერაციის ამოცანები სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში—მოხსენება რუსულ ენაზე.

კოოპერაცია ჩვენში და დასავლეთ ევროპაში—სომხურ და თურქულ ენებზე.

თავდაცვა-ავიაქიმის კვირეულის ამოცანები—თურქულ ენაზე.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

საფოსტო ყუთი.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

მოხსენებებს შუა—მუსიკალური ნომრები.

რკინისგზებზე

10 შემთხვევა

ამ დღეებში შემთხვევებთან მებრძოლმა კომისიამ განიხილა 10 საქმე. საერთო ზარალი აღემატება 40.000 მანეთს. დამნაშავენი დასჯილი არიან ადმინისტრატიულ-დისციპლინარულ წესით.

მატარებლების გზაში გაჩერება

2 ივლისს ადგილი ჰქონდა მატარებლების გაჩერებას სოლუთ-ბულახ-ბეუკ-კასიკის გადასარბენზე ორჯერ. შეჩერება გამოწვეული იყო დიდი წვიმისა და მატარებლების ზედმეტად დატვირთვისაგან.

მატარებლის გაწყვეტა

2 ივლისს ახალ-სენაკ-ქვალონის გადასარბენზე გაწყდა მატარებელი № 227, რის გამო მოძრაობა შეფერხდა 2 საათით.

ლიანდაგიდან გადავარდნა

2 ივლისს სად. ბაქო მე-2 ლიანდაგს ასცდა ორთქლმავალი, რომელიც მხოლოდ გუშინ იქნა ამოღებული. იმავე დღეს სად. ბაქო 1-ლში ლიანდაგიდან გადავარდა ბაქოს რკინისგზელთა კავშირის ვაგონი.

სპეცტანისამოსი რკინისგზელებისათვის

1928-29 სამეურნეო წლისათვის სპეცტანსამოსის დასამზადებლად ა.-კ. რკ. გზათა გამგეობამ გამოაცხადა საჯარო ვაჭრობა. საჯარო ვაჭრობა სპეცტანისამოსისა და ფეხსაცმელების დასამზადებლად უკვე დასრულდა და შედეგიც ასეთია: სულ უნდა დამზადდეს 594.749 მან. სპეცტანისამოსი. აქედან სომხეთის შრომის საწარმოო კოლექტივი დაამზადებს—134.685 მანეთის სპეცტანისამოსს, სააქციო საზოგადოება „მკერავი“—84.345 მან. „აზტექსტილი“—17.005 მან., საქართველოს მშრომელ ქალთა ნადი—42.252 მან., მოსკოვ-შუა-აზიის რკინის გზები—1.530 მან., საკავშირო სამრეწველო კოოპ. კავშირი—11.660 მან. ტვერის შინა-მრეწველთა კავშირი—10.360 მან., „მოსზაგ“-ი—199.843 მან., რეზინის ტრესტი—2.114 მან. და სამასალო დარგი—4.893 მან. გარდა ამისა, შესყიდული იქნება ადგილობრივ ბაზარზე ბრეზენტი და სხვა მასალები დაახლოვებით—86.061 მან. 15 კაპ.

სპეცტანსაცმელის თავის დროზე დამზადების მიზნით ჩამოთვლილ ორგანიზაციებს გაეცათ სათანადო ავანსები.

გარდა ამისა რკინისგზათა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. სახკომსაბჭოს წინაშე რათა შემოზიდვის გეგმაში შეტანილი იქნეს 55.000 მეტრი ბრეზენტის და 7.500 მეტრა ბაზმის ქსოვილის შემოტანა ა.-კ. რკინის გზებისათვის.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 4 ივლისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: იაკობ ღლონტი, ელენე ივანიძე—ვაჩნაძისა, ვლადიმერ ქიქილაძე, ოლღა ხელადაშვილი, ნინო ხონელიძე, თამარ კერკალიძე, მარიამ კლიმოვა, ანა ბახჩიევა. დარია ლობჟანიძე, ბაქტორ მგელაძე, თამარ კვერნაძე, სათენიკ სარუხანოვა, ანა შიხაშვილი, მარიამ მახმურაძოვა, ზინაიდა მირიანოვა, ოლღა მეირტმოვა, მარგარიტა მეგრაბოვა, არჩილ მჩეიძე, სოფიო ჩიქოვანი, ვერა ჩხაიძე, თამარ მგალობლიშვილი, ა. კონტრიძე, ელისაბედ არეშიძე, ევა ღვთისავრიშვილი, ნ. მელიმონაძე, ოლღა კუზნეცოვა, ანა ზეკოვსკაია, ნატალია ადამოვა, ანი სადაშვილი, კალისტრატე შარაშენიძე, დავით შერვაშიძე, ნინო კაპანაძე, ნინო ფღავა, მარიამ ციციშვილი, მიხეილ გაბუნია, ქეთევან კვანტალიანი, იონა შანიძე, მარინე ინანიშვილი, ელისაბედ ჭიჭინაძე, ლიუბა ჭიჭინაძე, ლიდია ანჯაფარიძე, ანა ჩიჯავაძე, ალექსი ფცხელაური, ელენე გიორგაძე, გრიგოლ ქაჩიძე, ანეტა ჭავჭანიძე, ტასია არონიძე, ანასტასია გაზაშვილი, თამარ ეოფიკაშვილი, შოთა მაქელაძე, ელისაბედ სულხანიშვილი, ალექსანდრე გვასალია, ელენე ძაგანია, მარიამ ჩოლოყაშვილი, გიორგი ფანცხავა, ივანე იოსელიანი, აკაკი ბერიშვილი, მარიამ შოთაძე, მარიამ ჟუჟუ, თამარ გვრიტიშვილი, სიმონ ვაჩაძე, გრიგოლ ბერიძე, მიხეილ გარიშენკო, პავლე ხარაძე, ევგენია ყანჩელი, გრიგოლ სუმბულიძე, ლევან მეფარიშვილი, ივანე გაბაშვილი, ნიკოლოზ თარხნიშვილი, ილია კიკალიშვილი, დავით სიხარულიძე, სერგო ჯიქია, ვერა დემურიშვილი და ნინო ცინცაძე.

სავაჭრო მუშაკთა სექციიდან: პეტრე ლომთათიძე, ალექსანდრე ელშიევი, ფილიპე პიგოლიტოვი, ირაკლი აბაშიძე.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: მ. არუთინოვი, სარიბეკ ოგანოვი და კარაპეტ აივაზოვი.

მეცნიერება და ტეხნიკა

მზის ლაქები

ამერიკელ ასტრონომების დაკვირვების თანახმად, მზის ლაქების რაოდენობა, რომელმაც 1927 წ. მარტში მაქსიმუმს მიაღწია, ამ დროიდან დაწყებული განუწყვეტლივ კლებულობს როგორც ჩანს, გარკვევით შეიძლება ითქვას. რომ მზის ლაქების მაქსიმუმის პერიოდი დასრულდა და იწყება მინიმუმის პერიოდი. ჩვეულებრივ მზის ლაქების მაქსიმუმები ერთმანეთისგან დაშორებულია 11 წლით. უკანასკნელი მაქსიმუმები იყო 1908 და 1919 წლებში. ამრიგად, ახლანდელი მაქსიმუმი დასრულდა არა ათი წლის შემდეგ, როგორც ჩვეულებრივ, არამედ 9 წლის შემდეგ.

მზის ლაქების წარმოშობის კანონზომიერების ასეთი დარღვევა იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს. უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში აღნიშნულია მხოლოდ ერთი ამგვარი შემთხვევა. სახელდობრ-1857 წ. როცა მაქსიმუმი განმეორდა 8 წლის შემდეგ წინა მაქსიმუმიდან (1849 წ.).

თანამედროვე მეცნიერთა აზრით, მზის ლაქები წარმოადგენენ მაგნიტურ გრიგალებს, რომელთაც ადგილი აქვს მზის ზედაპირზე. ლაქების სიდიდე და მათი რაოდენობა დამოკიდებულია გრიგალების ინტენსივობაზე. მზის ლაქების რაოდენობას დიდი მნიშვნელობა აქვს მეტეოროლოგიურ და კლიმატიურ მოვლენებისათვის დედამიწაზე. კერძოდ, მზის ლაქების რიცხვის გადიდება იწვევს მზის ულტრა- იისფერი გამოსხივების ინტენსივობის ზრდას. ეს გამოსხივების ინტენსივობა მერყეობს 50—100 პროც. ფარგლებში.

სურათების გადაცემა რადიოთი ინგლისში

ინგლისის რადიო-საზოგადოებები ემზადებიან შორ მანძილზე სურათების გადაცემის საქმის ორგანიზაციისათვის. გადაცემას რეგულარული ხასიათი ექნება. მიმდინარე წლის დამლევისათვის ინგლისის რადიო-სადგურები ყოველდღიურად გადასცემენ ფოტოგრაფიულ სურათებს.

გასაყიდათ არის გამოშვებული სურათების ასაღები რადიო-აპარატები. აპარატს ეწოდება „ფულტოგრაფი“ (მისი გამომგონებლის ინგლისელ ფულტონის გვარის მიხედვით). აპარატი იმდენად მარტივია, რომ მისი გამოყენება ადვილად შეუძლია ყველა რადიო-მოყვარულს. სურათების მიმღებ აპარატის შეერთება შეიძლება ყოველგვარ ლამპიან მიმღებ რადიო-აპარატთან. ერთი ფოტოგრაფიის გადაცემის პროცესი 3—4 წუთს მოითხოვს.

ლონდონის რადიო-გადამცემ სადგურს განზრახული აქვს შემოიღოს მოძრავ საგნების სურათების გადაცემა, უკვე არის მოწყობილი სტუდია, საიდანაც გადაცემული იქნება ნაწყვეტები პიესებიდან, გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა და მეცნიერთა გამოსვლა, ბოქსის მატჩი და სხვ. ცდებმა, რომლებიც ამ რამდენიმე ხნის წინად ჩაატარეს, დაამტკიცა, რომ მოძრავ სურათების გადაცემა კარგად (გარკვევით) შეიძლება მიღებულ იქნეს ლონდონიდან 200 კილომეტრის მანძილზე.

იურიდიული დახმარება

ბენიამინ გიორგობიანს, (სოფ. თხმორი, რაჭის მაზრა)

კითხვა:

მინდა ჩემს სოფელში, ჩემ ძმისაგან შევისყიდო ერთი პატარა ქვიტკირის საფუძველზე აგებული და ქვიტკირის ორი კედლით სახლნახევარ ქცევა ადგილით.—რჩევისათვის მივმართე ადგილობრივ სახ. სასამართლოს, რომელმაც შესყიდვის ნება არ მომცა. ვარ კავშირის წევრი და ამჟამად ვმუშაობ თბილისში ერთ-ერთ ქარხანაში მუშად. ჩემი ცოლშვილი ცხოვრობს სოფ. თხმორში, სადაც მაქვს მიწა არა უმეტეს ნახევარ ნორმისა. გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენად კანონიერია სასამართლოს მოქმედება.

პასუხი:

თუ თქვენ სამოსახლო ადგილი გაქვთ, მაგრამ მასზე არაა აგებული საცხოვრებელი შენობა, შეგიძლიათ მიმართოთ მაზრის საადგილმამულო განყოფილებას თხოვნით, რათა მოგეცეთ თქვენი ძმის სამოსახლო ადგილი შრომით სარგებლობაში, იმ პირობით, რომ შეისყიდოთ შენობა ძმისა ან იმ კომლის, რომელშიც თქვენი ძმა წევრად ითვლება, თუ თქვენი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა, თქვენ კუთვნილი სამოსახლო ადგილი ჩამოგერთმევათ, მაგრამ თუ თქვენ სამოსახლო ადგილზე შენობა გაქვთ, იმ შემთხვევაში მეორე სამოსახლოს მიღების საშუალება არ მოგეცემათ. ამ შემთხვევაში გამოსავალი ისაა, რომ თქვენ ლიკვიდაცია უნდა გაუკეთოთ საკუთარ შენობას იმავე წესით, რა წესითაც ერთისაგან მეორეზე უნდა გადავიდეს შენობა ადგილთან ერთად, ე. ი. შენობის შემძენს, წინასწარ უნდა გადაეცეს მიწა მაზრის საადგილმამულო განყოფილების მიერ და მასთან უნდა მიიღოს მიწა განყოფილებისაგან ის მიწა, რომელზედაც ძმის შენობაა.

მოსე ლარიგაშვილს

კითხვა

სოფ. მეტეხში მაქვს სახნავი მიწა და ვენახი. ორივეს ფართობი ერთად უდრის ნახევარ დესეტინას. მე ვმსახურობ ქ. თბილისში ტრამვაის კონდუქტორად ჯამაგირს ვღებულობ 47 მან. 50 კაპ. ოჯახში მყავს 3 სული. სასოფლო სამეურნეო გადასახადი მომაწერეს 13 მან. 17 კაპ. გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენი მეკუთვნის სასოფლო - სამეურნეო გადასახადი.

პასუხი

თუ თქვენ არ ეწევით სას.-სამეურნეო მუშაობას სას.-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშების დროს, თქვენი სამსახურიდან შემოსავალი თანხა არ იანგარიშება და თქვენი მეურნეობის შესახებ აღნიშნულ ცნობების მიხედვით გადასახადი სრულებით არ გადაგხდებათ, მაგრამ თუ თქვენ გარდა მიწისა, გყავთ საქონელი, (ძროხა, ხარ-კამეჩი), მაშინ თქვენი შემოსავალი ამის მიხედვით იანგარიშება. ამიტომ შეუძლებელია ითქვას, სწორად არის გამოანგარიშებული გადასახადი თუ არა.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 20

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სასამართლოს წყობილების დებულების 103 და 104 მუხლების შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლისამებრ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სასამართლოს წყობილების დებულების 103 და 104 მუხლები შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

მუხ. 103. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე და საკასაციო და სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარენი შეადგენენ უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს, რომელსაც დაეკისრება:

1. უზენაესი სასამართლოს და მასთან არსებულ დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მართველობის სფეროში:

ა) მოვალეობის განაწილება უზენაესი სასამართლოს წევრთა შორის.

ბ) უზენაეს სასამართლოს წევრთაგან სასამართლოს სპეციალური შემდგენლობის დანიშვნა იმ ცალკე საქმეთა გამო, რაც უნდა განიხილონ სასამართლო კოლეგიებმა;

გ) ცალკე კოლეგიების ანგარიშების გადათვალიერება და დამტკიცება და უზენაესი სასამართლოს ანგარიშების შედგენა.

2. სასამართლო დაწესებულებათა ზედამხედველობის სფეროში:

ა) სამაზრო და სახალხო მოსამართლეების დახასიათებათა განხილვა, რასაც უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს წარუდგენენ საკასაციო კოლეგიები მათ მიერ საკასაციო და ზედამხედველობის წესით განხილულ საქმეთა მიხედვით;

ბ) წინადადების წარდგენა იუსტიციის სახალხო კომისარიატისათვის სამაზრო და სახალხო სასამართლოების მორიგი რევიზიებისა, ამ სასამართლოების პირადი შედგენილობის შეცვლისა და სამაზრო და სახალხო სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო დირექტივების მიცემის შესახებ. ახსნა-განმარტებისათვის სამაზრო და სახალხო მოსამართლეების გამოწვევით ან უამისოდ;

გ) რესპუბლიკის პროკურორის წინადადებით და საკუთარი თაოსნობით, კერძოდ, იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასტურით, საკასაციო კოლეგიების წარდგენის თანახმად, სამაზრო და სახალხო სასამართლოების სპეციალური რევიზიის დანიშვნა, ამ რევიზიის შედეგების განხილვა იმ სამაზრო მოსამართლის მოწვევით, რომელსაც რევიზია გაუკეთდა, და იუსტიციის სახალხო კომისრის ან მისი მოადგილის აუცილებელი დასწრებით;

დ) უზენაესი სასამართლოს კოლეგიებისა და რესპუბლიკის ყოველი სასამართლოს განაჩენისა, გადაწყვეტილებისა და დადგენილებების ზედამხედველობის წესით გაუქმების ან შეცვლის გამო, იმ საკითხების წინასწარი განხილვა, რასაც, სისხ. სამ. საპრ. და სამ. სამ. საპრ. კოდექსების წესისამებრ, შეიტანენ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი თავის დადგენილებებისამებრ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე, რესპუბლიკის პროკურორი ან უზენაეს სასამართლოსთან განწესებული მისი თანაშემწე, აგრეთვე ის პირი, ვინც თავმჯდომარეობდა უზენაეს სასამართლოს კოლეგიების სხდომებზე, და ამ კოლეგიების პროკურორები.

უკეთუ განსახილველი საქმის გამო საჭირო არ იქნება პრინციპიალური განმარტების მიცემა, უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმს უფლება აქვს არ შეიტანოს საქმე უზენაეს სასამართლოს პლენუმში და გამოიტანოს დადგენილება ზედამხედველობის წესით ამა თუ იმ საქმის გამო, მოცემული განაჩენისა, გადაწყვეტილების ან დადგენილების გაუქმების შესახებ და საქმე ხელახალი განხილვისათვის უზენაესი სასამართლოს სათანადო კოლეგიას გადასცეს;

ე) უზენაესი სასამართლოს წევრთა და სამაზრო და სახალხო მოსამართლეთა წინააღმდეგ სადისციპლინო წესით დევნის აღძვრა, როგორც სასამართლოების რევიზიის შედეგის მიხედვით ან საკასაციო კოლეგიების წარდგენის თანახმად, ისე რესპუბლიკის პროკურორის ცალკე შეტყობინების თანახმად, და ხსენებულ პირთათვის სადისციპლინო წესით სასჯელის დადება იმ უფლების ფარგლებში, რაც პრეზიდიუმს მინიჭებული აქვს;

ვ) უზენაესი სასამართლოს პლენუმის მოწვევა და მისთვის მასალის დამზადება.

შენიშვნა 1. მოხსენება მორიგი რევიზიის შედეგის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს განსახილველად იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს წყობილებისა და ზედამხედველობის განყოფილების მიერ უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმში.

შენიშვნა 2. პრეზიდიუმის სხდომებს, სათათბირო ხმის უფლებით, აუცილებლად დაესწრება უზენაეს სასამართლოსთან განწესებული თანაშემწე რესპუბლიკის პროკურორისა, ხოლო იმ საკითხების განხილვის დროს, რაც ზედამხედველობის გაწევას შეეხება, იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს წყობილებისა და ზედამხედველობის განყოფილების გამგე; ამასთანავე, უკეთუ ეს უკანასკნელი არ დაეთანხმება პრეზიდიუმის დადგენილებას ამა მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნულ საკითხების გამო, დადგენილება იგი გადაეცემა იუსტიციის სახალხო კომისარს საბოლოო გადაწყვეტისათვის.

მუხ. 104. უზენაესი სასამართლოს პლენარული სხდომა შესდგება ამ სასამართლოს ყველა თანამყოფ წევრისაგან, ხოლო არა ნაკლებ მთელი შედგენილობის ნახევარისა, რესპუბლიკის პროკურორის ან მისი თანაშემწის აუცილებელ დასწრებით, პლენარულ სხდომას დაეკისრება:

ა) კანონების განმარტება საპროცესო და მატერიალურ სამართლის დარგში სასამართლოს პრაქტიკის ყველა საკითხის გამო, რასაც აღძრავს უზენაესი სასამართლოს ცალკე კოლეგია ან ამა თუ იმ კოლეგიის სამსჯავრო სხდომის ცალკე შედგენილობა, ან უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი, ან რესპუბლიკის პროკურორი, ან უზენაეს სასამართლოსთან განწესებული მისი თანაშემწის წარდგენით. უზენაესი სასამართლოს პლენუმის განმარტება სავალდებულოა ყველა სასამართლო დაწესებულებისათვის, რომელიც-კი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედობს;

ბ) უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის იმ დადგენილების განხილვა და დამტკიცება, რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს სამსჯავრო და საკასაციო კოლეგიისა და რესპუბლიკის ყოველი სასამართლოს ისეთ გადაწყვეტილებისა და დადგენილებების გაუქმებას ან შეცვლას, რომელსაც უზენაეს სასამართლოს გადასცემს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი თავის დადგენილებებისამებრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და რესპუბლიკის პროკურორი, ან რომელზედაც პროტესტს შეიტანს კოლეგიის თავმჯდომარე ან პროკურორი;

გ) უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის ცირკულიარების დამტკიცება და უზენაესი სასამართლოს პლენუმში და პრეზიდიუმში შეტანილი სხვა საკითხების განხილვა;

დ) უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის არჩევა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. დ. აფციაური.

1928 წ.

თბილისი—სასახლე.

დადგენილება № 14

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოსი.

ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში მოქალაქეთა ჩაწერის შესახებ სახლის დავთარში

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ვინაობის მოწმობის შესახებ“ 1927 წ. დეკემბრის 29-ს გამოცემული (კან. კრ. № 12, მ. 176) დადგენილების დასამტკიცებლად და განსავითარებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყოველი მოქალაქე, რომელიც მივა ქალაქში ან ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას საცხოვრებლად, თუნდაც დროებით, ხოლო სამ დღეზე მეტი ხნით, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს თავისი მისვლა სახლის სამოურავოს (სახლის პატრონს ან მოიჯარადრეს), სასტუმროს ან საცხოვრებლად მოწყობილ სახლების პატრონს.

2. სახლის სამოურავო, სახლის პატრონი ან მოიჯარადრე ვალდებულია 72 საათის განმავლობაში შეიტანოს ცნობა მისული პირის შესახებ სახლის დავთარში და ჩანაწერი გაატაროს სათანადო სამილიციო სამმართველოს (რაიონის ან მაზრის) რეგისტრაციაში.

შენიშვნა: ამა მუხლის მოთხოვნა სასტუმროსა და საცხოვრებლად მოწყობილი ოთახების ადმინისტრაციამ უნდა შეასრულოს 12 საათის განმავლობაში, უკეთუ მდგმური საცხოვრებლად რჩება არა ნაკლებ 24 საათისა.

3. სახლის დავთარში ჩასაწერად საკმარისია ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი: ა) ვინაობის მოწმობა, რაც მოქალაქეს მიღებული აქვს თანახმად სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. დეკემბრის 29 დადგენილებისა „ვინაობის მოწმობის შესახებ“ (კან. კრ. 1927 წ. მე-12 №-რი, მუხ. 176); ბ) საბუთი (ან ძველი სამეტრიკო) ამონაწერი დაბადების ან ქორწინების შესახებ; გ) საინვალიდო წიგნაკი ან სხვა მოწმობა სამუშაოს ან სამსახურის ადგილისა; დ) პროფესიონალური კავშირის საწევრო წიგნაკი, ე) დოკუმენტი სასწავლებელში მოწაფედ ყოფნისა ან კურსის დამთავრების შესახებ; ვ) ვინაობის უვადო წიგნაკი, რაც გაცემულია საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 83 №-ის დადგენილების თანახმად.

4. უკეთუ მისულ პირს არც ერთი ზემოაღნიშნული დოკუმენტი არ ექნება, იგი შეიძლება ჩაიწეროს დროებით, ხოლო არა უმეტეს სამი თვისა. ჩაწერის სახლის დავთარში მისივე წერილობითი განცხადების მიხედვით, რაც ყველა საჭირო ცნობას უნდა შეიცავდეს.

შენიშვნა: მისული პირი ვალდებულია სამი თვის განმავლობაში წარადგინოს ამა დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნული ერთ-ერთი დოკუმენტი.

5. სახლის სამოურავო ვალდებულია მოთხოვოს მისულ სამხედრო-ვალდებულ პირს, საპასპორტო დოკუმენტის გარდა, პირადი წიგნაკი და სხვა დოკუმენტი, საიდანაც ჩანს მისი დამოკიდებულება სამხედრო სამსახურთან, „სამხედრო ვალდებულებათა აღრიცხვისათვის გამოცემულ სახელმძღვანელოს“ თანახმად.

6. სახლის დავთარში უცხოელი მოქალაქის ჩასაწერად საკმარისია უცხოელთათვის დაწესებული საცხოვრებელი მოწმობის წარდგენა.

7. სახლის სამოურავო ვალდებულია მოქალაქის საცხოვრებელი ადგილიდან წასვლა 2 დღის განმავლობაში სათანადოდ აღნიშნოს სახლის დავთარში და გაატაროს მილიციის სათანადო სამმართველოს (მაზრის ან რაიონის) რეგისტრაციაში.

8. სახლის დავთარში ჩასაწერად სხვისი დოკუმენტის წარდგენა, ყალბი დოკუმენტის გაკეთება, აგრეთვე ტყუილი ცნობის შეტანა წერილობით განცხადებაში (მუხ. 4) გამოიწვევს სისხლ. სამ. კოდ. 92 (1922 წ. რედაქციით) და 228 (1925 წ. რედაქციით) მუხ. გათვალისწინებულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

9. სახლის პატრონს, [illegible] სახლის სამოურავოს [illegible] დადგენილებით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის დაედება ადმინისტრატიული წესით ფულადი გადასახადი არა უმეტეს 25 მანეთისა.

10. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს დაევალება გამოსცეს ორი კვირის განმავლობაში ინსტრუქცია ამ დადგენილების შეფარდებისათვის.

11. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება ეძლევათ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, გაავრცელონ ეს დადგენილება, „საბინაო დავთარში მოქალაქეთა ჩაწერის შესახებ“, ამა თუ იმ დიდ სოფელზე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე— ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოვ. აღმ.—ს. სტეფანოვი.

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სახელმწიფოს მიერ სტუდენტ-სტიპენდიანტების შესანახად გაწეული ხარჯის ანაზღაურების თაობაზე 1927 წლის თებერვლის 28-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-7 მუხლის შენიშვნის რედაქციის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სტუდენტ-სტიპენდიანტების შესანახად სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯის ანაზღაურების შესახებ“ 1927 წლის თებერვლის 28-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (საქართველოს ს.ს. რესპუბ. კან. კრებ. 1927 წ. № 2 მუხ. 37) მე-7 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა. ყოფ. სტიპენდიანტს, რომელიც სავალდებულო სამსახურის ასრულებაზე უარს იტყვის ან ამ სამსახურის ასრულებას თავს აარიდებს,—გადახდება ყველა ხარჯი, რაც სახელმწიფომ გასწია მისი შენახვისა და სწავლებისათვის სასწავლებელში. გადახდევინებული თანხა შედის სასტიპენდიო ფონდში. ამას გარდა, აღნიშნული სტიპენდიანტი მიეცემა პასუხისგებაში საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 79^{2} მუხლის მიხედვით“.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე— ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე—ს. სტეფანოვი.

1928 წლის მაისის 18.

თბილისი — სასახლე.

დადგენილება

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მუშათა საბინაო კოოპერატიულ მშენებლობის დამხმარე კომიტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ 1925 წ. თებერვლის 9-ს თარიღით გამოცემული დადგენილებისა და იმავე რიცხვს დამტკიცებული „საბინაო კოოპერატიული მშენებლობის დამხმარე კომიტეტის დებულების“ გაუქმების შესახებ“.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ კავკასიის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტების ლიკვიდაციის თაობაზე“ 1923 წ. მარტის 7-ს თარიღით გამოცემული (ა. კ. სფსრ კან. კრ. 1928 წ. 6 №-რი, მუხ. 60) დადგენილების თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. თებერვლის 9-ს დადგენილება „მუშათა საბინაო კოოპერატიული მშენებლობის დამხმარე კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“ და იმავე რიცხვს დამტკიცებული „დებულება მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის შესახებ“.

2. დაევალოს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს მოახდინოს როგორც მასთან არსებული მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტისა, ისე ადგილობრივი დამხმარე კომიტეტების ლიკვიდაცია და მოაწყოს საქართველოს სსრ შრომის კომისარიატის კოლეგიასთან მუშათა საბინაო მშენებლობის სექცია, რომლისათვისაც შეიმუშაოს და გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საბინაო პოლიტიკის შესახებ“ 1928 წ. იანვრის 4-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1928 წ. მე-6 №-რი, მუხ. 49) დადგენილების 20 და 21 მუხლ. საფუძველზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ს. ჯუღელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი

პ. მეგრელიშვილი

თბილისი-სასახლე.

ინსტრუქცია

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და განათლების სახალხო კომისარიატისა „სამედიცინო დარგში სოფლად მომუშავეთა და მათ შვილებისათვის სკოლებში შესვლის და მათში სწავლის დროს შეღავათების მინიჭების შესახებ“.

(გამოცემულია თანახმად მე-8 მუხლისა შენიშვნისა სახკომსაბჭოს 1927 წლ. 15 ივნისის დადგენილებისა „სოფლის სამკურნალო დახმარებით უზრუნველყოფისათვის და სასოფლო სამედიცინო პერსონალის ნივთიერი მდგომარეობისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ). ა. კ. ს. ს. რ. № 6 1927 წლ. მუხ. 95).

1. სამედიცინო დარგში მომუშავენი და მათი შვილები, რომელ მომუშავეთაც სოფლად საბჭოთა ხელისუფლების დროს უმუშავნიათ არა ნაკლებ სამი წლისა, სარგებლობენ ყველა იმ შეღავათიან პირობებით, რომელიც დაწესებულია მუშების შვილების უმაღლეს სასწავლებლებში, ტეხნიკუმებში და 1-ლი და მე-2 საფეხურის სკოლებში შესვლისათვის.

2. ყველა ტიპის და საფეხურის სასწავლებლებში სწავლის ქირიდან სრულიად თავისუფალნი არიან შვილები სოფლად სამედიცინო დარგში იმ მომუშავეების, რომელთაც სოფლად საბჭოთა ხელისუფლების დროს უმუშავნიათ არა ნაკლებ სამი წლისა.

3. ამა ინსტრუქციის მეორე მუხლში აღნიშნული მოსწავლენი შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილნი უნდა იქნენ სტიპენდიით.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი გრ. კუჩაიძე.

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 4 ივლისს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება მიმღები კომისიის სხდომა. უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები:

სიმონ კუბარიოვი, გიორგი ვიგიალინსკი, თედორე სიდოროვი, მიხეილ კუხიანი, ივანე ვიქტორ კერესელიძე, ივანე ნოვოკრეშენოვი. დ. იუსუპოვი, ნოე უგულავა, ლევან კაჭკაჭიშვილი, ჩრგ. ჯანიბახჩიევი, საბა სემინაშვილი, ვახტანგ რეხვიაშვილი; ლ. ჟუკოვა, ნინო ლისენკო, ნინო უჩიტაშვილი, არტაშეს მელკუმიანი, ალექსი იარიმანაშვილი, თამარა ყანდარელი, აპოლონ გოხალეიშვილი, პანტელეიმონ ნიკოლაიშვილი, ალექსანდრე მიროტაძე. ბიძინა ამაშუყელი, გიორგი ტაბატაძე, მიხეილ ხეთაგური, სამად ვირაბოვი, მ. დავიდოვა, თამარა გიგაშვილი, ვარლამ ტაბიძე, შალვა სალუქვაძე, იაკობ ობოიანსკი, გრიგოლ სელივანოვი; ალექსანდრა აგაჯანოვა, ერმოლოზ ჭუმბურიძე, ნიკოლოზ ბიტაბრამი, ბ. ფოშაგევი, ივანე ბერუაშვილი და ხაჩატურ მატოიანი.

დღეს, 4 ივლისს, საღამოს 6 საათზე საქ. ახ. ლ. კ. კ. ცენტრ. კომიტეტის შენობაში (რუსთაველის პროსპ., 22), შესდგება ც. კ. საკონფლიქტო კომისიის სხდომა.

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ როგორც აღნიშნულ კომისიის წევრები, აგრეთვე ის ამხანაგები, რომელთა საქმეები გასარჩევად გადაცემული აქვს საკონფლიქტო კომისიას. უნდა გამოცხადდენ: ამხ. არჩილ ჭაპუროძე, პავლე ხაჩიძე, დავით აბესაძე. სიმონ წვერავა, ვლადიმერ კვანტალიანი, ბაბო ჯაჯანიძე, მიხეილ გოგიევი. კალისტრატე ჯაფარიძე, ვლადიმერ ბახტაძე, არჩილ ლოლობერიძე, შალვა პოლოსოვი, დიმიტრი კვანტალიანი. იოსებ მარანი, ალექსანდრე ნაჭყებია, ვახტანგ მორთულაძე, კერვალიძე, კერვალიშვილი, ხაზულინი, მიხეილ წველაია და შალვა კეკელია.

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	საუკეთესო სურათი	„დონ დიეგო და პელაგეა“
საზაფხულო ეთერი	სეზონის საუკეთესო სურათი	„ცოლი“ ხოვანსკაიას, პოპოვას და ბატალოვის მონაწილ.
საზაფხულო დარბაზი	მხატვრული ფილმი სამხატვრო თეატრის დამსახ არტისტის ლეონიდოვის მონაწილეობ.	„მისი აღმატებულება“
საზაფხულო პალასი	„თავზე ხელაღებული“	უკანასკნელი 5 და 6 სერია
მინიონი	დრამა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან	„ჩადრი“
პროლეტარი ავლაბარი	თავზე ხელაღებული	1 და 2 სერია

0—29

საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა საზაფხულო კლუბი

დღეს, 4 ივლისს,

დიდი სიმფონიური კონცერტი

სახალხო არტისტის კომპოზიტორ ა. ა. სპენდიაროვის ხსოვნის აღსანიშნავად. კონცერტს ხელმძღვანელობს ა. შ. მელიქ-ფაშაევი. პროგრამაში: რიმსკი-კორსაკოვის შეხერეზადა და სპენდიაროვის საუკეთესო ნაწარმოებნი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე

ბაღში კინო. წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.

ხვალ 5 ივლისს, კონცერტი ორჯონიკიძის სახელობის კლუბში. ნ. 1346

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი შ. ს. ლაბაძე

ამით აცხადებს, რომ ის 12 ივლისს 1928 წ. დღის 10 საათზე ქალ. ჭიათურაში გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** დავით გიორგის-ძე შალამბერიძის ექვს ვიტრინის შკაფს, ერთ დიდ სასწორს და კალათებს, შეფასებულს სულ 172 მან. დასაკმაყოფილებლად ფედოსია კორნეიძის ვალისა, თანახმად ჭიათურის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლისა 31 დეკემბრის 1927 წ. № 197. ნ. 1356

ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამარ. აღმასრულებელი კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 14 ივლისს 1928 წ. დღის 1 საათზე ლენინის ქ. № 30 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არტელ „ნდობა“-ს მოძრავ ქონებას სხვადასხვა ზომის კასრებს, საწერ მაგიდებს, ფოლადის სალაროს, საწერ მანქანას, ჩუგუნის ღუმელებს, სკამებს, კონიაკის გამოსახდელი აპარატებს, სპილენძის ვედრებს, შიფონიერკას და სხ. შეფასებულს 2320 მან. დასაკმაყოფილებლად სახალხო მამულთა ტრესტისა და „გრუზგოსტორგისა“. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 2917

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილის და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და სალ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10 13—1

შორაპნის მაზრაში გაზეთ „კომუნისტი“-ს კონტრაგენტათ 1 ივნისიდან დანიშნულია

ვასილ ჯალაღანია

სააგენტო აქვს ქ. ჭიათურაში

3—1 მთ. კანტორა.

თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოება

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება

დანიშნულია ა. წ. 18 ივლისს, დილის 11 საათზე საზოგადოების ბინაზე აკ. წერეთლის ქ. № 9.

შემდეგი საკითხების განსახილველად:

1) წლიური—1926 1 ოქტომბრიდან 1928 წ. ივლისამდე ანგარიშის დამტკიცება (მოხ. საბჭოსი, გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა).
2) ბანკის ლიკვიდაცია.
3) არჩევნები სალიკვიდაციო კომისიისა.
4) მიმდინარე საკითხები.

თუ აღნიშნულ დღეს კრება არ შესდგა წევრთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო, მეორე კრება შესდგება იმავე ბინაზე, იმავე საკითხების განსახილველად, 25 ივლისს დილის 11 საათზე და ჩაითვლება წესდების § 37 ძალით კანონიერად, რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს. ნ. 1355

ქ. ქუთაისის 1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ი. მილორავა

ამით აცხადებს, რომ ის 12 ივლისს 1928 წ. დილით 11 საათზე სახლში № 53, ტროცკის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის დავით ბეერის ძე რიყინაშვილის მოძრავ ქონებას: ერთ გასაშლელ სასადილო მაგიდას, 4 სავარძელს ერთ ნოხს, კუშეტკას მარმარილოს სარკიან პირისაბანს და სხვ. შეფასებულს 291 მანეთად. ს. მ. ფ. ს. ტრესტების სავაჭრო კანტორის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად 2 სახელმწიფო სანოტარო კანტორის თამასუქზედ წარწერისა 27 მარტის 1928 წ. თარიღით, № 317. 2919

ქუთაისის 1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ი. მილორავა

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ტროცკის და ბროსეს ქუჩების კუთხეში № 16 დანიშნულია 25 ივლისს, დილის თერთმეტ საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა არონ მოშესძე პაპიაშვილის ქონების უფლების ერთი მესამედი ნაწილის, ქონება შესდგება ერთ სართულიანი ხის ხუთი საცხოვრებელი ოთახისაგან, ერთი საკუჭნაოსაგან, და ძირს სამთვალიანი სარდაფისაგან შემდგარი სახლისაგან რომლის კედელი ჩრდილოეთის მხრით ქვიტკირისაა, დახურულია ყავრით და აგებულია საეზოვე მიწაზედ ზომით დაახლოებით 100 ოთხკუთხი საჟ. შეფასებული 400 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ს. მ. ფ. ს. ტრესტის ძიების დასაკმაყოფილებლად. ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპრ. კოდ. და შენობის შეფასების 10 პროც.-ის საწინდარი. 2919

ჭიათურის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი შ. ს. ლაბაძე

ამით აცხადებს, რომ 17 ივლისს 1928 წ. დღის 10 საათზე ქალ. ჭიათურის სამრეწველო რაიონში (პატარა ჭიქოურში) დანიშნულია მეორე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა მრეწველ ჩაჩანიძე-რუსაძის ერთ შავი ქვის სარეცხ ქარხნისა თავის მოწყობილობით, ორ დიდ სასწორისა, რეიცებისა, რკინის ვაგონეტკებისა, მილებისა და სხვა მოძრავ ქონებისა, დაფასებული სულ 26120 მან., დასაკმაყოფილებლათ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო ტრესტის, მუშა-მოსამსახურეების, სავაჭრო დაწესებულების და კერძო პირის თავნი ვალისა სულ 67666 მან. თანახმად ქალ. თბილისის № 4 სახელმწიფო სანოტარო კანტორის და სხვ. სასამართლოების აღმასრულებელი ფურცლისა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ქარხნის საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს 10 პროც. შეფასების 2300 მან. ნ. 1356

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი დიმ. სიხარულიძე

ამით აცხადებს, რომ ის 6 ივლისს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 54 კამოს ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გერმანელთა საავადმყოფოს რენტგენის სხივების კაბინეტს მთელი თავისი აპარატებით და საერთო მოწყობილობით შეფასებულს 5.500 მანეთად, მოქ. მოქ. გლეზერის, ფიშლერის, გაუფის და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 4 ივნისის 1928 წ. თარიღით, № 2083 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1357

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებ.

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—სალ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1

ექიმი დარეჯან ე. თაყაიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე.

მისამართი: ვარცხის ქ. (ყოფ. სემიონოვის) № 16. 21—1

საქართველოს ფინსახკომისარიატი

აცხადებს საყოველთაოდ, რომ საკავშირო ფინსახკომისარიატის განკარგულების თანახმად თამასუქებზე დამატებითი საღერბო გამოსაღების გადახდა მარკების და ნაღდი ფულის სახით ნება დართულია 1929 წ. 1-იანვრამდე

ფინსახკომი

მათემატიკის მასწავლებელი

ამზადებს

ქართულ და რუსულ ენაზე

უმაღლეს სასწავლებ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) საშემოდგომო მისაღებ და განმეორებითი გამოცდებისათვის, აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 8—1 ს., 2—6 ს. ორ მოწაფეს ვღებულობთ სრულ კმაყოფით 4—1 2892

ლოგოპედი

ტ. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ.

მისამართი: ქ. ცეტკინის ქუჩა № 132

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

ხაწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით 8—9 სალ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

თმის მკურნალობა

საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნ. გ. კონტოროვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

დავკარგე: პირადობის მოწმობა მოცემული ქუთ. მილ. სამმართველოს მიერ და ათ თუმნიანი ხელ-მოწერილი თამასუქი ალექსანდრე ბაკას ძე ბაქრაძის სახელზე, ჩ. გ. 2919

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ხოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

დავკარგე: დ | სალაროს საანგარიშო წიგნაკი № 487 | 384, საექიმო დახმარების მოწმობა გაცემული ზესტაფონის დ | სალაროდან, ინდუსტრიალიზაციის სესხის 3 | 5 ობლიგაცია № 20 სერია № 112518 და სხვა საბუთები ნინო კონსტანტინეს ასული ჯლანტიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2918

დავკარგე მედსანშრომის მუშაკთა კავშირის წიგნაკი გრამიტონ მელიტონის-ძე აფხაზავას სახელზე, ჩ. გ. 2915

დავკარგე მატრიკული № 302 გაცემული სახ. უნივერსიტეტ. კარლო კალაძეს სახელზე, ჩ. გ. 2912

დავკარგე: მეტრიკული მოწმობა თამარა ივანეს ასული ომანიძის სახელზე, ჩ. გ. 2914

დავკარგე: პირადობის მოწმობა გაცემული ა.-კ. რკ. გზ. სატყეო განყოფილებიდან წყნორის წყალის უბნის № მ.2/705. იოსებ მჭედლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2916

დავკარგე: აღმშენებელთა კავშირის წიგნაკი № 3418, ილია გუსევის სახელზე, ჩ. გ. 2919

დავკარგე: კავშირის წიგნაკი № 26816, პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის ნუსხა ტრიფონ იუსტინეს ძე ცირიკიძის სახელზე, ჩ. გ. 2917

მთავლიტი № 204.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68.